

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი

მოსაშვილი ანა

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები
1992-2002 წწ.

ამერიკისმცოდნეობის დოქტორის (PHD) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი ვასილ კაჭარავა

თბილისი

2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი და საინტერესო ლიტერატურის საფუძველზე ვცდილობ პასუხი გავცე კითხვას, თუ რა პოლიტიკური და ენერგეტიკული შედეგები იქნა მოტანილი ქართულ-ამერიკული ორმხრივი ურთიერთობების წყალობით 1992-2002 წწ. ასევე განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციების ეროვნული პოლიტიკა საქართველოს და სამხრეთ კავკასიის მიმართ. ნაშრომის მიზანია ამერიკული დიპლომატიური დახმარების, პოლიტიკური და ენერგეტიკული ინტერესების ჩვენება საქართველოსადმი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და აშშ-ს გეოპოლიტიკური ამოცანების ხაზგასმა. ნაშრომი გვიჩვენებს მიზეზებს, რომლის წყალობითაც ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები რეგიონში გამორჩეულია. ნაშრომი ასახავს ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების დამყარების პროცესს და აშშ-ს გეოპოლიტიკურ ინტერესებს. ასევე განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცესი ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი 1992 წელს საქართველოში და პირველი ამერიკული დიპლომატიური მისიის გახსნა თბილისში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამერიკულ-რუსული და ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობებიც ფართოდ არის განხილული.

ნაშრომის ძირითადი შედეგი ისევე, როგორც მისი აქტუალობა გამოიხატება მის სიახლეში, ვინაიდან ნაშრომი წარმოადგენს მოკრძალებულ ნაბიჯს საქართველო-შეერთებული შტატების ურთიერთობების ისტორიის შესწავლაში.

Abstract

On the basis of various important and interesting literatures, the author tried to provide an answer to the question: what are the main results in the field of politics and the energy sector that were brought through the U.S.-Georgian mutual cooperation in the period of 1992-2002.

The U.S. administrations national policy toward Georgia and South Caucasus is also discussed. This paper focuses on showing the U.S. diplomatic assistance, political and energy interests after the fall of the USSR, and to point out American interests in Georgia.

The aim of the work is to promote, answer, and assess the United States foreign and energy policy towards Georgia and South Caucasus region, and it also shows the peculiarities that made American-Georgian partnership strategic in the region.

The goals of my article are to show the process of establishment of Georgian-American diplomatic relations and to point out American geopolitical interests toward Georgia. It is discussed the political process of recognition of Georgia as an independent country, the U.S. State Secretary's James Baker's visit in Tbilisi in 1992 and the opening of first American diplomatic mission in Tbilisi and South Caucasus. It is widely discussed Georgian-Russian and Russian-American political relations.

The main result of the paper, as well as its applicability is expressed in its innovation. This is however one of the first attempts to research political relationship between the U.S. and Georgia in the XX century.

სარჩევი

| | |
|--|-----------|
| შესავალი | 6 |
| თავი 1. ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება და განვითარება 1990-იან წლებში | 27 |
| 1.1. შტატების ადმინისტრაციების ეროვნული პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია | 27 |
| 1.2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და შეერთებული შტატები | 32 |
| 1.3. ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი საქართველოში | 40 |
| 1.4. ამერიკული ჰუმანიტარული და პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოს 1990-იანი წლების კრიზისების პერიოდში | 47 |
| 1.5. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად | 53 |
| თავი 2. ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში და შტატების ახალი ინტერესები სამხრეთ კავკასიაში | 63 |
| 2.1. ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები პრეზიდენტ ბილ ქლინტონის მმართველობის პირველ ნახევარში (1993-1995 წლები) | 63 |
| 2.2. შტატების გეოპოლიტიკური არეალი სამხრეთ კავკასიაში, ენერგოინტერესები 1990-იან წლებში და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი | 68 |
| 2.3. კრემლის პოლიტიკა საქართველოში ამერიკული ინტერესების წინააღმდეგ | 85 |
| 2.4. ამერიკული პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად | 93 |
| 2.5. ქართულ-ამერიკული ეკონომიკური თანამშრომლობა 1995-1999 წწ. | 100 |
| 2.6. ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი შეერთებულ შტატებში 1997 წელს და ვაშინგტონში მიღებული პოლიტიკური და სამხედრო შედეგები თბილისისთვის | 112 |
| 2.7. აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერა საქართველოს ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის მმართველობის დროს | 119 |
| 2.8. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოს რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში და პანკისის კრიზისი | 129 |

| | |
|---|------------|
| 2.9. სტამბოლის სამიტი და ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები | 139 |
| თავი 3. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მმართველობის პირველი წლები და ქართულ-ამერიკული დიპლომატია..... | 145 |
| 3.1. ქართულ-ამერიკული სამხედრო და რეგიონალური თანამშრომლობა 2000-2002 წლებში | 145 |
| 3.2. 9/11 და ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი ვაშინგტონში..... | 150 |
| 3.3. ქართულ-ამერიკული ორმხრივი თანამშრომლობა 2000-2002 წლებში და პრადის სამიტი | 156 |
| 3.4. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩების თვალით დანახული საქართველო | 165 |
| დასკვნა..... | 168 |
| გამოყენებული ლიტერატურა:..... | 174 |

შესავალი

სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, საქართველოს წინაშე არაერთი რთული ამოცანა იყო და არის გადასაჭრელი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანა ჯერ დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ პოლიტიკურ ცნობებს ელოდა, ხოლო შემდეგ დიპლომატიურ კავშირებს ამყარებდა. გეოპოლიტიკური პროცესების განვითარების თანახმად კი, 1992 წლიდან სამხრეთ კავკასია, ისევე როგორც საქართველო, „ცივ ომში“ გამარჯვებული ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების ქვეშ მოექცა. მას შემდეგ ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობები სტრატეგიულობით გამოირჩევა. საქართველოს თანამედროვე საგარეო პოლიტიკაც სათავეს სწორედ ამ პერიოდიდან იღებს და მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება 1992-2002 წლებში. საინტერესოა მიმდინარე პროცესების ანალიზიც. საქართველო-შეერთებული შტატების ორმხრივი ურთიერთობები მრავალ სფეროს მოიცავს და დღეს, ისე, როგორც არასდროს, საქართველოს შორეული, თუმცა ყველაზე ძლიერი პარტნიორის მხარდაჭერა კვლავაც სჭირდება. აქედან გამომდინარე, მართებული და ეფექტური საგარეო პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია იმ ათწლეულის ანალიზი, რომლის გარეშეც დღეს არსებული ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობები ასეთ მაღალ დონეზე ვერ ან არ იქნებოდა. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების სტრატეგიულობის განვითარება დასრულდა.

ნაშრომის მიზანია, ასევე, იმ თავისებურებების წარმოჩენა, რომლებმაც ორმხრივი ურთიერთობებში ქართულ-ამერიკული საერთო ინტერესების ჩამოყალიბება განაპირობეს და რომელიც რეგიონში დღესაც ყველაზე სტრატეგიულია.

ნაშრომის ამოცანაა იმ თავისებურებების წარმოჩენა, რომლებმაც ორმხრივი ურთიერთობებში ქართულ-ამერიკული საერთო ინტერესების ჩამოყალიბება განაპირობეს და რომლებიც რეგიონში დღესაც მოწინავეა.

კვლევის საგანი: წარმოდგენილ ნაშრომში მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი და საინტერესო მასალის საფუძველზე ვცდილობთ პასუხი გავცეთ კითხვას, თუ როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები

1992-2002 წლებში და რა პოლიტიკური შედეგები მოიტანა ამერიკულმა დიპლომატიამ საქართველოსთვის.

კვლევის ძირითადი შედეგი, ისევე როგორც აქტუალურობა, გამოიხატება მის სიახლეში, ვინაიდან ნაშრომი წარმოადგენს მოკრძალებულ ნაბიჯს საქართველო-შეერთებული შტატების ურთიერთობების დიპლომატიის ისტორიის შესწავლაში და 1992-2002 წწ. დიპლომატიის როლის წარმოჩენა ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში.

ნაშრომის უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საფუძვლიანად არის დამუშავებული მონოგრაფიები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და თეთრი სახლის მასალები, რომლებიც ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევენ. გარდა ამისა, აღნიშნული მასალების ანალიზი აკადემიურ და პოლიტიკურ სფეროებში პირველად ხდება. ნაშრომზე მუშაობის დროს შესაძლებლობა მქონდა მესაუბრა იმ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების პირებთან, რომლებიც 1992-2002 წლებში ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების შემოქმედნი იყვნენ. კერძოდ, 1994-2002 წწ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან - თედო ჯაფარიძესთან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან 1995-2002 წლებში ირაკლი მენადარიშვილთან, დიპლომატთან და საზოგადო მოღვაწესთან, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მრჩეველთან საგარეო პოლიტიკის საკითხებში გელა ჩარკვიანთან, 1999-2000 წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელთან - ნიკოლოზ ვაშაკიძესთან.

ნაშრომში, ასევე, მოყვანილია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საარქივო მასალები, რომლებიც მანამდე პრესაში ან აკადემიურ სივრცეში არ გამოქვეყნებულა და ეს, უდავოდ, სიახლეს წარმოადგენს. ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების სტრატეგიულობისა და ეფექტიანობის შესწავლა ზემოხსენებულ წყაროებს ეფუძნება. 1992-1995 წწ. დაწყებულმა პოლიტიკურმა კავშირმა განაპირობა ქართულ-ამერიკული წარმატებული თანამშრომლობა მრავალ სფეროში უკვე დღევანდელ დღეს. საკვლევი

თემის ფარგლებში, ასევე, განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციების პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით და დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად გადადგმული პირველი ნაბიჯები. გარდა ამისა, აღწერილია უმაღლესი პირების ოფიციალური ვიზიტები და შეხვედრები, რომლებიც პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო. რაც მთავარია, ასახულია შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსთვის გაწეული პოლიტიკური და ფინანსური დახმარება, რამაც 1992-1995 წლებში ქვეყანას კრიზისი დააძლევინა.

ოფიციალური დოკუმენტებისა და განცხადებების მეშვეობით ნათელი ხდება შეერთებული შტატების პრიორიტეტები საქართველოსთან მიმართებით. ჩვენი შეფასებით, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიაში 1992-1995 წლები არის ის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, რომელიც დღემდე განაპირობებს საქართველოსა და შტატების საერთო ინტერესებზე დაფუძნებულ პარტნიორობას არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც.

ნაშრომის სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა: აკადემიურ სივრცესა და კონკრეტულად, საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელ მეცნიერებებში ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი თითქმის შეუსწავლელია. რასაკვირველია, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების გამო და, მეორე მხრივ, ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზისთვის ეს საკითხი სულ უფრო მეტ ინტერესს, აქტუალობასა და მნიშვნელობას იძენს. ვფიქრობთ, აღნიშნული თემის კვლევით სტუდენტების, აკადემიური წრისა და, ზოგადად, საზოგადოების ნაწილს საშუალება მიეცემათ გაეცნონ ისეთ საარქივო მასალებსა და ცნობებს, რომლებმაც აკადემიური დღის სინათლე პირველად იხილეს. თემის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში საქართველოს მთავარი პარტნიორის მიერ გაწეული დახმარების შეფასების სისტემური კვლევა საფუძვლიანად ჯერ არ ჩატარებულა.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შინაარსის ანალიზი, დედუქცია, ინდუქცია, თვისებრივი კვლევის მეთოდი და ინტერვიუები, რაც მნიშვნელოვანია სწორი დასკვნების გამოსატანად.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ, 1992-1995 წლებში. ეს პერიოდი ქართული საგარეო პოლიტიკის ვექტორების განსაზღვრისთვის, ვფიქრობთ, გადამწყვეტია. აქედან გამომდინარე, ნაშრომი საქართველოსა და შეერთებული შტატების პირველი პირების განცხადებების, ანგარიშებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების ანალიზსა და შეფასებას მოიცავს. აღნიშნული მასალები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ისინი მხოლოდ საქართველოსთან სტრატეგიულ ურთიერთობებს არ ეხება, მათი არეალი უფრო ფართოა - სამხრეთ კავკასიაზე ვრცელდება, რაც თემის აქტუალურობას ზრდის.

სწორედ 1996-1999 წლებში გაღრმავებული პოლიტიკური ურთიერთობა დაედო საფუძვლად უახლეს წარმატებულ ქართულ-ამერიკულ თანამშრომლობას მრავალ სფეროში. საკვლევი თემის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოსთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოლიტიკა პრეზიდენტ ბილ კლინტონის მმართველობის დროს და დიპლომატიური ურთიერთობების განსავითარებლად გადადგმული ნაბიჯები. აღწერილია ოფიციალური ვიზიტები უმაღლესი პირების დონეზე და შეხვედრები, რომლებმაც ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებში უდიდესი როლი ითამაშეს. ფართოდ არის განხილული საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირების: საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე ზურაბ ჟვანიას, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების ვიზიტები შეერთებულ შტატებში. რასაკვირველია, ნაჩვენებია ის პოლიტიკური შედეგებიც, რომლებიც ამ შეხვედრების დროს იქნა მიღწეული.

ნაშრომში საუბარია 1996-1999 წლებში აშშ-ის მხრიდან საქართველოსთვის გაწეულ პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებაზე, რომელიც ქვეყანაში კრიზისის დასაძლევად იყო აუცილებელი. ფართოდ არის ასახული შეერთებული შტატების დაინტერესება საქართველოში სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მშენებლობით და ნაჩვენებია ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტები, რომლებიც წლიდან წლამდე

არა მხოლოდ ღრმავდებოდა, არამედ ამერიკული დახმარების წილი იზრდებოდა კიდევ.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ამერიკული მხარის დაინტერესება საერთაშორისო ენერგოპროექტებით, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტით. გეოპოლიტიკურ ჭრილში ნაჩვენებია საქართველოს მეზობელი ქვეყნების პოზიციები და ინტერესები, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის - რუსეთის ფედერაციის.

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლა და ანალიზი ამსხვრევს ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ჩამოყალიბებულ, გავრცელებულ და დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, რომ შეერთებულ შტატებს საქართველოსთვის საკმარისი ფინანსური, პოლიტიკური ან ტექნიკური რესურსი არ დაუხარჯავს ქვეყნის განსავითარებლად და სირთულეების დასაძლევად. ამასთან, დასტურდება ისიც, თუ რაოდენ დიდი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამერიკული პოლიტიკური თუ ფინანსური დახმარება სხვადასხვა სფეროში.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, არსებული მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობებისა 27-წლიანი ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების მანძილზე, საქართველომ ვერ მოახერხა, რომ ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის რეალური სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. საქართველოს ელჩი აშშ-ში თედო ჯაფარიძე, აღნიშნავს, რომ ამის დასტურია 2008 წლის შემდეგ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც კრემლთან ღია დაპირისპირებაც თავიდან აცილებაში გამოიხატებოდა (ჯაფარიძე, 2009). მართალია, ვაშინგტონში დიდია საქართველოსადმი პოლიტიკური სიმპატიები, თუმცა მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე სამყაროში მხოლოდ საქართველოს პრობლემატიკით შესახელმწიფოების დღის წესრიგი არ შემოიფარგლება. საქართველომ კი მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიული განვითარება არ შეწყვიტოს.

ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, ისევე როგორც ამერიკის მცოდნეობისადმი, ინტერესი, უდავოდ, გაზრდილია. უნდა აღინიშნოს ქართულ-ამერიკულ დიპლომატიაზე შედგენილი სალექციო კურსები, ჩატარებული საჯარო ლექციები და პრეზენტაციები. ქართულ-ამერიკული პოლიტიკური

ურთიერთობების შესწავლა და ანალიზი უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან შესაძლოა, ის სწორი საგარეო კურსის გატარების მაგალითადაც გამოდგეს და დაშვებული შეცდომების მართებული ანალიზით მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციაც მოხდეს.

დღევანდელი მსოფლიო ძალიან ცვალებადია. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობებშიც დიდი თუ პატარა ქვეყნები უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. აშშ-ისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობებიც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხედავს თავის წამყვან როლს ვაშინგტონი მსოფლიოში. საინტერესოა, ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსის იან ბრემერის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ევრო-ატლანტიკური სივრცის, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, უპირატესობამ „გეოპოლიტიკური რეცესია“ დაიწყო, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ჩინეთისა და სხვა წამყვანი ქვეყნების როლს თანამედროვე საზოგადოებებში. ბრემერის განცხადებით, შესაძლოა ვითარება შეიცვალოს და მსოფლიოც უფრო და უფრო მეტად გახდეს „არაამერიკული“, რაც, უპირველესად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად იქნება გამოხატული (Bremmer, 2018). ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ის, დავეთანხმებით თუ არა იან ბრემერს, არამედ ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად გაანალიზებული იყოს მოსალოდნელი ცვლილებები, თუნდაც შორეული. სანამ ეს ძირეული გეოპოლიტიკური ძვრები მოხდება, მანამდე ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ დომინანტია და საქართველოსაც სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ მისი გავლენის სფეროებში წარმატებული პოლიტიკა გაატაროს, არ აქვს. ამასთან, ნათელია, რომ შეერთებული შტატები ევროპაში მხოლოდ საგარეო სუპერძალა არ არის და მისი როლი ევროპის საქმეებში მონაწილეობისას ბევრად სისტემურია. საქართველო ევროპის ნაწილიც არის. აქედან გამომდინარე, აშშ-ევროპის ურთიერთობებიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე ამერიკა ბევრი ქართველისთვის, უბრალოდ, შორეული ოცნება იყო, თუმცა მალევე განვითარებულმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა შეერთებული შტატები საქართველოსთვის ახლო რეალობად აქცია. ცნობილი და ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი დიპლომატი თედო ჯაფარიძე იხსნებს, რომ 1992 წლისთვის, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ყველაზე კარგი ვარიანტი რუსეთის

ფედერაციის გარშემო ე.წ. „დემოკრატიული სარტყლის“ გაფართოება იყო, რომელიც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისგან იქნებოდა შემდგარი. თუმცა ვაშინგტონში იცოდნენ, რომ ეს კრემლს გააღიზიანებდა, რაც ამერიკელების გეგმაში სულაც არ შედიოდა. თედო ჯაფარიძის თქმით, „Russia First“ (პირველ რიგში, რუსეთი) - ხშირად ისმოდა ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. ამავე დროს, 1992 წელს საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა აშშ-თვის ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. ქართველი დიპლომატის აზრით, წლების განმავლობაში ერთ-ერთი გამოწვევა ის იყო, რომ რუსულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობებიდან საქართველოს საკითხი ამოვარდნილიყო. თუმცა ის კვლავ რჩებოდა „პოსტ-საბჭოურ ბრენდად“. მიუხედავად ამისა, შევარდნაძის მმართველობიდან მოყოლებული, საქართველო ცდილობდა კასპიის ზღვის აუზში არსებული ნავთობისა და გაზის ევროპისთვის მიწოდების გზით რეგიონში დემოკრატიული ქვეყნის სტატუსი მოეპოვებინა. თედო ჯაფარიძის განცხადებით, მისი მიზანი შეერთებული შტატებში ელჩად ყოფნის დროს „Georgia First“-ზე (პირველ რიგში, საქართველო) ორიენტირებული პოლიტიკა იყო, რომელიც სწორედ აშშ-ის მხარდაჭერისა და დახმარების მოპოვებას ითვალისწინებდა. დიპლომატის შეხედულებით, ქართულ-ამერიკულმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა „Russia First“-ის პოლიტიკურ ქსელს თავი ვერ დააღწია და მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძე პროდასავლურ პოლიტიკოსად ითვლებოდა, ჯორჯ ბუშს (უმცროსს) სააკაშვილთანაც და შევარდნაძესთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა, საქართველომ ვერ შეძლო „პოსტ-საბჭოური“ ჩარჩოდან გამოსვლა და ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებშიც მეტი სიმბოლიზმი გაჩნდა. თედო ჯაფარიძე იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველო-შეერთებული შტატების ურთიერთობები უფრო ტრანსფორმაციული იყო, ვიდრე ტრანზაქციული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყურადღება გადატანილი იყო საქართველოს მოსახლეობისა და ინსტიტუტების დახმარებასა და განვითარებაზე (Japaridze., 2019).

ცნობილი ამერიკელი დიპლომატი უილიამ ბერნსი იხსენებს 1991 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან საუბარს, როდესაც ბ-ნმა ბეიკერმა ფურცელზე ჩამოწერა მე-20 საუკუნის მიწურულს განვითარებული პოლიტიკური მოვლენები: 1. გერმანიის გაერთიანება; 2. შტატების სამხედრო ტრიუმფი სადამ

ჰუსეინზე; 3. საბჭოთა კავშირის ბუნდოვანი მომავალი. როგორც ბერნსი შენიშნავს, ჯეიმს ბეიკერის შეხედულებით, საერთაშორისო ურთიერთობებში მოვლენების ასე სწრაფად განვითარების სხვა მაგალითის დასახელება შეუძლებელიც კი იყო (Burns, 2019). ცივი ომის კონტურები უკვე იხატებოდა: ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატია ზენიტში იყო, ხოლო რუსეთის ფედერაცია საბოლოო მარცხით განპირობებული შოკიდან მალევე გამოვიდა, რაც პრეზიდენტ ბორის ელცინის მმართველობის დროს ადვილი გასაკეთებელი არ იყო. რუსეთის ფედერაციის სისუსტიდან გამომდინარე, შტატებს დიდი უპირატესობა ჰქონდა, რაც კრემლს, სურვილის მიუხედავად, საშუალებას არ აძლევდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში თავისი ინტერესები გაეტარებინა. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების იდეამ მოსკოვი, რა თქმა უნდა, გაანაწყენა, მაგრამ იმ დროისთვის მას აგრესიული მოქმედებების შესაძლებლობა არ ჰქონდა. 2000 წლის მიწურულს კი პოლიტიკურ ასპარეზზე ვლადიმერ პუტინი გამოვიდა, რომელმაც 2001 წელს აშშ-ს მკაფიოდ უთხრა: ამერიკელებს უფრო მეტის მოსმენა გმართებთ, ამიერიდან ვერაფერს მიიღებთ ისე, როგორც გსურთ (Putin, 2001). მალევე ვლადიმერ პუტინმა რეგიონში ტერორიზმს ომი გამოუცხადა, მთავარი მიზანი კი ბალტიისპირეთის ქვეყნებში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოებისათვის ხელის შეშლა და რუსეთის ფედერაციის საშინაო პოლიტიკაში დასავლეთის ჩაურევლობის მიღწევა იყო. ცივი ომით გამოწვეულმა მტკივნეულმა პრობლემებმა რუსეთის ფედერაციისთვის, საბოლოოდ წარმოშვა ძალა, რომელმაც ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის დროს რევანში გადაწყვიტა.

თედო ჯაფარიძის შეხედულებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეერთებულ შტატებს სამხრეთ კავკასიის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში 3 ძირითადი მიზანი ჰქონდა: 1. დემოკრატიული სახელმწიფოს შენება; 2. ენერგეტიკული და სავაჭრო პროექტების განხორციელება; 3. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მყარი უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომელიც ტერორიზმისა და კონფლიქტების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული (ჯაფარიძე, 2008). ვთვლით, რომ ზემოხსენებული გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელება რეგიონში ვაშინგტონს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია.

2019 წელს საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) კვლევების შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის 87% აზრით, საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობა აქვს (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, 2019). ამავე კვლევებით, მოსახლეობის 79% საქართველოსთვის პოლიტიკურ საფრთხედ რუსეთის ფედერაციას მიიჩნევს, ხოლო 57% - ეკონომიკურ ნაწილში (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, 2019).

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საკმაოდ რთულ გზას გადის. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, შეგვიძლია მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ ქვეყანა დასავლური ღირებულებების ერთგულია და მზად არის ევრო-ატლანტიკური სივრცისკენ მიმავალი რთული გზა ბოლომდე განვლოს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მთავარი სტრატეგია მაინც უცვლელი რჩება.

დღეს საქართველოს წინაშე სერიოზული გეოპოლიტიკური გამოწვევები დგას. ვითარება რეგიონში საკმაოდ შეცვლილია და აუცილებელია სწორი საგარეო პოლიტიკის წარმოება. უკანასკნელი წლებში, აშშ-ისა და თურქეთის რესპუბლიკისგან განსხვავებით, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები საგრძნობლად დათბა, რაც, ერთი შეხედვით, არსებულ ძალთა ბალანსს ცვლის. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ 27-წლიან ქართულ-ამერიკულ დიპლომატიურ ურთიერთობებში 1992-2002 წლები უაღრესად მნიშვნელოვანია, რაც მისი ანალიზის აუცილებლობას კიდევ ერთხელ ცხადყოფს.

საერთო ინტერესებსა და ღირებულებებზე დამყარებული ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები ყოველწლიურად ვითარდება და სტრატეგიულად რეგიონალურ დონეზე უფრო ნაყოფიერი ხდება. პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ისა და საქართველოს თანამშრომლობა, მართლაც, გამორჩეულია. აქედან გამომდინარე, 1992-2002 წლებში საქართველო-შტატების დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესისა და პოლიტიკური ურთიერთობების შედეგების ანალიზი, უდავოდ, მნიშვნელოვანია.

ნაშრომის პირველ თავში ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების დამყარების პროცესი არის ნაჩვენები, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე რთულ გეოპოლიტიკურ პროცესებთან არის დაკავშირებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები გეოპოლიტიკურად რადიკალურად შეიცვალა. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს თვითდამკვიდრებისთვის საერთაშორისო არენაზე დიდი ძალისმევა დასჭირდათ. საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების პოლიტიკური ურთიერთგაგება ვერ მოხერხდა, რამაც ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობა ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან გააჭიანურა. მიუხადავად ამისა, ჯორჯ ბუშის (უფროსის) ადმინისტრაციამ საქართველოში ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი მაინც გააგზავნა გაცნობითი ხასიათის შეხვედრისთვის. სამწუხაროდ, კრემლის ინტერესებში სულაც არ შედიოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიანი განვითარება და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ადგილის დამკვიდრება. მალევე ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ოპოზიციამ ხელში იარაღი აიღო და საქართველოს პრეზიდენტს ქვეყნის დატოვება მოუწია. დაიწყო სამოქალაქო ომი, ედუარდ შევარდნაძე სამშობლოში დაბრუნდა. მან საკუთარი პოლიტიკური გავლენითა და კონტაქტებით ვაშინგტონის კეთილგანწყობის მოპოვება მოახერხა. მალევე ცნობილი გახდა საქართველოში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტის თაობაზე. დამოუკიდებლობის ცნობიდან სულ რაღაც რამდენიმე თვეში თბილისში მსოფლიოში ნომერ პირველი დიპლომატი ჩამოვიდა და საქართველოს, ისევე როგორც ედუარდ შევარდნაძეს, სრული ნდობა გამოუცხადა. ოფიციალურმა ვაშინგტონმა არც ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება დაიშურა სამოქალაქო და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებელი ომებით დაუძღვრებული ქვეყნისთვის. რაც მთავარია, საერთაშორისო არენაზე ედუარდ შევარდნაძე პროდასავლურ პოლიტიკოსად ითვლებოდა, რომელიც მათთვის საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის ერთი-ერთი გარანტი იყო.

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მმართველობის ბოლო წელი საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური ურთიერთობების დაწყების პირველ წელს დაემთხვა. მიუხედავად ამისა, სწორედ ბუშის (უფროსის) ადმინისტრაციის დროს ჩაეყარა მყარი საფუძველი ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომელიც შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა და თანამშრომლობის არაერთი სფერო მოიცვა. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პირველსავე თვეებში საქართველომ ამერიკული

მხარისაგან ფინანსური და ჰუმანიტარული მხარდაჭერა მიიღო. რაც შეეხება ამერიკულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვაშინგტონმა რეგიონში კრემლის გავლენის სფეროები აღიარა და თან, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა; თუმცა სტრატეგიული ურთიერთობები მის მიერ ნაკლებად იყო ფოკუსირებული. 1991 წლის 25 დეკემბერს აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 23 აპრილს დაამყარდა. იმავე წლის 25 მაისს კი საქართველოს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ეწვია. ვფიქრობთ, ამ ვიზიტით დადასტურდა ვაშინგტონის ინტერესი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ.

1992 წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში ბილ კლინტონმა გაიმარჯვა. თეთრ სახლში რესპუბლიკელთა 12-წლიანი მმართველობა დასრულდა. რასაკვირველია, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რომ დემოკრატების ადმინისტრაციის პირობებშიც შეერთებულ შტატებს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ არჩეული კურსი არათუ გაეგრძელებინა, არამედ გაემყარებინა. შეიძლება ითქვას, რომ შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური ინტერესების ქვეშ საქართველოსთან ერთად, მალე მთელი სამხრეთ კავკასია საკმაოდ აქტიურად მოექცა, რამაც ახალი ეკონომიკური, გეოსტრატეგიული თუ ენერგეტიკული სივრცე შექმნა საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების მონაწილეობით. შტატების ენერგოპოლიტიკით დაინტერესების გამო, სამხრეთ კავკასიაში საქართველო ვაშინგტონის რუკაზე მნიშვნელოვან ქვეყნად გადაიქცა, თუმცა თ. ჯაფარიძის აზრით, აშშ-თვისაც და საქართველოსთვისაც მთავარი დემოკრატიულად განვითარება იყო, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა იმის ახსნა, თუ რატომ იყო ან არის საქართველო მნიშვნელოვანი. „Why Georgia Matters“-სწორედ ეს გახდა საკვანძო საკითხი ქართულ დიპლომატიაში შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების დროს და არამხოლოდ რეგიონალური როლის შესრულება (Japaridze,, 2019).

ნაშრომის მეორე თავში აღწერილია ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების პროცესი, რომელიც თანამშრომლობის მრავალ

სფეროს მოიცავს და ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესში ამერიკულ დეაწლს ადასტურებს.

ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის პირობებში ქართულ-ამერიკული პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროები ბევრად გაფართოვდა, რამაც მთავრობების ეფექტური, ორმხრივ სარგებელზე დაფუძნებული და გეოპოლიტიკურად წარმატებული ურთიერთობები განაპირობა სამხრეთ კავკასიაში. სწორედ ქლინტონის პრეზიდენტობისას ამერიკული კომპანიები პირველად, ხელისუფლების მხარდაჭერით, დაინტერესდნენ საერთაშორისო მილსადენების მშენებლობითა და რეგიონის ენერგეტიკული პოტენციალით. ამ პერიოდში საქართველოში პრაქტიკულად არ დარჩენილა დარგი, რომელმაც ამერიკული დახმარება არ მიიღო. გარდა ამისა, მთავრობებს შორის მჭიდრო კოორდინაციის წყალობით, სხვადასხვა სფეროში წარმატებულად გატარდა მრავალი რეფორმა, რომელმაც კიდევ უფრო წარმატებული პოლიტიკური თანამშრომლობა მოიტანა. აშშ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან დაწყებული დღემდე აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. 1993 წლის შემდეგ, რაც ქვეყანამ თავისი ტერიტორიების 20% დაკარგა, ამერიკული დიპლომატია არ იშურებდა ძალასა და პოლიტიკურ მცდელობებს, რომ მოლაპარაკებები დიალოგის რეჟიმში საქართველოს სასარგებლოდ წარმართულიყო. ამას მოწმობს აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლების ვიზიტები აფხაზეთში და მათი მონაწილეობა კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის საქმეში. გარდა ამისა, ბილ ქლინტონის ადმინისტრაცია აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიაზე გაერთინებული ერებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციების ეგიდის გაფართოებას და მათი სამშვიდობო როლის გაზრდას. ამერიკულ მხარეს სურდა, რომ გავლენიანი საერთაშორისო ინსტიტუტები უფრო აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მოგვარებაში. არც ის პოლიტიკური ფაქტი უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის ფედერაცია ამ დროს, როგორც შტატების, ისე საერთაშორისო საზოგადოების მიერ, მხარედ აღიარებული არ ყოფილა, რომელიც კონფლიქტით არა მხოლოდ დაინტერესებული იყო, არამედ ყველანაირად ეხმარებოდა და მხარდაჭერას უცხადებდა სეპარატისტულ რეჟიმებს ქვეყანაში. ეს პოლიტიკურად იყო შეცდომა,

მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ოფიციალურმა თბილისმა მისცა რუსეთის ფედერაციას სამშვიდობო მისიის წარმოების უფლება, რასაც ქართული მხარისთვის არანაირი სასარგებლო შედეგი არ მოუტანია. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, საერთაშორისო საზოგადოებას ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ რუსეთის ფედერაციას შეეძლო რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში დადებითი როლი ეთამაშა.

ბილ ქლინტონის ადმინისტრაციამ აქტიურად დაიწყო სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო ენერგოპროექტების განხორციელება და მიუხედავად იმისა, რომ კრემლის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, ვაშინგტონის წარმატებული კოორდინაციის წყალობით, აღნიშნული საკითხები ყველა მხარისთვის სასიკეთოდ გადაწყდა. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, მისი დაჟინებული მოთხოვნა იყო, კასპიის ზღვიდან ნავთობსა და გაზს რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე გაეწვლინა. საბოლოოდ, ხუთი ენერგოპროექტიდან კასპიის ზღვის აუზიდან, ორი რუსეთის ფედერაციის მოთხოვნის გათვალისწინებით განხორციელდა. ესენია: ბაქო-ნოვოროსიისკისა და ყაზახეთი-ნოვოროსიისკის ენერგოპროექტები. რაც შეეხება სამ პროექტს: ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენს, სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს, გადაწყდა, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლიდნენ.

როდესაც 1996-1997 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 12%-ს მიაღწია, აშშ-ში საქართველოს ელჩის - თედო ჯაფარიძის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა უილიამ კორტნის შეეძლო აღენიშნა, რომ საქართველო პრობლემა კი არა, შესაძლებლობა იყო (Japaridze, 2019).

1998 წელს აშშ-ში უკვე აქტიურად განიხილავდნენ საკითხს იმის თაობაზე, რომ საქართველოში რუსული ბაზების არსებობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა როგორც პარტნიორი ქვეყნის განვითარებისთვის, ისე რეგიონის სტაბილურობისთვის. სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოება კი პირდაპირ კავშირში იყო საერთაშორისო ენერგოპროექტების განხორციელებისთანა. 1999 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე, ქ. სტამბოლში, მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაციას საქართველოდან შეიარაღება უნდა გაეყვანა, ხოლო რუსული ბაზები უნდა დახურულიყო. ეს იყო

ქართული დიპლომატიის გამარჯვება - ქვეყანას შეეძლო საკუთარი სუვერენიტეტი განემტკიცებინა და მეზობელი სახელმწიფოდან მომავალი საფრთხეები საკუთარ ტერიტორიაზე, გარკვეულწილად, გაენეიტრალებინა. სტამბოლის სამიტმა საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით, დაუსახა მიზნები და მისცა შანსი გამოეყენებინა შესაძლებლობები, რომლებიც მის წინსვლასა და უსაფრთხოებას მოემსახურებოდა. სტამბოლის სამიტს, პოლიტიკური შედეგებით, საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა გაძლიერდა რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში. რაც მთავარია, შეერთებული შტატების მხარდაჭერით საქართველომ დაიწყო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან დაახლოება და ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამაც 1996 წელს ძალაში შევიდა. ყოველივე ეს კი შტატების ფინანსური მხარდაჭერით კეთდებოდა. საქართველო აფართოებდა პოლიტიკურ კავშირებს როგორც ამერიკასთან, ისე ევროპასთან, რაც, რასაკვირველია, მისასალმებელი იყო. ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამა საქართველოსთვის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ არაერთხელ დაფინანსდა და მხარდაჭერილი იქნა ვაშინგტონის მხრიდან. შტატები დიდ ყურადღებას აქცევდა პარტნიორი ქვეყნის სასაზღვრო განვითარებასა და დაცულობას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების დასავლურ სტანდარტებთან დაახლოებას.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თეთრ სახლს პირველად 1994 წელს ეწვია და საკმაოდ ნაყოფიერი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ჩამოიტანა ვაშინგტონიდან. ამერიკელი პოლიტიკოსების განცხადებებსა და ოფიციალურ გამოსვლებს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მათი უმრავლესობა, პრეზიდენტ ბილ კლინტონის ჩათვლით, ედუარდ შევარდნაძეს საქართველოსა და მთელს სამხრეთ კავკასიაში დასავლური ინტერესების დამცველად მიიჩნევდა. გარდა ამისა, შეერთებული შტატები თვლიდა, რომ მიუხედავად არსებული საშინაო და საგარეო პრობლემებისა, მას, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ქვეყანა სწორი კურსით მიჰყავდა. განსაკუთრებით საყურადღებოა 1998 წელს ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, როგორც ბილ კლინტონის, ისე ამერიკელი სენატორების გამოხმაურება და მხარდაჭერა საქართველოსა და მისი

პრეზიდენტისადმი. ედუარდ შევარდნაძეს ვაშინგტონის ნდობა ნამდვილად ჰქონდა. შტატებმა იცოდა, რომ რუსეთის ფედერაცია სამხრეთ კავკასიაში ძალთა ახალ გადანაწილებას ვაშინგტონის სასარგებლოდ ასე მარტივად არ დაუშვებდა, ამიტომაც საქართველოს პრეზიდენტს, როგორც პროდასავლურ პოლიტიკურ ფიგურას, ორმაგი მნიშვნელობის დატვირთვა ჰქონდა აშშ-თვის.

ბილ ქლინტონისა და ედუარდ შევარდნაძის პირველი შეხვედრიდან (1994 წ.) საქართველოს პრეზიდენტის შტატებში მეორე ოფიციალურ ვიზიტამდე ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები ბევრად გაღრმავდა. იგივე შეიძლება ითქვას გაზრდილ ამერიკულ დახმარებაზე, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის დროს დაიწყო საქართველოს მომზადება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ჰქონდა შესაძლებლობა გაეზიარებინა დასავლელი პარტნიორების გამოცდილება, რომელიც ტრანსატლანტიკურ სივრცეში თავის დასამკვიდრებლად აუცილებელი იყო. ნელ-ნელა, მაგრამ ქვეყანა მაინც დგამდა იმ პოლიტიკურ ნაბიჯებს, რომლებიც მას გეოპოლიტიკურად ზემოხსენებულ სივრცესთან აახლოებდა.

ნათელია, რომ თუკი 1992-1995 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური კურსი სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი, მათ შორის, საქართველოსადმი, არ ჰქონდა, 1995 წლიდან ის აქტიურად უჭერდა მხარს საერთაშორისო ენერგეტიკულ პროექტებსა და მდგრად განვითარებას.

ნაშრომის მესამე ნაწილში 1992-2002 წწ.-ში ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების დასკვნითი მასალაა წარმოდგენილი, რომელიც სწორედ განვლილ წლებში წარმოებულ ნაყოფიერ და წარმატებულ დიპლომატიას ეფუძნება.

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელთა პარტიის კანდიდატმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) გაიმარჯვა და 2001 წლის 20 იანვარს თეთრ სახლში ოვალური კაბინეტი დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონში შტატების ეროვნული ინტერესები არასდროს იცვლება მხოლოდ ახალი პრეზიდენტის არჩევით, საქართველოსთვის, ისევე როგორც რეგიონისთვის, ამ არჩევნებს, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პრეზიდენტ ბუშს უნდა გაეგრძელებინა ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიისადმი და საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მხარდაჭერა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ საქართველო ცდილობდა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თავისი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა შეერთებულ შტატებთან მჭიდრო კოორდინაციის წყალობით. ერთ დროს კრემლის მხრიდან ტერორისტების მფარველობაში ბრალდებულმა ქვეყანამ იმიჯის აღდგენაზეც დაიწყო ზრუნვა.

სწორედ ჯორჯ ბუშის (უმცროსის) მმართველობის დროს ვაშინგტონი მხარს უჭერდა ე.წ. პატარა ქვეყნების გაწევრიანებას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში. პრეზიდენტი მიიჩნევდა, რომ ახალი სახელმწიფოების მიღებით ალიანსი ახალ სასიცოცხლო ძალას შეიძენდა (Bush, 2002). ოფიციალურ თბილისს კარგად ესმოდა, რომ ალიანსის წევრობა მყარ გარანტიებს გულისხმობდა უსაფრთხოებისა და დაცულობის კუთხით. 2002 წლის ნოემბერში, პრადის სამიტის დროს, საქართველომ განაცხადა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილის თაობაზე. ჯორჯ ბუშის (უმცროსის) ადმინისტრაციის მხარდაჭერა პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნებისადმი, რომლებიც არსებული სირთულეების მიუხედავად ცდილობდნენ ჩაკეტილი გეოპოლიტიკური წრის გარღვევას, უდავოდ, დიდი პოლიტიკური სტიმული იყო, განსაკუთრებით - საქართველოსთვის, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ რუსეთის ფედერაცია, ვაშინგტონივით, ალიანსს რეგიონში უსაფრთხოების გარანტიებთან კი არ აიგივებდა, არამედ საფრთხედ მიიჩნევდა. საპირისპიროში მისი დარწმუნება შეუძლებელი იყო და ალბათ, ამაში ვერც გავამტყუნებთ. მათ კარგად ახსოვდათ ალიანსის შექმნის იდეა და 42-წლიანი პაექრობის შემდეგ სსრკ-ის დაშლა, ბუნებრივია, მათთვის გეოპოლიტიკური ტრაგედია იყო და არის. აქედან გამომდინარე, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებზე გავლენის შენარჩუნება კრემლის მხრიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

პრადის სამიტის შემდეგ, ერთ წელიწადში, 2003 წლის შემოდგომაზე, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომლის შედეგებიც საერთაშორისო საზოგადოებამ არ აღიარა. ქვეყანაში საპროტესტო აქციები დაიწყო, რომელიც საბოლოოდ პრეზიდენტის გადადგომით დასრულდა. მართვის სადავეები ხელში აიღეს შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილმა და მოქმედმა წევრებმა,

რომელთა უმრავლესობაც პროდასავლურ პოლიტიკოსად ითვლებოდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს, პრეზიდენტის გადადგომამდე რამდენიმე საათით ადრე, საქართველოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი ჩამოვიდა, რომელმაც დაპირისპირებულ მხარეებთან მოლაპარაკებები გამართა (ქოქოშვილი, 2016). მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძეს ბუშების ოჯახთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა და ბოლოდროინდელ მოვლენებამდე ის შეერთებული შტატების ნდობით კვლავ წარმატებულად სარგებლობდა, შექმნილი ვითარების შემდეგ, ვაშინგტონში ალბათ გადაწყვიტეს, რომ ყველასთვის საუკეთესო ვარიანტი საქართველოს ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური გუნდის მოსვლა იქნებოდა.

2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოს უახლოეს ისტორიაში, ისევე როგორც ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებში, ახალი ეტაპი დაიწყო, რომლის საწინდარიც 1992-2002 წლების დიპლომატია გახდა. ჯორჯ ბუშისა (უმცროსი) და ახალი პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის დროს ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა, რისი საფუძველიც განვლილ ათწლეულში წარმატებულად ჩაიყარა.

დასკვნაში შეჯამებულია ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები 1992-2002 წლებში.

მიგვაჩნია, რომ ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების განხილვა აუცილებელია საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებითაც. საქართველო მნიშვნელოვანი, თუმცა პატარა ქვეყანაა, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა, მართალია, სტრატეგიულია, მაგრამ ამავე დროს - საკმაოდ რთული. აქედან გამომდინარე, პატარა ქვეყნებს ხშირად ბალანსის დაცვა უწევთ. შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები ბევრად ფართოა, ვიდრე მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, საქართველომ, თავისი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობიდან გამომდინარე, მოახერხოს საკუთარი პოლიტიკური ფასის მაქსიმალურად აწევა და მაქსიმალური სარგებლის მიღებაც. დღეს უკვე სიახლე აღარ არის, რომ მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა ვერ იქნება უსაფრთხოების გარანტი. უკანასკნელ წლებში ამაში არაერთხელ დავრწმუნდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს

ჩრდილოელ მეზობელს ხშირად მკაცრ სანქციებს უწესებენ და საჯაროდაც კიცხავენ, „ცივი ომის“ აჩრდილები პოლიტიკურ ჰორიზონტზე არ ჩანს. ისმის კითხვა - რა უნდა გავაკეთოთ, რომ გავხდეთ იმ სისტემის ნაწილი, რომელიც თავად არის დაცულობის გარანტი? პასუხი ძალიან მარტივია და ამავე დროს - რთულად მისაღწევი. გამოსავალი დემოკრატიულ განვითარებაში, კანონის უზენაესობასა და სახელისუფლებო შტოებს შორის ძალთა ბალანსის დაცვაშია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფრის შემოქმედნი თავად ჩვენ - მოქალაქეები - ვართ, რომელთა მონაწილეობის გარეშეც არაფერი იქნება წარმატებულად მიღწეული. ამერიკელმა და ევროპელმა კოლეგებმა, შესაძლოა, მოგვცენ ფინანსები და გვირჩიონ რა და როგორ გავაკეთოთ, მაგრამ მთავარი წერტილი ყოველი საქმის ბოლოს ჩვენ უნდა დავსვათ. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია თანმიმდევრული სწორი პოლიტიკა და სტაბილურობა.

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები პირდაპირ კავშირშია ამერიკულ-რუსულ და ქართულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობებთან. აქედან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ დადებითი დამოკიდებულება არაა საკმარისი, რათა რომელიმე ზესახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში მთავარ სტრატეგიად იქცე იმ დონეზე, რომ დიდი ხნის დაპირისპირებულ ძლიერ ოპონენტთან ომი დაიწყოს. გარდა ამისა, ქართულ-ამერიკული დიპლომატია, ასევე, არის ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისა სამხრეთ კავკასიაში. ამ რეგიონში კი მშვიდობაზე მნიშვნელოვანი ალბათ არაფერია, ვინაიდან მიმდინარე საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია სტაბილურობა. ცალკე საქართველოს პრობლემატიკით ზოგადი გეოპოლიტიკური მოვლენების სწორად გაანალიზება ვერ მოხდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხშირად პოლიტიკური განცხადებები, მოწოდებები და რეზოლუციები, შესაძლოა, მხოლოდ ქაღალდზე დარჩეს. საქართველოს კი, პირველ რიგში, აქტიური და წარმატებული მოქმედებები სჭირდება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. აუცილებელია ეროვნული ინტერესების სწორი იმპლემენტაცია საერთაშორისო ურთიერთობებში და რეალური გეგმა პრობლემების გადასაჭრელად. მხოლოდ საკუთარი გამოცდილებითა და სწორი სტრატეგიით შეგვიძლია „დავეხმაროთ ჩვენს პარტნიორებს, რომ დაგვეხმარონ“. ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის დროს ამერიკელები მოითხოვდნენ, საქართველოს წარმატებული რეფორმებითა და

დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით დაერწმუნებინა შეერთებული შტატები, რომ მათ მიერ გაწეული პოლიტიკური, ფინანსური თუ ჰუმანიტარული დახმარება მიზნობრივად იყო გამოყენებული. ნათელია: ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ან ევროკავშირში გასაწევრიანებლად აპრიორი მთავარი სამოქმედო გეგმის ან სხვა სტატუსის მინიჭება სულაც არაა. ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული განვითარების დონეა, რომელიც ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებშიც გადამწყვეტია. შეერთებულმა შტატებმა უნდა დაინახოს, რომ მისი პოლიტიკური, ჰუმანიტარული თუ ფინანსური დახმარება ეფექტურად გამოიყენება; ასევე, საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობის კუთხით დადებითი შედეგის ჩვენება. სწორედ ამ შემთხვევაში ექნება ვაშინგტონს უფრო მეტი შესაძლებლობა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ინტერესების დასაცავად. 1988-1990 წლებში ბევრს საბჭოთა კავშირის დაშლა წარმოუდგენლად მიაჩნდა და ამის დაშვება არც კი შეეძლო, მაგრამ დაწყებული პროცესების შეჩერება შეუძლებელი გახდა. ამიტომაც პოლიტიკური მოთმინება, მდგრადი განვითარება და დემოკრატიის ხარისხის ამაღლება, რაც არ უნდა გრძელვადიან პერსპექტივად გვეჩვენებოდეს, არ ვიცით საბოლოოდ რა ახალ გეოპოლიტიკურ შედეგამდე მიგვიყვანს. მთავარი კი, ჩვენი აზრით, სწორი სტრატეგიული ნაბიჯებია.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ამერიკელმა დიპლომატმა სტროუმ ტელბოტმა ქართულ-ამერიკულ და ამერიკულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობებზე ვრცელი ინტერვიუ მისცა. მან აღნიშნა, რომ ედუარდ შევარდნაძემ ვერ შეძლო საქართველოში კორუფციის დამარცხება და ეკონომიკაზე სრული კონტროლის აღება, ხოლო ქვეყანაში გამეფებული ქრონიზმი განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად დაასახელა. ტელბოტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჯორჯ ბუშის (უფროსის), ბილ ქლინტონისა თუ ჯორჯ ბუშის (უმცროსის) ადმინისტრაციების დროს შევარდნაძის მიმართ, წარსული მიღწევების გამო, ე.წ. „ძლიერ სიყვარულს“ იჩენდნენ, რამაც, შეიძლება ითქვას, ის დაასუსტა კიდევ. საბოლოოდ, შეერთებული შტატები იმედგაცრუებული დარჩა იმ შედეგებით, რაც დემოკრატიული განვითარების მხრივ მიიღეს. ამერიკელმა დიპლომატმა ისაუბრა სენატორ ჯონ მაკკეინის, ყოფილ სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერისა და გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილის, სხვა სენატორებისა და კონგრესმენების მცდელობებზე,

რომლებიც მიმართული იყო 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების თავისუფლად და გამჭვირვალედ ჩატარებისაკენ. მისი აზრით, ვინაიდან საქართველო ბუნებრივი რესურსების ნაკლებობას განიცდიდა, აუცილებელი იყო სატრანზიტო როლის გაძლიერება, რაც ქვეყანას ნამდვილად გააჩნდა. ბ-ნმა ტელბოტმა ისიც შენიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს - რიჩარდ მაილსს შევარდნაძის მმართველობის უკანასკნელ წლებში დიდი როლი ჰქონდა და ეს გამოიხატებოდა მის მიერ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე მკვეთრი განცხადებების გაკეთებაში. გარდა ამისა, ელჩმა პრეზიდენტ შევარდნაძეს მიანიშნა, რომ ის სურვილისამებრ ვერ იმოქმედებდა. ამერიკელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ თბილისში შექმნილ სიტუაციას ვაშინგტონმა ჯორჯ ბუშის (უმცროსის) ადმინისტრაციის დროს ყურადღება გვიან მიაქცია. საქართველოს მოქალაქეებმა კი, უბრალოდ, უარი უთხრეს მას, რაც ედუარდ შევარდნაძის სახლში წასვლით დასრულდა (Talbot, 2003). კიდევ ერთი ცნობილი ექსპერტი არიელ კოჰენი თვლის, რომ შევარდნაძემ ვერც სასამართლო სისტემის და ეკონომიკის სფეროს რეფორმა წარმატებით ვერ გაატარა (Cohen, 2004).

ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან - საქართველოსთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან - მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინტერესები აქვს, თუმცა აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ რეგიონში კვლავ ძლიერია რუსეთის ფედერაციის როლი და აზერბაიჯანისა და სომხეთის შემთხვევაშიც ნათელია, რომ მათი საგარეო ვექტორი მეტწილად კრემლზე გადის. ეს იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონის დაინტერესება რაც არ უნდა დიდი იყოს, ცალმხრივად ამ ინტერესების გატარება შეუძლებელი იქნება. გამოსავალი ალბათ გრძელვადიან რეფორმებშია, რაც ზემოხსენებული ქვეყნების საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრირებას გულისხმობს. ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებს რაც შეეხება, მისი განხილვა რეგიონალური კონტექსტის გაუთვალისწინებლად არასწორად მიგვაჩნია. დღეს ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიაში მოწინავეა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ორმხრივი თანამშრომლობა სტრატეგიულ რეგიონალურ პოლიტიკურ თამაშებად იქცეს. ეს იქნება იმის გარანტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ პოლიტიკაში სამხრეთ კავკასია არა მხოლოდ მნიშვნელოვანი სტატუსის მქონე გეოგრაფიულ ადგილად დარჩეს, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოების

„ტიტული“ მოიპოვონ რეგიონის ქვეყნებმა. ასეთ დროს, ბუნებრივია, გაიზრდება ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების მნიშვნელობაც. ეს ყველაფერი ძალიან რთულია, მით უფრო, რომ აზერბაიჯანის ან სომხეთის ინტერესებში სულაც არ შედის განსხვავებული საგარეო პოლიტიკის წარმოება. ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულ ქვეყნებში ძლიერი ევროპული სამოქალაქო საზოგადოებების შექმნის გარეშე ამერიკის შეერთებული შტატები სასურველ მიზანს ძნელად თუ მიაღწევს. ორმხრივ ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებთან ერთად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ვაშინგტონი მთელი სამხრეთ კავკასიის ფუნდამენტური განვითარებით დაინტერესდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რომ აშშ არა მხოლოდ ენერგეტიკული ან ეკონომიკური პროექტების განხორციელებით დაკავდეს, არამედ სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რეალური და სტრატეგიული ნაბიჯებით გააგრძელოს არსებული კონფლიქტების მოგვარება; ამასთან, ევროპულ პარტნიორებთან ერთად, ხელი შეუწყოს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ინტეგრაციას ერთიან ევროპულ სივრცეში. აქედან გამომდინარე, ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები არის მხოლოდ ნაწილი შეერთებული შტატების ადმინისტრაციების პოლიტიკისა სამხრეთ კავკასიაში და აშშ-ისა და ევროკავშირის პარტნიორობისა. ერთი რამ ფაქტია, ზემოხსენებული ქვეყნებიდან ყველაზე პროდასავლური საქართველოა, რომლისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც რეგიონის სტაბილურობას, ისე შტატების მხარდაჭერას კავკასიისადმი. საქართველოში, სიძნელების მიუხედავად, პროგრესი მრავალ სფეროში აშკარაა და ამაში ვაშინგტონის წვლილი დიდია. არსებული ურთიერთობების შესანარჩუნებლად და გასაღრმავებლად, ან უფრო მაღალ დონეზე გადასაყვანად, პირველ რიგში, საქართველოს მონდომება და მტკიცე ნაბიჯებით წინსვლა არის საჭირო. ეს იქნება იმის გარანტი, რომ დემოკრატიულად განვითარების შემთხვევაში აშშ-ის ინტერესი რეგიონალურ დონეზე გაიზრდება. აუცილებელია, საქართველომ ისეთი საგარეო პოლიტიკა უნდა გაატაროს, რომელიც არა მარტო რეგიონალური, არამედ გლობალური თემატიკით იქნება გაჯერებული და შესაძლოა, ამის წყალობით ქართულ-ამერიკული ორმხრივი თანამშრომლობაც გაფართოვდეს.

თავი 1. ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება და განვითარება 1990-იან წლებში

1.1. შტატების ადმინისტრაციების ეროვნული პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია

1990-იან წლებში აშშ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას, რელიგიური, პოლიტიკური თუ ისტორიული განსხვავებების მიუხედავად, ერთ მთლიან სივრცედ განიხილავდა. ბუნებრივია, ამერიკის გარდა, ამ რეგიონებში სხვა ძლიერი პოლიტიკური მოთამაშეებიც იყვნენ, მაგალითად, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და ირანი, რომლებიც კავკასიასა და ცენტრალურ აზიას, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სანამ შტატებს ზემოხსენებული რეგიონებისადმი სანავთობო ინტერესები გაუჩნდებოდა, 1992 წელს აშშ-ის კონგრესში მიიღეს „თავისუფლების მხარდამჭერი აქტი“, რომელიც ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობას გულისხმობდა (Congress, 1992). თუმცა მალევე აზერბაიჯანს ამერიკის მთავრობის დახმარება შეუწყდა, რისი მიზეზიც გახდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო ბაქოს მიერ სომხეთისთვის ბლოკადის გამოცხადება. აზერბაიჯანული მხარის დასჯა სომხური დიასპორის წევრებმა გადაწყვიტეს (Zarifian, 2015). საგულისხმოა, რომ 1993 წელს, როდესაც სომხეთის ჯარებმა აზერბაიჯანის ერთი მეხუთედი (მთიანი ყარაბაღი) დაიკავეს, შტატებს მსგავსი პოლიტიკური სანქციებისთვის არ მიუმართავს. აშშ-ის მთავრობა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებთან ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობას აღიარებდა. 1993 წლის მარტში შტატების პრეზიდენტის პოლიტიკური ნდობით აღჭურვილი დიპლომატი სტროუბ ტელბოტი ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობაზე დაინიშნა. თუმცა კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები ვაშინგტონისთვის მაინც მეორეხარისხოვნად რჩებოდა. ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს ვაშინგტონი ცდილობდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსული და საბჭოური ტექნიკა, ისევე როგორც ბირთვული შეიარაღება, გატანილიყო. 1992-1996 წლებში ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე პასუხისმგებლობა აშშ-ის მთავრობის

დეპარტამენტებსა და მათ ქვედასამსახურებს დაეკისრათ, კერძოდ, ვითარების კონტროლი საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და სახელმწიფო დეპარტამენტს შორის გაიყო. ცენტრალური აზიის ქვეყნებზე ზედამხედველობა პენტაგონში აშშ-ის ახლო აღმოსავლეთში დისლოცირებული ჯარების წარმომადგენლობას, ხოლო კავკასიის რეგიონის მონიტორინგი შტატების ევროპული ჯარების სარდლობას დაევალა. 1995 წელს აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტმა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ენერგეტიკულ და სავაჭრო სფეროში თანამშრომლობის საკუთარი სამსახური შექმნა, რამაც შტატების მხრიდან ერთიანი პოლიტიკის გატარებას ხელი ვერ შეუწყო.

1992 წელს, როდესაც სსრკ როგორც სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა, მსოფლიო მედიაში პენტაგონიდან ცნობილი გახდა, რომ ვაშინგტონი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ ვითარებაზე ახალ სტრატეგიას ამუშავებდა (Jentelson, 2013:342). ამ დოქტრინის მიხედვით კი, აშშ მსოფლიოში მთავარ მოქმედ სუბიექტად რჩებოდა და თავიდანვე ახალი კონკურენტის გამოჩენას გამორიცხავდა. პენტაგონი ხაზს უსვამდა შტატების უნიკალური და ზესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებისა და აღიარების მნიშვნელობას. დოკუმენტი რეალიზმის თეორიასთან თავსებადი იყო და აქცენტს ძალის, ეკონომიკურ, კულტურულ, სამხედრო, ტექნოლოგიურ სფეროებში პირველობაზე აკეთებდა. რაც მთავარია, კონკურენტების შესაჩერებლად ახალი გლობალური როლის გამოყენებასაც არ გამორიცხავდა. ვფიქრობთ, ჯორჯ ბუშის (უფროსის) საერთაშორისო კონცეფცია ნათლად გამოიხატა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესში. ვაშინგტონმა საკმაოდ სწრაფად შეაფასა და გააანალიზა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ახალი პოლიტიკის გატარების აუცილებლობა და მიუხედავად იმისა, რომ შტატებისთვის ეს რეგიონი პოლიტიკური თამაშებისთვის უცხო იყო, ცდილობდა ნაცნობი და მისთვის მისაღები გეოპოლიტიკური წესებით ეხელმძღვანელა. აშშ-მა ნელი ტემპით, თუმცა პრაგმატული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ახლო პოლიტიკური კავშირები დაამყარა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, მათ შორის, საქართველოსთან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მანამდე საქართველოში ამერიკული ჰუმანიტარული დახმარება ჩამოვიდა.

ბილ ქლინტონის საგარეო პოლიტიკაში საერთაშორისო სისტემის მულტილატერალური კონცეფცია გადამწყვეტი იყო. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ძალის მთავარ აქტორად რჩებოდა. ამავე დროს, ის მნიშვნელოვან აქცენტს საერთაშორისო ორგანიზაციებზე აკეთებდა. ეროვნული ინტერესების სისტემაში პრინციპები და კეთილდღეობა იყო მთავარი. ბილ ქლინტონი დიპლომატიასა და ძალის შეზღუდულ გამოყენებას ირჩევდა (Jentelson, 2013:475). ასევე ქლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში “რბილი ძალის” სახითაც განიხილავენ, რომელიც ცდილობდა ეკონომიკური და პოლიტიკური მექანიზმებით ამერიკული საგარეო პოლიტიკის მიზნების გატარებას (Baban...2010:94). ვაშინგტონის მიზანი აზერბაიჯანის ნავთობკომპანიების საერთაშორისო პარტნიორებთან დაახლოება იყო, რომ რუსეთის ფედერაციის და ირანის როლი საერთაშორისო ენერგოპროექტებში შემცირებულიყო (Baban...2010:95). საბოლოოდ კი, ამერიკული კომპანიების მხრიდან აზერბაიჯანული ბუნებრივი რესურსების ათვისებამ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველოს და აზერბაიჯანის მტკიცე კავშირები, ხოლო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის და რუსული სამხედრო დახმარების წყალობით სომხეთი კრემლზე დამოკიდებული ჩამოაყალიბა.

ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის მიხედვით: მომდევნო საუკუნეში მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის საერთაშორისო თანამშრომლობას ექნებოდა სასიცოცხლო მნიშვნელობა, რადგან ამერიკის წინაშე ბევრი გამოწვევა იდგა, რომლებსაც მხოლოდ ერთი ქვეყანა ვერ გაუმკლავდებოდა. აშშ-ის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიზანი ყველაზე კარგად იქნებოდა მიღწეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შტატების გავლენა და უნარი ამოქმედდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ალიანსების საშუალებით ან სპეციფიკური საკითხის გარშემო შექმნილი მიზნობრივი კოალიციებით, რომლებსაც სათავეში თავადვე ჩაუდგებოდა. ამერიკის ლიდერობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, გრძელვადიანი ურთიერთობები მოკავშირეებთან და მეგობარ სახელმწიფოებთან გადამწყვეტი იყო აშშ-ის უსაფრთხოებისთვის (Jentelson, 2013:348).

დემოკრატი პრეზიდენტის, ბილ ქლინტონის, ადმინისტრაციის დროს შეერთებული შტატები დარჩა უძლიერეს აქტორად მსოფლიოში, მაგრამ სხვა სახელმწიფოები და საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორცაა, მაგალითად,

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თამაშობდნენ გაცილებით დიდ როლს მსოფლიო წესრიგის დამყარებაში (Jentelso, 2015:475). საერთაშორისო სისტემის მულტილატერალური კონცეფცია მის საგარეო პოლიტიკაში გაზიარებული იყო. ეროვნული ინტერესების იერარქიაში კი, კეთილდღეობა და პრინციპები იყო პირველ ადგილზე. 1994 წელს, კონგრესში პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლისას, ბილ ქლინტონმა განაცხადა, რომ ის ემხრობოდა „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორიას (Jentelso, 2015:475). მამასადამე, ქლინტონმა აქცენტი დიპლომატიასა და ძალის შეზღუდულ გამოყენებაზე გააკეთა, ამიტომაც მისი მმართველობის დროს ქართულ-ამერიკული ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა და წინა პლანზე გამოვიდა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, დემოკრატიული პრინციპები და უსაფრთხოების დაცვის პრიორიტეტები.

ჯორჯ ბუშის (უმცროსის) ადმინისტრაციის პოლიტიკა და ღირებულებათა სისტემა უფროსი ჯორჯ ბუშისაგან დიდად განსხვავდებოდა. მის საერთაშორისო დოქტრინაში ბიპოლარული სისტემა უნიპოლარულმა ჩაანაცვლა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი ზესახელმწიფო იყო. ბუშმა (უმცროსმა) აქცენტი ეროვნული ინტერესებით ძალის გამოყენებაზე გააკეთა. ამისთვის კი აირჩია სტრატეგია, რომლითაც ვაშინგტონის გეოპოლიტიკურად სასურველი მიზნის მისაღწევად და, საერთოდ, დემოკრატიის სახელით ძალის ცალმხრივად გამოყენება შესაძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, იდეოლოგიას კლასიკური რეალიზმი არჩია (Jentelso, 2013:475). გარდა ამისა, ბუშმა თავისი მმართველობის დროს უნილატერალურ მოდელს მიანიჭა უპირატესობა, რომელიც საგარეო პოლიტიკაში კონკრეტული სახელმწიფოს დამოუკიდებლად მოქმედებას გულისხმობს (Jentelso, 2013:341). „ძალა მნიშვნელოვანია“, - განაცხადა კონდოლიზა რაისმა 2000 წელს, სანამ რესპუბლიკელები არჩევნებში გაიმარჯვებდნენ (Jentelso, 2013:342). ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკის მიხედვით, მას, ვინც ეწინააღმდეგობოდა მშვიდობასა და თავისუფლებას, ამერიკის ძლიერებისა და დომინირების შიში უნდა ჰქონოდა (Jentelso, 2013:343). ბუშის არჩეული საერთაშორისო კონცეფცია მკაფიოდ გამოიხატებოდა მისი ადმინისტრაციის პოლიტიკაში, რასაც სულ ცოტა, ერაყისა და ავღანეთის მაგალითების დასახელებაც ცხადყოფს. უფრო მეტიც, კლასიკური რეალიზმის წყალობით, ვაშინგტონმა საქართველოსთან, ისევე როგორც

აზერბაიჯანთან, სამხედრო დონეზე თანამშრომლობა გააძლიერა, რისი წყალობითაც ავღანეთის და ერაყის ომების დროს ორივე ქვეყანა საერთაშორისო მისიის წევრები იყვნენ.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შტატების ადმინისტრაციების კურსი საქართველო-შეერთებული შტატების პოლიტიკურ ურთიერთობებში მკაფიოდ გამოიხატებოდა. მაგალითად, სწორედ ვაშინგტონი აღიარებდა გაერთიანებული ერების, ევროპის უშიშროებისა თუ თანამშრომლობის ორგანიზაციების განსაკუთრებულ როლს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. გარდა ამისა, სტამბოლის სამიტის დროს მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, ოფიციალურ კრემლზე პოლიტიკური გავლენის მაქსიმალურად მოკლე დროში მოსახდენად და საქართველოსთვის, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, სასურველი პოლიტიკური შედეგების მისაღწევად შტატებმა არც ფულადი რესურსები დაიშურა და არც ძალისხმევა ევროპელებთან თანამშრომლობისას. ამასთან, ამერიკელი დიპლომატები სტუმრობდნენ აფხაზეთს და ცდილობდნენ კონფლიქტის გადაჭრის გზები დიალოგის ფორმატში დაებრუნებინათ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვაშინგტონი საკმაოდ სწრაფად ცდილობდა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან დიპლომატიური და პოლიტიკური კავშირების დამყარებას, დღესაც, ისევე როგორც 10 ან 20 წლის წინ, რეგიონში შეერთებულ შტატებს კვლავ უწევს რუსეთის ფედერაციის დომინანტი როლის აღიარება, რომელიც იმთავითვე სასტიკი წინააღმდეგია ვაშინგტონის ინტერესებისა და პოლიტიკური სურვილების (Rumer...2017). აღსანიშნავია, რომ ეს ვითარება დიდ გავლენას ახდენს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დემოკრატიული და სტაბილური გზით განვითარებაზე, რომელიც კრემლის ინტერესებში არც არასდროს შედიოდა და არც ახლო მომავალში იქნება პრიორიტეტული.

1.2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) საგარეო პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან მიმართებით რეალისტურობითა და ამერიკის ინტერესების დაცვით გამოირჩეოდა. ახალმა მსოფლიო წესრიგმაც აქტუალურობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უფრო შეიძინა. ცივი ომის დასრულების შემდეგ შეერთებული შტატები შედარებით დაცულად და უსაფრთხოდ გამოიყურებოდა. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მსოფლიო წესრიგის ახალი კურსი ახალ საერთაშორისო წესრიგს დაედო სათავედ და ამ პოლიტიკის წყალობით შეერთებული შტატები მსოფლიოს ლიდერი ქვეყანა გახდა.

რთულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) საგარეო პოლიტიკა იდეალისტური კუთხით შეაფასო. ითვლება, რომ მისი საგარეო პოლიტიკის კონცეფცია გულისხმობდა ძველ ბიპოლარულ სისტემას ტრანზაციაში, რომელშიც, საბჭოთა კავშირის დაკნინებისა და დაშლის შედეგად, შეერთებული შტატები წარმოჩნდებოდა როგორც ყველაზე ძლიერი სახელმწიფო (Jentelson, 2013:474). ამ კონცეფციის მიხედვით, შტატებს მსოფლიოში ლიდერის როლი უნდა შეესრულებინა. აქედან გამომდინარე, ეროვნული ინტერესები ბუშისეულ იერარქიაში პირველ ადგილზე იყო, ხოლო მშვიდობა - მეორეზე. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია, ძირითადად, მხარს უჭერდა საერთაშორისო კოალიციების ფორმირებას, რომლებშიც შტატებს დომინანტი როლი ექნებოდა და მიიღებდა სარგებელს ძალისა და ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, რაც პარტნიორებთან თანამშრომლობაში გამოიხატებოდა (Jentelson, 2013:474). ჩვენი აზრით, სწორედ ამ პოლიტიკურმა კონცეფციამ განაპირობა ის ფაქტი, რომ შტატებმა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უმოკლეს დროში, 1992 წელს, დაამყარა. გარდა ამისა, ბუშმა თავისი მმართველობის ბოლო წელს მოახერხა სამხრეთ კავკასიაში შტატების საგარეო პოლიტიკის მკაფიოდ ჩამოყალიბება და ინტერესთა სფეროების განსაზღვრა.

ჩვენი შეფასებით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება დაიწყო რესპუბლიკელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის (უფროსის), მმართველობის ბოლო წელს, ხოლო

განვითარდა ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის დროს. ყოველივე ამან უაღრესად დიდი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განვითარებაში, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასა და დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში.

1991 წლის 29 მარტს, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დავალებით, საქართველოს აშშ-ის 37-ე პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ეწვია. ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებდა. ნიქსონმა გამსახურდიასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ შტატები საქართველოსთან ურთიერთობით იყო დაინტერესებული, თავის მხრივ, გამსახურდიამ პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების სურვილი გამოხატა. 1991 წლის 6 ივლისს ზვიად გამსახურდიამ ამერიკელ კოლეგას ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა. „იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას, მსოფლიო ერთა თანამეგობრობის, დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში, აშშ-ისა და პირადად თქვენი მხარდაჭერით, ბატონო პრეზიდენტო“, - ვკითხულობთ ოფიციალურ წერილში (არქანია, 2017).

1991 წლის 29 მარტს ზვიად გამსახურდიამ განაცხადა - აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი საქართველოშია, ხოლო მისი პოლიტიკური მიზანია არსებული ვითარების შესწავლა. გარდა ამისა, საქართველოში დაინტერესებულია აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. ხვალ ბატონი ნიქსონი დაათვალიერებს რამდენიმე სარეფერენდუმო და საარჩევნო უბანს თბილისში და გაემგზავრება მოსკოვს (გამსახურდია, 1991ა). ზვიად გამსახურდიას შეფასებით, ნიქსონის ვიზიტმა დაადასტურა თეთრი სახლის დაინტერესება საქართველოში. ამასვე ადასტურებდა საბჭოთა კავშირში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი, რომელიც გორბაჩოვს და სსრკ-ის სხვა ხელმძღვანელებს შეხვდა (გამსახურდია, 1991ა).

1991 წლის 31 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი ჩაატარა. მალევე, იმავე წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე დაყრდნობით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა (დოლონაძე, 2002:10). ამ ფაქტს საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისგან საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის, აღიარება არ მოჰყოლია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია იყო აქტიური

და მიზანმიმართული დიპლომატია პოლიტიკური ურთიერთობების დასამყარებლად და განსავითარებლად. ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესს მხოლოდ 1991 წლის 12 დეკემბერს გამოეხმაურა. შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა, ქალაქ პრინსტონში გამოსვლისას, პირველად ილაპარაკა საბჭოთა კავშირზე წარსულ დროში. მან, კერძოდ, განაცხადა: „საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ, ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ახალ ეპოქაში“ (დოლონაძე, 2002:18).

ვფიქრობთ, ბეიკერის ზემოხსენებული პოლიტიკური გზავნილები იმაზე მიუთითებდა, რომ შტატები იძულებული გახდა ახალ მსოფლიო წესრიგს შეჰგუებოდა და მოცემულ ვითარებაში მან პოლიტიკური ლავირების მეთოდი გამოიყენა - საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციასთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მიმართებით დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა შეიმუშავა.

ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიხეილ გორბაჩოვს - საბჭოთა კავშირის პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტს - ბოლომდე უერთგულა. მიუხედავად ამისა, შტატებს ახალი გეოპოლიტიკური რეალების იგნორირება აღარ შეეძლო. ვაშინგტონმა, ისევე როგორც დანარჩენმა მსოფლიომ, იცოდა, რომ სსრკ პოლიტიკური ავანსცენიდან ქრებოდა. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები მზად იყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის, სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად, გადაუდებელი ეფექტური უცხოური დახმარება გამოეყო (დოლონაძე, 2002:18). რასაკვირველია, დასავლეთს იმის დემონსტრირება სჭირდებოდა, რომ ყოფილ საბჭოთა ხალხებს ისინი მართლ არ დატოვებდნენ და უკეთესი ცხოვრება წინ იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური ერთგულება საბჭოთა კავშირის დაშლის ბოლო დღეებში, ვფიქრობთ, გასაკვირი არაა, რადგანაც ამერიკული მხარე კარგად აცნობიერებდა კავკასიის სირთულესა და მრავალფეროვნებას რელიგიური, პოლიტიკური თუ გეოგრაფიული კუთხით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ის საფრთხეს ხედავდა რეგიონში ტერორიზმის გავრცელების, არეულობისა და დაპირისპირების სახით. ამერიკის შეერთებულ შტატებს საფრთხის შემაკავებელი მთავარი გარანტი საბჭოთა კავშირის სახით კვლავ სჭირდებოდა.

აშშ-თვის იყო კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა: ბირთვული იარაღის გაუფრცვლებლობის საკითხი. ჯეიმს ბეიკერმა აღნიშნა, რომ ისინი არ დაუშვებდნენ ბირთვული იარაღისა და ტექნოლოგიების გადინებას საზღვარგარეთ. შტატები, ასევე, პასუხისმგებლობას იღებდა ექსპერტებისა და სპეციალისტების დასაქმებაზე, რათა მათი პოტენციური ხელში არ ჩაეგდოთ „აღმოსავლეთის დიქტატორებსა“ და სხვა პირებს (დოლონაძე, 2002:19).

ჯეიმს ბეიკერის განცხადებით, რუსეთმა, უკრაინამ, ყაზახეთმა, სომხეთმა და ყირგიზეთმა დემოკრატიული იდეალებისადმი ერთგულება გამოავლინეს და, შესაბამისად, შეერთებული შტატების მხარდაჭერა დაიმსახურეს (დოლონაძე, 2002:19). საქართველო და აზერბაიჯანი კი „შავ სიაში“ მოხვდნენ. სახელმწიფო მდივნის თქმით, ამის მიზეზი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გახდა, რადგანაც შესაძლო იყო საქართველოში კომუნიზმი ტოტალიტარულ რეჟიმს შეეცვალა (დოლონაძე, 2002: 19). ამკარაა, რომ შეერთებული შტატების იმჟამინდელი მთავრობა ზვიად გამსახურდიას მმართველობის სტილითა და მეთოდებით უკმაყოფილო იყო; ამიტომაც გაჭიანურდა დამოუკიდებლობის აღიარება და საქართველოს დასავლეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი. უფრო მეტიც, ზემოხსენებულმა ვითარებამ საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე დაბრკოლებებიც შეუქმნა. თუმცა, თავის მხრივ ზვიად გამსახურდიამ სცადა აშშ-ს თან პოლიტიკური ურთიერთობების დაწყება.

1991 წლის 12 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს შემდეგი წერილით მიმართა:

„თქვენო აღმატებულება,

უკვე მეორედ აშშ-ის საელჩო მოსკოვში პასუხობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზ. გამსახურდიას მიმართვას თქვენდამი. ჩვენ ამას ვხსნით თქვენი, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მშვიდობის გზების ძიებაში სრული ჩართულობით, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში. თუმცა მტკიცედ გვჯერა, რომ შეუქცევადი ისტორიული პროცესების შედეგად, თქვენი და საერთაშორისო ყურადღება გადმოინაცვლებს კავკასიის რეგიონისკენ, რომელიც გეოგრაფიულად ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთს, და სადაც ხანგრძლივი იმპერიული პოლიტიკის შედეგად, ჩვენ მივიღეთ არანაკლებ დამაბული და ფეთქებადსაშიში ვითარება.

კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა უკვე გამოაცხადეს თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და პარადოქსულია, რომ იმპერიული ცენტრი ცდილობს ითამაშოს მათ შორის ნეიტრალური არბიტრის როლი. ეს არის ის ცენტრი, რომლის დეზინტეგრაციას შეერთებული შტატების მთავრობა ასე ძლიერ ეწინააღმდეგება. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ არც ერთ ხელისუფლებას ან პოლიტიკურ ლიდერს არ შეუძლია ამ ისტორიული პროცესის უკან შემოტრიალება.

თქვენს წერილში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატების მთავრობა კმაყოფილია იმ ფაქტით, რომ საქართველოში პოლიტიკური ვითარება დამშვიდდა და ძალის გამოყენების საფრთხემ დიდად იკლო. ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ ეს დიდწილად საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის, ბატონ ზ. გამსახურდიას უნარის დამსახურებაა, ჩაეტარებინა მოლაპარაკებები, დიალოგისა და კომპრომისის საფუძველზე, შეიარაღებულ ოპოზიციასთან, რომელიც ლეგიტიმური და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყანა ასეთ ელემენტებს შეიარაღებული ძალებით დაუპირისპირდებოდა.

ჩვენ გვსურს გაცნობოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონში პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებში, როგორც წესი, მოიხსენება, მსგავს მშვიდობიან მიდგომას იყენებს. ეს კონფლიქტი, თავად ოსებისვე განცხადებით, არის პოლიტიკური და არა ეთნიკური. ნიშანდობლივია, რომ ოსები არ აპროტესტებენ ქართველების მხრიდან დისკრიმინაციას, არამედ სურთ, რომ ძირძველი ქართული ტერიტორია გააერთიანონ ახალ საბჭოთა კავშირთან ან რუსეთის ფედერაციასთან და ამ მიზნისთვის საკუთარ და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს იყენებენ. ეს ეწინააღმდეგება თქვენს წერილში გამოთქმულ, არსებული საზღვრების ძალისმიერი გზებით შეცვლის მიუღებლობის პრინციპს.

წერილში ნახსენებია ქართველების მიერ მოკლული ოსები, თუმცა წერილი არაფერს ამბობს იმ ქართველებზე, რომლებიც მოკლული, ბარბაროსულად ნაწამები და დასახიჩრებულნი იყვნენ ოსების მიერ; არაფერია ნათქვამი 20 ათას ადამიანზე, რომლებიც ოსი ექსტრემისტების დამსახურებით საკუთარ ქვეყანაში დევნილებად იქცნენ; არაფერია ნათქვამი საბჭოთა არმიის მიერ დაბომბილ ქართულ სოფლებზე;

ნიქოზზე, ერედზე და ა.შ. და იმ ავღანურ ტაქტიკაზე, რომელსაც საბჭოთა შინაგანი ჯარი იყენებს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სინამდვილეში სამაჩაბლო) ქართული მოსახლეობა იძულებულია დაიცვას თავისი მიწა და ინტერესები. თუმცა, ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტას ვემხრობით.

რაც შეეხება თქვენს წუხილს ოპოზიციის დაკავებულ ლიდერებზე, გვსურს აღვნიშნოთ, რომ როგორც სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებში, საქართველოში გვყავს ლეგალური საპარლამენტო ოპოზიცია. მას აქვს ყველანაირი შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი, რომელიც სახელისუფლებოსგან განსხვავდება, არა მარტო პარლამენტში, არამედ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში. მეორე მხრივ, თქვენს წერილში დასახელებული პიროვნებები წარმოადგენენ შეიარაღებულ კრიმინალურ დაჯგუფებებს, რომლებიც არ ცნობენ რესპუბლიკის კონსტიტუციასა და ხელისუფლებას და უარს აცხადებენ პოლიტიკურ პარტიათა კანონის შესაბამისად დარეგისტრირდნენ პოლიტიკურ პარტიად. სადავო არ უნდა იყოს, რომ ჩვენი პოზიცია ანალოგიურია ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის მთავრობის პოზიციისა. ბატონები გ. ჭანტურია და გ. ხაინდრავა დაპატიმრებულნი იქნენ არა მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო, არამედ მასობრივი არეულობისა და შეიარაღებული ექსცესების ორგანიზებისთვის, რომელიც ყველგან კრიმინალურ ქმედებად განიხილება (ამ პიროვნებების მიერ სახელმწიფო უწყებებზე ორგანიზებულ თავდასხმებს რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა).

გვსურს გაცნობოთ, რომ მოვლენები საბჭოთა კავშირში მეტ-ნაკლებად მსგავსი სცენარით მიმდინარეობს. რეალობაში ეს ნიშნავს იმპერიის მიერ რესპუბლიკებში ჩადებული ნელი მოქმედების პოლიტიკური და ეთნიკური ნაღმების გააქტიურებას. სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ საქართველო იყო პირველი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც ჩაატარა დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნები და ჩამოაყალიბა დემოკრატიული სახელმწიფო უწყებები. ზემოთ თქმულიდან ცალსახაა, რომ თქვენი მოთხოვნების კავშირი საქართველოში არსებულ ობიექტურ რეალობასთან, არაადეკვატურია.

სამწუხაროა, რომ თქვენი მცდელობები, საქართველოზე ეკონომიკური გავლენა მოახდინოთ, იდენტურია ცენტრისა და ე.წ. დემოკრატიული რუსეთის, რომელსაც არ შეუძლია თქვას უარი იმპერიულ ამბიციებზე.

ბოლოს, ჩვენ გვჯერა, რომ უმოკლესი გზა ზემოთ ხსენებული პრობლემების მოსაგვარებლად არის საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობა, რომელიც გარდაუვალს გახდის ჰელსინკის საბოლოო აქტის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და პარიზის ქარტიის პრინციპების საქართველოში რეალიზაციას. იგივე შეიძლება ითქვას უსაფრთხოების პრობლემებზე, კერძოდ, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საკითხებზე. როგორც მოგეხსენებათ პირველი წერილიდან, საქართველოს შეუძლია მხოლოდ ფორმალურად შეუერთდეს ამ ხელშეკრულებებს და შესაბამისად, მისი ვალდებულება საერთაშორისო საზოგადოებისადმი ფორმალურია.

თუმცა ჩვენი სწრაფვა, რომ კავკასია ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდეს, ეჭვის ქვეშ არ უნდა დადგეს. აშშ-ის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, რა თქმა უნდა, გადაწყვეტდა ამ პრობლემებს. შეერთებულ შტატებს, თავის მხრივ, მეტი შესაძლებლობა ექნებოდა კავკასიის რეგიონში ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების ასპექტებზე გავლენის მოხდენისა. ნება მომეცით, აგრეთვე დაგარწმუნოთ, რომ ეს იქნება შიდა სტაბილურობის, ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საქართველოს დანარჩენი მსოფლიოსადმი ვალდებულებების განმტკიცების გარანტია. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია საქართველოში ამერიკელ დამკვირვებელთა გამოგზავნა, რომლებიც საკმარისად დიდი დროით დარჩებიან, რათა შეაფასონ რეალური სიტუაცია ზემოთ მოყვანილ სფეროებში. ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ ეს შესაძლებლობას მოგცემთ არ გქონდეთ დამახინჯებული ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაზე, რომელსაც იმპერიული მედია და დღევანდელი საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური ოპონენტები გაწვდიან თქვენ.

თქვენო აღმატებულება, მე კვლავ ვიყენებ ამ შესაძლებლობას, რათა მოგიწვიოთ თქვენ ან ადმინისტრაციისა და კონგრესის ნებისმიერი წარმომადგენელი ნებისმიერი პრობლემის განსახილველად და ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების გზების დასაგეგმავად“ (გამსახურდია, 1991ბ).

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიასა და ჯორჯ ბუშის (უფროსის) ურთიერთდამოკიდებულებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამსახურდია ამერიკელი კოლეგის იდეას საბჭოთა კავშირის შენარჩუნების აუცილებლობაზე, კატეგორიულად არ ეთანხმებოდა (შურლუაია, 2011). მეტიც, გამსახურდია ბუშს მიხეილ გორბაჩოვთან საიდუმლო გარიგებაში ადანაშაულებდა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, 1991 წლის 9 ნოემბერს, როდესაც ჯეიმს ბეიკერი ედუარდ შევარდნაძესა და მიხეილ გორბაჩოვს მოსკოვში შეხვდა, ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას შტატები არ სცნობდა (შურლუაია, 2011). ზვიად გამსახურდიას მთავრობის ურთიერთობა ამერიკის შეერთებულმა შტატებთან ამით დამთავრდა. საბოლოოდ, შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა, თვენახევრიანი ინტერვალით, მაინც აღიარა. თუმცა იმ დროისთვის საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, პოლიტიკური ვითარება უკვე მკვეთრად იყო შეცვლილი.

1991 წლის 25 დეკემბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი) მიესალმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს და მათთან დიპლომატიური ურთიერთობების სწრაფად დამყარების აუცილებლობაზე ისაუბრა (Bush, 1991). საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას პარლამენტის შენობის ბუნკერში შეხვდა და რამდენიმე დღეში ქვეყნის დატოვებაც მოუხდა. „ცივ ომში“ გამარჯვებულა ქვეყანამ საბოლოოდ ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარა, თუმცა იმჟამად ამის აღსანიშნავად არავის ეცალა.

მოგვყავს ფრაგმენტი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მისასალმებელი სიტყვიდან, რომლითაც მან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს მიმართა: „... ამერიკის შეერთებული შტატები დღეს, ასევე, აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ექვს რესპუბლიკას - მოლდოვას, თურქმენეთს, აზერბაიჯანს, ტაჯიკეთს, საქართველოსა და უზბეკეთს. ჩვენ დავამყარებთ დიპლომატიურ ურთიერთობებს მათთან მაშინ, როდესაც დავრწმუნდებით, რომ მათ იკისრეს საპასუხისმგებლო ვალდებულებები უსაფრთხოების პოლიტიკისა და დემოკრატიული პრინციპებისადმი...“ (Bush, 1991).

სწორედ 1991 წლის 25 დეკემბერია ის საწყისი თარიღი, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს. საქართველოს პრეზიდენტი ზვიად

გამსახურდია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაშინგტონის ამ გადაწყვეტილებას პარლამენტის შენობის ბუნკერში შეხვდა და მალევე დატოვა ქვეყანა. საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, რაც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე უარყოფითად აისახა.

გარდა ამისა, 1992 წლის 22 იანვარს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ვაშინგტონი 600 მილიონი დოლარის ღირებულების ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევდა (Bush, 1992a).

1992 წლის თებერვალში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბეიკერი საბჭოთა კავშირში შემავალ, იმჟამად კი დამოუკიდებელ, სახელმწიფოებს სტუმრობდა. საქართველოში ის არ ჩამოსულა. 1992 წლის 19 თებერვალს, მოსკოვში, სასტუმრო „ოლიმპიკ პენტაში“, პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასა და ჯეიმს ბეიკერს შორის შედგა შეხვედრა. საქართველოს მთავარი მიზანი შეერთებული შტატების მხარდაჭერის მოპოვება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანება იყო (ჩიკვაიძე, 2017).

საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობდა როგორც შტატებთან, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობასთან, რათა საქართველოს წევრობისთვის მხარი დაეჭირათ. საბოლოოდ, საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანდა და ნიუ-იორკის შტაბ-ბინაშიც საქართველოს დროშა აღიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შიდა პოლიტიკური არეულობა და დაპირისპირება იყო, საქართველო ცდილობდა საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლას და პარტნიორების მოძიებას, თუნდაც ოკეანის გაღმა, რაც ჩვენი შეფასებით, სტრატეგიულად გამართლებული იყო.

1.3. ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი საქართველოში

საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ჯერ აღიარება, შემდეგ - დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.

1992 წლის მარტიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლება შტატებიდან დიპლომატიურ გზავნილს ელოდა - ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გახსნას თბილისში და პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებას.

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები საკმაოდ მალე, საბჭოთა კავშირის დაშლიდან თითქმის 4 თვეში, დამყარდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სამხრეთ კავკასიაში, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში, უადრესად მნიშვნელოვანი იყო დიპლომატიური მისიების გახსნა.

საბოლოოდ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში 1992 წლის 23 აპრილს გაიხსნა. ამერიკული მხარე მოხარული იყო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით და აღნიშნავდა, რომ საელჩოს გახსნაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის მეტაურმა ედუარდ შევარდნაძემ და მთავრობის სხვა წევრებმა. აღნიშნულ საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ ამერიკული საზოგადოების წარმომადგენლები და ამერიკელი სენატორი ალან კრანსტონი (Tutwiler, 1992a).

მარგარეტ ტუტვილერი აღნიშნავდა, რომ ედუარდ შევარდნაძე ორმხრივი, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაში აქტიურად მონაწილეობდა (Tutwiler, 1992a). ვთვლით, რომ ამერიკელი სენატორის სიმბოლური დასწრებაც კი იმის დასტური იყო, რომ ამ დიპლომატიურ ღონისძიებას შტატები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1992 წლის 2 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საგარეო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი კენტ ბრაუნი ოფიციალურად დანიშნა აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საქართველოში (Bush, 1992b).

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აღნიშნა, რომ ბრაუნი საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკური მრჩეველი იყო, რომელიც მუშაობდა ბელგიაში; გარდა ამისა, 1988-1990 წლებში ის მოღვაწეობდა უფროს პოლიტიკურ მრჩეველად შეერთებული შტატების ორმხრივი და ძალთა შემცირების დელეგაციის კომიტეტში ავსტრიაში (ვენა). 1983-1984 წლებში ბრაუნი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის თავდაცვის კოლეჯის სტუდენტი იყო იტალიაში, რომში; 1980-1983 წწ.-ში - კონსული და პოლიტიკური ოფიცერი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში მოსკოვში, 1975-1979 წწ.-ში კი - საერთაშორისო ურთიერთობების ოფიცერი ევროპის საქმეების სახელმწიფო

დეპარტამენტში. ბ-ნმა ბრაუნმა განათლება კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო (Bush, 1992b).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის დაშლისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების აღიარების შემდეგ, ზემოხსენებულ ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტები დაგეგმა. 1992 წლის 3 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი რუსეთის ფედერაციას ესტუმრებოდა (Tutwiler, 1992b). მიუხედავად ამისა, ამერიკული მხარე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ოფიციალურ შეხვედრებს ჯერჯერობით არ გეგმავდა. მის ინტერესებში იმ ეტაპზე აზერბაიჯანი, მოლდოვა ან საქართველო არ შედიოდა. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, საქართველოს გაურკვეველი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება იყო - სამოქალაქო დაპირისპირება, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ ჯერ ქვეყნის დატოვება, ხოლო შემდეგ მომხრეებთან ერთად დასავლეთ საქართველოში დაბრუნება და ბრძოლის გაგრძელება ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დამყარების პოლიტიკური ჰორიზონტი კი მხოლოდ 1992 წლის მარტში გაჩნდა, როდესაც საქართველოში ედუარდ შევარდნაძე, საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, დაბრუნდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ გარემოებამ დააჩქარა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. ედუარდ შევარდნაძეს დიდი ხნის კავშირები ჰქონდა როგორც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან, ისე სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერთან. საერთაშორისო ასპარეზზე შევარდნაძე თავისი სამშვიდობო მიღწევებით საკმაოდ ცნობილი პოლიტიკური ფიგურა იყო.

ედუარდ შევარდნაძე ამერიკული მხარისთვის მისაღები პოლიტიკოსი იყო. ამას ადასტურებდა თეთრი სახლის პრეს-სპიკერის, რიჩარდ ბუშერის, 1992 წლის 15 მარტს გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს შემთხვევაში სასწრაფოდ ზუსტდებოდა საელჩოს გახსნასთან დაკავშირებული ყველა დეტალი და, რაც მთავარია, თარიღი (Boucher, 1992a). აღნიშნული განცხადება იმას მოწმობდა, რომ ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობები მალე დამყარდებოდა. მართლაც, 1992 წლის 25 მარტს შტატებმა განაცხადა, რომ იმავე წლის 15 აპრილისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკელი დიპლომატების პირველი ნაკადი ჩავიდოდა

(Tutwiler, 1992c). 1992 წლის 24 მაისს კი თეთრი სახლის განცხადებით, ამერიკულ მხარეს იმედი ჰქონდა, რომ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით საქართველოში სამოქალაქო წესრიგი აღდგებოდა და საპარლამენტო არჩევნებიც კი მომავალ წელს გაიმართებოდა. ვაშინგტონი თვლიდა, რომ ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება საქართველოს მიერ მომავალში გადადგმულ ნაბიჯებზე იქნებოდა დამოკიდებული (Fitzwater, 1992b).

1992 წელს „The New York Times” საქართველოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას გამოეხმაურა. მასალის ავტორი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს საქართველო საერთაშორისო და პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა, ედუარდ შევარდნაძე არჩევნებში მონაწილეობას და ხელისუფლებაში მოსვლას აპირებდა (The New York Times, 1992).

1992 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გაკეთებული ოფიციალური განცხადებების საფუძველზე ცხადი გახდა საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობებით ამერიკული მხარის დაინტერესება. ის გამოხატავდა მზადყოფნას დახმარებოდა საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაში, დემოკრატიის განმტკიცებასა და არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში. ამკარა იყო, რომ შტატები ცდილობდა ქართულ მხარესთან საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას, რაც საერთო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საწინდარი იქნებოდა. აშშ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებშიც მხარდაჭერას უცხადებდა. მას საქართველოში ფუნდამენტური ცვლილებები აინტერესებდა, კერძოდ, ის, რომ ქვეყანა რეალურად დადგომოდა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზას, განვითარებულიყო სახელმწიფო, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპზე იქნებოდა ორიენტირებული. ამ რთული, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მიზნისკენ მიმავალ გზაზე შტატები საქართველოს გვერდით იყო პოლიტიკური, ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარების კუთხით. საქართველოს მხოლოდ საერთაშორისო დონეზე საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისადმი ერთგულება მოეთხოვებოდა.

საქართველო, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური მხარდაჭერისა და აღიარებისთვის აქტიურად იბრძოდა. მის

უახლეს ისტორიაში ბევრი გავლენიანი პირისა თუ სახელმწიფო მოღვაწის სტუმრობაა გამორჩეული, თუმცა, ვფიქრობთ, რომ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამდე რამდენიმე კვირით ადრე ცივ ომში გამარჯვებული ქვეყნის პირველი დიპლომატის ვიზიტი და მხარდაჭერა, მართლაც, აღსანიშნავია.

1992 წლის 21 მაისს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი საქართველოს ესტუმრებოდა. აშკარა იყო ვაშინგტონის დაინტერესება თბილისთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებით. შტატები მზად იყო საქართველოს თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დაარსებასა და გაძლიერებაში აქტიურად დახმარებოდა. რაც მთავარია, ჯეიმს ბეიკერი საქართველოს მთავრობის მეთაურს, ედუარდ შევარდნაძეს, შეხვდებოდა (Boucher, 1992b). აღნიშნული ვიზიტი მსოფლიო მედიის ყურადღების ქვეშაც მოექცა. დასავლური პრესა ხშირად წერდა, რომ ბეიკერი საქართველოში პირადი მეგობრის მხარდასაჭერადაც ჩადიოდა, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა (Crossette, 1992). მიუხედავად ამისა, 1992 წელს, როდესაც ქვეყანა ახალი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას სწავლობდა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი, უდავოდ, დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო.

მართლაც, 1992 წლის 25 მაისს საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ესტუმრა. ედუარდ შევარდნაძემ უმაღლესი ამერიკელი დიპლომატის ვიზიტი დადებითად შეაფასა. მან თავის წიგნში გაიხსენა თბილისის აეროპორტში ჯეიმს ბეიკერის ნათქვამი: „ჩვენ ჩამოვიტანეთ იმ ძალისხმევის პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელსაც ეწევა თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა, გვწამს, რომ საქართველო დარჩება დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე“ (შევარდნაძე, 2006: 326). რასაკვირველია, ბეიკერის ვიზიტი დამოუკიდებლობის პირველ წლებში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იყო საქართველოსთვის. გელა ჩარკვიანის მემუარებში ნათქვამია, რომ ბეიკერმა, თუ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს დიტრიხ გენშერმა, შეიძლება ითქვას, შევარდნაძეს პოლიტიკურად მხარი „ავანსად“ დაუჭირეს (ჩარკვიანი, 2016: 14). პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად, დასავლეთს აუცილებლად მიაჩნდა ხელისუფლების ლეგიტიმაცია, რაც არჩევნების ჩატარების გარეშე გამორიცხული იყო.

„ეს იყო დროული, ძლიერი და საყოველთაო პოლიტიკური მხარდაჭერა. და ჩვენ ასეც გავაგრძელებთ, თუ საქართველო დაიცავს მსოფლიოში აღიარებულ ყველა ნორმას და ჩაატარებს თავისუფალ არჩევნებს, ამ უძნელეს გამოცდას ნებისმიერი დემოკრატიისთვის“ (შევარდნაძე, 2018:40.) ასე აფასებდა საქართველოს მეთაური მსოფლიოში პირველი დიპლომატის ვიზიტს.

1992 წელს ედუარდ შევარდნაძე საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მეთაურად და სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს. ბუნებრივია, მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მყოფ შევარდნაძეს ძალიან სჭირდებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. პოსტზე არჩევიდან მალევე მან მილოცვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისგან მიიღო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვაშინგტონიდან მოსული ოფიციალური წერილების პრესაში დაბეჭვდაზე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში გადაწყვეტილებას თავად ვერ ან არ იღებდა; ასევე, უცნობია, ეს დირექტივა სახელმწიფო დეპარტამენტიდან მოდიოდა თუ არა. აღნიშნული წერილების გასაჯაროების თაობაზე ამერიკულ მხარესთან კოორდინაცია იმდენად დიდხანს გრძელდებოდა, რომ ხშირად აზრიც კი ეკარგებოდა მათ გამოქვეყნებას. აქედან გამომდინარე, მსგავსი ტიპის წერილები, თუკი სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის შემცველი არ იყო, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გვერდის ავლით ხშირად ქვეყნდებოდა. ამ ნაბიჯით კი ამერიკული მხარე თბილისში გარკვეული სახის ვალდებულებებისგან თავისუფლდებოდა (ჩარკვიანი, 2016:48).

საქართველოში ვიზიტისას ბეიკერმა განაცხადა, რომ აშშ-ის მიზანი იყო ახალი საქართველოს მშენებლობაში წვლილის შეტანა. სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა, საკმაოდ მცირე დროში აღიარა. ბეიკერის აზრით, ორი საუკუნის მანძილზე ამერიკა მყარად იცავდა დემოკრატიისა და თავისუფლების პრინციპებს, ამიტომაც მისთვის ამ ღირებულებებისადმი სხვა ქვეყნების დამოკიდებულება სულერთი არ იყო. თუკი უწინ შტატები ეჭვს გამოთქვამდა საყოველთაოდ აღიარებული ამ პრინციპების საქართველოს მხრიდან მხარდაჭერაში, ახლა ის უკვე დარწმუნებული იყო, რომ ქვეყანა თავისუფლებასა და მსოფლიოში აღიარებულ ყველა ნორმას ერთგულად უჭერდა მხარს. განსაკუთრებით კი ედუარდ

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში (შევარდნაძე, 2006:327). ეს იყო 25 მაისს, მეორე დღეს - 26 მაისს, საქართველო დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის 74-ე წლისთავს ზეიმობდა.

შევარდნაძის მემუარებში აღნიშნულია, რომ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე, შტატების სახელმწიფო მდივანმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც, ვფიქრობთ, პოლიტიკური ელფერის გარდა, მხარდაჭერის, გამხნეების ელემენტებსაც შეიცავდა. ბეიკერი საქართველოს ულოცავდა დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და სახელმწიფოებრიობის აღდგენას. თუკი 70 და მეტი წლის წინ შტატებმა არ ისურვა საქართველოს აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, 1992 წელს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ქართველებთან ერთად ზეიმობდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს (შევარდნაძე, 2006:328).

ედუარდ შევარდნაძემ აღწერა, თუ როგორ აშუქებდა დასავლური მედია ჯეიმს ბეიკერის ვიზიტს. „პატარა ქვეყანამ საქართველომ, რომელიც ძლიერი მეზობლებით არის გარშემორტყმული, გადაიტანა უამრავი შემოსევა და ყოველთვის, დამარცხების შემდეგ, ფენიქსის მსგავსად ფერფლისაგან აღდგებოდა ხოლმე“, - წერდა რობერტ პარსონი (შევარდნაძე, 2006:327).

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჩიკვაიძის განცხადებით, რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველო პოლიტიკურ იზოლაციაში იყო და უკვე იწყებოდა ეტაპი, რომელიც მას ამ საერთაშორისო და პოლიტიკური იზოლაციიდან გამოსვლაში დაეხმარებოდა (ჩიკვაიძე, 1992). ალექსანდრე ჩიკვაიძე, ასევე, ხაზს უსვამდა საქართველოს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასა და ვალუტის კურსს. მისი აზრით, საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება ვერ და არ გადაჭრიდა, ამიტომაც საჭირო იყო ეკონომიკური სისტემის რეკონსტრუქცია და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია (Chikvaidze, 1992).

მართალია, ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი საქართველოში 24 საათს თუ გაგრძელდა, მაგრამ ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების მკაფიო გზავნილი, რომ საქართველო მისი გეოპოლიტიკური ინტერესების არეალში შედიოდა.

1992 წელი აღსანიშნავია იმითაც, რომ ჯორჯ ბუშის (უფროსის) პრეზიდენტობის ბოლო 365 დღე იყო. მიუხედავად ამისა, სულ რაღაც რამდენიმე თვეში საქართველომ და შტატებმა რეალურ დიპლომატიურ შედეგებს მიაღწიეს.

საქართველო-შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობები საკმაოდ დინამიკურად და ეფექტურად ვითარდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მმართველობის ბოლო წელი ქართულ-ამერიკული დიპლომატიური და ორმხრივი თანამშრომლობის დასაწყისი აღმოჩნდა, რამაც განსაზღვრა შემდგომი დიპლომატიური ურთიერთობები. ეს ურთიერთობები კი მნიშვნელოვანი და სტარტეგიული აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიაში.

1.4. ამერიკული ჰუმანიტარული და პოლიტიკური მხარდაჭერა

საქართველოს 1990-იანი წლების კრიზისების პერიოდში

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლის პროცესში, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება საქართველოსთან მიმართებით ამერიკელი დიპლომატების დამოკიდებულების წარმოჩენა და ანალიზი, ვინაიდან ასეთი სახის განცხადებები ხშირად, პირდაპირ თუ ირიბად, შეიცავდა საინტერესო პოლიტიკურ თუ დიპლომატიურ გზავნილებს, რომლებშიც აქცენტები სწორად იყო დასმული.

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების 26 წლის მანძილზე აშშ საქართველოს პირველი დონორი ქვეყანა იყო და არის ფინანსური, ჰუმანიტარული თუ ტექნიკური დახმარების კუთხით. რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, შტატები უკვე წლებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე მხარდამჭერია. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების უპირობო მომხრეა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შტატები საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამდეც უგზავნიდა. ამას ადასტურებს 1992 წლის 28 ივნისს თეთრი სახლის პრეს-სპიკერის, ფიზუოთერის, განცხადება იუგოსლავიასა და კავკასიაში დევნილების ჰუმანიტარული დახმარების შესახებ (Fitzwater, 1992a). აღნიშნული განცხადებიდან ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 9 მილიონი დოლარის დახმარებას გაუწევდა იძულებით

გადადგილებულ პირებს იუგოსლავიაში და 4 მილიონი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარულ დახმარებას გამოჰყოფდა დევნილებისთვის სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის - სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის. განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ეთნიკურ ნიადაგზე მსხვერპლთა საერთო რაოდენობამ საგრძნობლად იმატა, მათ შორის, სამხრეთ ოსეთშიც, საქართველოში. ჰუმანიტარული დახმარების მიზანი იყო იძულებით გადაადგილებული პირების უზრუნველყოფა როგორც სამედიცინო, ისე სხვა სახის სოციალური პროგრამებით (Fitzwater, 1992a). ზემოხსენებული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ შტატები საქართველოს მოსახლეობის ზოგადი მდგომარეობითა და მშვიდობის განმტკიცების პროცესით იყო დაინტერესებული. გარდა ამისა, თეთრი სახლის განცხადებით, აშშ-ის მთავარი საზრუნავი იმ ეტაპზე საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების უსაფრთხოდ გაგზავნა იყო და მათ მჭიდრო კოორდინაცია ჰქონდათ საჰაერო ძალებთან, რათა აღნიშნული მისია შესრულებულიყო. გარდა ამისა, მარგარეტ ტუტვილერი აღნიშნავდა, რომ ისინი ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნას გააგრძელებდნენ (Tutwiler, 1992d). საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, რასაკვირველია, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებაც გარკვეულ საფრთხეებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, 1992 წლის 23 მარტს ცნობილი გახდა, რომ შეერთებული შტატები 22 ტონა მოცულობის სამედიცინო და ჰუმანიტარულ დახმარებას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის მაინც გამოყოფდა, რომელიც ჯერ გერმანიაში ჩავიდოდა, ხოლო შემდეგ აღნიშნულ ქვეყნებში გემის საშუალებით გაიგზავნებოდა (Tutwiler, 1992e). ვთვლით, რომ ამერიკული დახმარება საქართველოში ნამდვილად საჭირო დროს იგზავნებოდა და სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ, ამერიკული ჰუმანიტარული მისიები საქართველოში კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ამას ადასტურებს 1992 წლის 4 მაისს საქართველოში სამედიცინო დახმარების ორი და საკვებით დახმარების სამი თვითმფრინავის ჩამოფრენა, რომლებსაც ედუარდ შევარდნაძე პირადად დახვდა აეროპორტში (Tutwiler, 1992f).

1992 წელს, საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების გამო, მძიმე ვითარება შეიქმნა სამედიცინო სფეროში. მედიკამენტების ნაწილი დეფიციტში იყო, საავადმყოფოებში კი წამლების მარაგი იწურებოდა. ქვეყანა სასწრაფოდ საჭიროებდა სამედიცინო ჰუმანიტარულ დახმარებას.

1992 წლის 21 ივნისს საქართველოში ნიუ-ჯერსის შტატიდან თვითმფრინავი C-141 დაეშვა. სამედიცინო და ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს ინსულინის 194 000 ფლაკონი და 500 000 ცალი ნემსი გადაეცა. მარგარეტ ტუტვილერის განცხადებით, ზემოხსენებულ დახმარებაზე ჯერ კიდევ სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და საქართველოს მთავრობის მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეთანხმდნენ (Tutwiler, 1992f).

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებშივე აქტიურად დაიწყო ქვეყნისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. ამ ფაქტს ედუარდ შევარდნაძეც ადასტურებდა. სახელმწიფოს მეთაური მოგვიანებით წერდა, რომ ბეიკერმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე პირველი და სასწრაფო დახმარება გაგვიწია. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) ასი ათასი ტონა ხორბალი გამოგზავნა (შევარდნაძე, 2006:330). ქვეყნისთვის, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და მოსახლეობის დიდ ნაწილს პურის რიგში დგომა საათობით უწევდა, ბუნებრივია, ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი დახმარება იყო.

ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, ვინ იყო პრეზიდენტი - ჯორჯ ბუში (უფროსი), ბილ ქლინტონი თუ ჯორჯ ბუში (უმცროსი), სისტემატურად გვეხმარებოდა ეკონომიკურად, პოლიტიკურად, ფინანსურად და ჰუმანიტარულად და რაც მთავარია, თავდაცვითი პროგრამებით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობების დროს საქართველოს ინტერესების დამცველი ამერიკა გახდა (შევარდნაძე, 2006:330). ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა და სამხრეთ კავკასიის ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ეს მართლაც დიდი მხარდაჭერა იყო. ედუარდ შევარდნაძე ამერიკის შეერთებული შტატების როლს საქართველოსთან მიმართებით ძალიან კარგად აცნობიერებდა და მისი დიპლომატიური სვლებიც ამის დასტური იყო. მან შეძლო ფრთხილი პოლიტიკური ნაბიჯებით, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგებით,

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები პრაგმატულად და პარტნიორულად ჩამოეყალიბებინა, რაც საქართველოსთვის იმ ურთულეს ვითარებაში გადაწყვეტი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საშინაო თუ საგარეო პრობლემები არ აკლდა, ქვეყანა საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად და პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად მაინც იბრძოდა.

1992 წლის ზაფხულში, ჰელსინკიში სამიტის დროს, შევარდნაძესა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს (უფროსს) შორის აუდიენცია დაიგეგმა. ცნობილი ქართველი დიპლომატი და პუბლიცისტი გელა ჩარკვიანი იხსენებს, რომ ზემოხსენებულ ორ ლიდერს პოლიტიკური თუ დიპლომატიური ურთიერთობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, მათი შეხვედრა საკმაოდ ემოციური და ურთიერთსიმპატიით იყო გამსჭვალული (ჩარკვიანი, 2016:28). შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვეყნის ლიდერს შორის მეგობრული დიალოგი გაიმართა, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ თავის მემუარებში გაიხსენა: შევარდნაძე - „ჯორჯ, ვიცი ახლა შენთან ვინც მოდის, ყველა რაღაცას გთხოვს. იცოდე, მე იმისთვის მოვედი შენთან, რომ არაფერი არ გთხოვო“ (ჩარკვიანი, 2016:28). აი, ასეთი იყო შევარდნაძის პირველი პოლიტიკური და დიპლომატიური სვლა მსოფლიოს ზესახელმწიფოს ლიდერთან. პრეზიდენტ ბუშის პასუხმაც არ დააყოვნა: ბუში - „პირდაპირ თქვი, ედუარდ, რა გინდა“ (ჩარკვიანი, 2016:28). რასაკვირველია, სამოქალაქო ომში გახვეულ და ურთულეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას პოლიტიკური ან სხვა სახის ბევრი თხოვნა ექნებოდა პლანეტის ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოსთან, მაგრამ ედუარდ შევარდნაძე იმჟამად ხორბლის ყიდვის სურვილით შემოიფარგლა. საქართველოში ხორბლის მარაგი იწურებოდა და ისედაც ღატაკ ქვეყანაში პურის დეფიციტი ბუნტის ტოლფასი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებულ შტატებს დახმარება თხოვა (ჩარკვიანი, 2016:28). თხოვნის შესრულებამ ამერიკული მხარისგან არ დააყოვნა. შევარდნაძეს სამიტის დროს ბეიკერმა აცნობა, რომ 30 ათასი ტონა ხორბლით დატვირთული გემი უკვე შავ ზღვაში იყო და საქართველოსკენ მიემართებოდა (ჩარკვიანი, 2016:28).

1992 წლის ჰელსინკის სამიტზე საქართველო შეუერთდა ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმების დასკვნით აქტს, რომლის ერთ-ერთი მთავარი დებულება საზღვრების ურღვეობის პრინციპებისადმი ქვეყნების ერთგულებას მოითხოვდა.

აშკარაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან პოლიტიკური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, ედუარდ შევარდნაძე აქტიურად ცდილობდა, რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებებში ვაშინგტონს საქართველოს ინტერესები დაეცვა. ამისკენ იყო მიმართული ის დიპლომატიური ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავდა დასავლეთის მაქსიმალურად ინფორმირებას კავკასიაში რუსეთის ფედერაციის ქმედებების შესახებ.

1993 წლის 8 აგვისტოს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვოს სააგენტოს ოფიცერი-ფრედ ვუდრაფი მოულოდნელად მანქანაში სიბნელიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. (ჩარკვიანი, 2016:75). საბედნიეროდ, ეს შემთხვევა ქართულ-ამერიკულ ორმხრივ ურთიერთობებზე ნეგატიურად არ ასახულა, თუმცა ეს მოწმობს იმას, თუ რაოდენ მძიმე მდგომარეობა იყო ქვეყანაში უსაფრთხოების მხრივ.

1993 წლის 2 სექტემბერს შევარდნაძე მოსკოვში გაფრინდა. დაიგეგმა შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინთან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სეპარატისტ ლიდერ ვლადისლავ არძინბასთან (ჩარკვიანი, 2016:31). შეხვედრის მთავარი მიზანი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტზე ხელის მოწერა იყო. შეთანხმების მიხედვით, 1993 წლის 5 სექტემბრის 12 საათიდან ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო და ყველა დაქირავებულ ჯარისკაცს აფხაზეთის ტერიტორია დაუყოვნებლივ დაეტოვებინა (ჩარკვიანი, 2016:31). მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულმა მხარეებმა დოკუმენტის პირობებზე თანხმობა ხელმოწერით დაადასტურეს, ის ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ოფიციალური კრემლის მიერ ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულება, მხოლოდ ფარატინა ქალაქის სახით დარჩა.

საქართველოში დაბრუნებულმა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ კი გადაწყვიტა, რომ სასწრაფოდ მოემზადებინათ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის ლიდერებისთვის გასაგზავნი წერილები, სადაც განმარტებული იქნებოდა 1993 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების არსი და მისი შესრულების მნიშვნელობა (ჩარკვიანი, 2016:32).

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის წარმომადგენლებს სთხოვდა 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელმოწერილი სამშვიდობო დოკუმენტის დაცვასა და

ვალდებულებების შესრულებას (სსა, დოკ. 1211). გარდა ამისა, ამერიკული მხარე დიდ იმედს გამოთქვამდა, რომ მთავრობის მეთაური ე. შევარდნაძე შეძლებდა არსებული კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრას. თეთრი სახლის განცხადებით, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ედუარდ შევარდნაძეს ბოლო დღეების განმავლობაში მხარდამჭერი წერილიც კი მისწერა (სსა, დოკ. 1211).

1993 წლის 27 ივლისს ხელმოწერილი დოკუმენტის შეუსრულებლობა და აფხაზების მხრიდან ქალაქ სოხუმზე, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებზე, იერიში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 1993 წელს მკაცრად დაგმო. სახელმწიფო დეპარტამენტი მოუწოდებდა აფხაზ სეპარატისტებს ნაკისრი ვალდებულებების დაუყოვნებლივ შესრულებისკენ. გარდა ამისა, ის აცხადებდა, რომ მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში, მათი რწმენით, რუსეთის ფედერაციას ჯერ კიდევ შეეძლო დადებითი და ეფექტური როლის შესრულება. მაკკურის თქმით, შეერთებული შტატები სრულად უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ამასთან, აღნიშნავდა, რომ ვინაიდან საქართველოს მთავრობის მეთაური ედუარდ შევარდნაძე სოხუმში იმყოფებოდა, მასთან პირდაპირი კომუნიკაცია ვერ მყარდებოდა და შესაბამის ინფორმაციას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მეშვეობით იღებდნენ (სსა, დოკ. 1211).

ედუარდ შევარდნაძე, მიუხედავად ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისა, აქტიურად ცდილობდა არა მარტო ვაშინგტონის, არამედ მსოფლიოს სხვა წამყვანი ქვეყნების ყურადღების მობილიზაციას საქართველოში მიმდინარე მძიმე პროცესებთან დაკავშირებით. ის მაქსიმალურად იყენებდა ყველა პოლიტიკურ ტრიბუნას, რათა საქართველოში არსებული ვითარების შესახებ ამერიკელ პარტნიორებს მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონოდათ. ამის დასტურია 1992 წლის სექტემბერში, ნიუ-იორკში, შევარდნაძის შეხვედრა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატ ალბერტ გორთან (ჩარკვიანი, 2016:36).

აფხაზეთში სეპარატისტების გამარჯვებით ქვეყანაში გამოწვეულ არეულობას ამერიკის შეერთებული შტატები დიდ ყურადღებას რომ ანიჭებდა, ეს მარტივად დასტურდება ორმხრივი შეხვედრებითა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლით. ასე, მაგალითად, 1993 წლის ოქტომბერში ცნობილი გახდა, რომ შტატების სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე

ჩიკვაიძე შეხვდებოდა. ამერიკული მხარის განცხადებით,მათთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება და არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით ქვეყნის მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის, ხედვების მოსმენა (სსა, დოკ. 1211).

1994 წლის 1 ოქტომბრიდან 1995 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით საქართველოსათვის გაწეულმა ამერიკულმა ჰუმანიტარულმა დახმარებამ შემდეგი სფეროები მოიცვა: 1. სასურსათო დახმარება - 26.100.100 ამერიკული დოლარი; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით - 57.000.000 ამერიკული დოლარი; მედიკამენტების გადაზიდვებისა და მისი მარაგისთვის - 25.490.000 ამერიკული დოლარი. ჯამში - 108.590.000 ამერიკული დოლარი (სსა, დოკ. 1212).

როგორც ვხედავთ, საკვლევ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკური ურთიერთობების ყველა დონეზე ცდილობდა კავშირების დამყარებასა და გაღრმავებას. გარდა ამისა, ქვეყანა ნელ-ნელა გამოდიოდა საერთაშორისო იზოლაციიდან და ახერხებდა საგარეო არენაზე დამკვიდრებას პოლიტიკური, ეკონომიკური თუ უსაფრთხოების თვალსაზრისით. მისასალმებია,ამერიკული მხარის მხარდაჭერა

1.5. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს

საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ მზად იყო, ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორებიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, გაწევრიანების პროცესში დახმარებოდა (Fitzwater, 1992b).

1995 წლიდან აშშ საქართველოსთან ერთად საერთო პოლიტიკურ, სამხედრო და უსაფრთხოების კონცეფციებზე მუშაობდა. შტატები განიხილავდა ქართული მხარის ყველა შესაძლო მონაწილეობას საერთაშორისო პროგრამებში თავდაცვისუნარიანობის ეფექტიანობის გაზრდისა და დასავლურ სტანდარტებთან დასაახლოებლად. ამის დასტური იყო ისიც, რომ 1995 წლიდან მოყოლებული საქართველომ მრავალი შეთანხმება დადო პარტნიორებთან და სასწავლო პროექტებშიც აქტიურად მონაწილეობდა.

1992-1995 წლებში, რუსეთის ფედერაცია კვლავ ცდილობდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დასავლურ არეალში შესვლისათვის ხელი შეეშალა საშინაო კონფლიქტებში რუსული სამხედრო ძალის გამოყენებით. ეს, ბუნებრივია, დასავლეთის უკმაყოფილებას იწვევდა, რომელიც, თავის მხრივ, მომავალში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოებას გეგმავდა (Bescotti, 2018). ექსპერტები აქტიურად საუბრობდნენ შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის დაპირისპირებაზე ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე გავლენის მოსაპოვებლად.

1995 წელს საქართველოს აშშ-ის გაერთიანებული ჯარების სარდალი, წარმოშობით ქართველი გენერალი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი ეწვია. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა არაოფიციალური იყო, ქართულ მხარესთან მოხდა შეთანხმება საქართველოსთვის გამოთვლითი ტექნიკისა და პროგრამული საშუალებების გადაცემის თაობაზე (სსა, დოკ. 1723).

1995 წლისთვის ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ურთიერთობების განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდნენ. საქართველო ამ დროისთვის უკვე დაინტერესებული იყო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსითა და მასში გაწევრიანების პერსპექტივით. ამის დასტური იყო ის ფაქტიც, რომ 1995 წლის 26-27 სექტემბერს რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველმა დავით სუმბაძემ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტში შეხვედრები გამართა. ქართული მხარის მიზანი იყო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიერ მიღებული ახალი დოკუმენტის გაზიარება, რომელიც მის შესაძლო გაფართოებას ითვალისწინებდა (სსა, დოკ. 1726). აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყენებდა ყველა ხერხს აშშ-თან ურთიერთობების გასაღრმავებლად 1995 წლიდან საქართველოს მისწრაფება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად იზრდება. 1997 წელს საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა ეწვია და საქართველოს მთავრობასთან შეხვედრები გამართა (Koiava...2017:15).

1996 წელს დამტკიცდა „საქართველოსა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამა“. 1996 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან „მშვიდობისთვის თანამშრომლობის“ მიზნებისთვის 40 მილიონი დოლარი გამოიყო. დაფინანსება შეეხო ე. წ. „ვარშავის ინიციატივასაც“ (სსა, დოკ. 1848).

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ამერიკული მხარის ამ გადაწყვეტილებით სარგებლობა ქართულ მხარესაც შეეძლო. საქართველო აპირებდა ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული თითქმის ყველა ღონისძიების დაფინანსებას.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყაროს მონაცემებით ირკვევა, რომ 1995 წლის 28 სექტემბერს, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში, მონაწილე 25 ქვეყნისთვის, გაიმართებოდა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პრეზენტაცია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პროექტში რუსეთის ფედერაციაც მონაწილეობდა. ამერიკული მხარე დიდ კმაყოფილებასა და სურვილს გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებულ პრეზენტაციას საქართველოს დელეგაციაც დაესწრებოდა. წარმომადგენლობითი წევრების სიაში რ. ადამია, ა. გეგეშიძე, დ. დონდუა და ვ. იმნაძე შედიოდნენ (სსა, დოკ. 1723). სამიტის ფარგლებში გადაწყდა, რომ 4-5 კაციანი ჯგუფები ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყნებში, მისიის ფარგლებში, საქართველოს დოკუმენტის შინაარსსა და დეტალებს გააცნობდნენ, კერძოდ, თუ რა კრიტერიუმები იყო საჭირო ჩრდილო-ატლანტიკურ საბჭოში გასაწევრიანებლად (სსა, დოკ. 1724).

შეერთებული შტატების მხარდაჭერით, ქართული მხარის აქტიურობა აღნიშნულ შეხვედრებში მიეღო მონაწილეობა, იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს საქართველოს უკვე ჰქონდა იდეაში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის უპირატესობებს ზიარებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკურ და სამხედრო კავშირებში შესასვლელად მზადების პროცესი მხოლოდ თეორიულ დონეზე ჰქონდა დაწყებული, ასეთი მისიის მოწვევის სურვილი ქართულმა მხარემ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან გამოთქვა და ოფიციალური მოწვევაც გაუგზავნა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინას (სსა, დოკ. 1723). ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, საქართველოს უნდა შეემუშავებინა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის რეალისტური პროგრამა და შემდეგ უნდა მომხდარიყო მისი წარდგენა ალიანსისთვის (სსა, დოკ. 1723).

აქ მოყვანილი ფაქტებიდან ცხადი ხდება, რომ ამერიკული მხარე საქართველოს წელი ნაბიჯებით, მაგრამ ნამდვილად ამზადებდა საერთაშორისო თავდაცვითი და უშიშროების ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად, მათ შორის, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსშიც. შესაძლებელია, 1995 წელს საქართველოს გაწევრიანება ამ დონის სტრუქტურაში იდეალიზმის გამოხატულებად წარმოჩნდეს, თუმცა, ვფიქრობთ, ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს ბევრად შორსმიმავალი და სტრატეგიული მიზნები ჰქონდათ. სწორედ ამგვარი გაცნობითი ხასიათის პროგრამები გახდა ურთიერთობების დასაწყისის საწინდარი.

რასაკვირველია, ზემოხსენებულ მოქმედებებს ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში, საქართველოს ალიანსთან თანამშრომლობის საკოორდინაციო კომისიისა და საქართველოს საელჩოს აქტიური ქმედებების წყალობით ბრიუსელსა და ვაშინგტონში, 1995-1996 წლებში, საქართველოს დაახლოებით 3-4-ჯერ უფრო მეტი თანხა გამოეყო, ვიდრე 1994-1995 წლებში. 1994-1995 წწ.-ში კი რეფორმებისთვის გამოყოფილი თანხა 170 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენდა (სსა, დოკ. 1726). აქედან 70 ათასი დოლარი საქართველოს დელეგაციის შტატებში ვიზიტებს მოხმარდა, ხოლო თანხის ნაწილი ერთობლივ ვარჯიშებში დაიხარჯა აშშ-ში, ბულგარეთსა და რუმინეთში საქართველოს დამკვირვებლის დონეზე მონაწილეობისთვის (სსა, დოკ. 1726). ამერიკულ მხარეს, ასევე, სურდა, რომ მისი სამხედრო ატაშეები საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულიყვნენ და გამოყოფილიყო 3-კაციანი საკონტაქტო ჯგუფი, რომელიც მუდმივად იმუშავებდა თბილისში აშშ-ის სამხედრო ატაშესთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამაზე (სსა, დოკ. 1726). ამერიკელების მხარდაჭერით, ქართული მხარე მჭიდრო კოორდინაციაში იქნებოდა „ვარშავის ინიციატივის“ პროგრამასთან, რომელიც გულისხმობდა ცალკეული პარტნიორი ქვეყნისთვის დაფინანსების გამოყოფას, თუკი ეს ქვეყანა წლიურ ვალდებულებებს კარგად ასრულებდა (სსა, დოკ. 1726). „ვარშავის ინიციატივის“ ფარგლებში გამოიკვეთა ის სფეროები, რომლებშიც საქართველოსთვის შესაძლებელი იქნებოდა დახმარების მიღება.

ასეთი სფეროები იყო:

თავდაცვის დაგეგმვის საკითხებში კონსულტაციებისა და დახმარების მიღება, სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებსა და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის საკითხებში კონსულტაციები, სხვადასხვა სახის პოლიტიკურ შეხვედრებში, კონსულტაციებში, სემინარებში და ა.შ. მონაწილეობა; თბილისში ერთი სემინარის მოწყობაში დახმარება, ინგლისური ენის შემსწავლელი ლაბორატორიების ორგანიზება საქართველოში და მათი აღჭურვა და დახმარება მასწავლებლებით, შეიარაღებული ძალებისთვის სხვადასხვა სახის არასამხედრო აღჭურვილობის მიწოდება და ა.შ., კომპიუტერული ქსელის შექმნა საქართველოში, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინასთან ბრიუსელში და პარტნიორობის აღჭურვილობის მიწოდება (სსა, დოკ. 1726).

1990-იან წლებში საქართველოს ყველაზე მეტად თანამედროვე ტექნოლოგიური ლაბორატორიები, კომპიუტერული და ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრები ესაჭიროებოდა, რათა უცხოელ პარტნიორებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის პრობლემა მაინც აღმოფხვრილიყო. აქედან გამომდინარე, პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ გათვალისწინებული რეფორმები და ინოვაციური სიახლეები ქართული საზოგადოებისთვის, მართლაც, მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, ამგვარი ახალი მექანიზმების გატარებით, სახელმწიფო სტრუქტურები, თავდაცვის ან თუნდაც განათლების სამინისტრო, თანამედროვე მოთხოვნებისა და კრიტერიუმების დაკმაყოფილებას თანდათანობით შეძლებდა. ამ შემთხვევაშიც უცხოური დაფინანსება საქართველოს საჭიროებებს იყო მორგებული და ამერიკული მხარის მიერ აღნიშნული პროექტები - სწორად შერჩეული.

ამასთან, შტატები გამოთქვამდა სურვილს, რომ ქართული მხარისთვის უმოკლეს დროში მიეწოდებინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა „თანამშრომლობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში; ასევე, ეცნობებინა იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებოდნენ საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სხვა ქვეყნები, მაგალითად, გერმანია ან თურქეთი (სსა, დოკ. 1726).

წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ ქართული მხარე უცხოელ უმაღლესი თანამდებობის პირებთან კომუნიკაციით ცდილობდა საქართველოს სასარგებლო

დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას. 1995 წლისთვის საქართველოსა და შტატებს უკვე ჰქონდათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური ურთიერთობები, რომელიც გულისხმობდა საქართველოს მხარდაჭერას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პარტნიორი ქვეყნის ღირსეული სტატუსის მოსაპოვებლად. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამერიკული მხარის ძალისხმევით, ჩართულობითა და მოტივაციით გადადგა საქართველომ პირველი, თუნდაც თეორიული ნაბიჯები ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პრინციპებსა და ღირებულებებთან მისაახლოებლად. ამერიკულმა მხარემ, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ 1995 წელს შეაფასა საქართველოს პოტენციალი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში შტატების გეოპოლიტიკურ ინტერესებთან იყო თანხვედრაში.

1996 წელს ქართულ-ამერიკული მხარეების კოორდინაცია საკმაოდ დინამიკურად მიმდინარეობდა სწორედ პროგრამა „მშვიდობისათვის თანამშრომლობის“ ფარგლებში. ამას ადასტურებდა 1996 წელს ქართული დელეგაციის შეხვედრა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან უორენ ქრისტოფერთან. ამერიკულმა მხარემ საქართველოს საქმიანობას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამებთან და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მაღალი შეფასება მისცა (სსა, დოკ. 1833).

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური თანამშრომლობა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან დასაახლოებლად მოწმობდა, რომ ამერიკულ მხარეს სურდა თავისი მთავარი პარტნიორი სამხრეთ კავკასიაში ალიანსის რიგებში ეხილა. თავის მხრივ, ქართული მხარეც მოწოდებული იყო შტატების რეკომენდაციები მაქსიმალურად შეესრულებინა.

საქართველომ 1995 წელს პოლიტიკური კონცეფცია მიიღო, რომელშიც საუბარი იყო ქართული მხარის ურთიერთობების პრიორიტეტებზე შტატებთან, რუსეთის ფედერაციასთან და ევროპის წამყვან ქვეყნებთან.

საქართველო, საგარეო პოლიტიკური კონცეფციის დებულებათა გათვალისწინებით, აღნიშნავდა, რომ აშშ-ის პოზიციასა და ქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონისთვის, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დაცვისთვის. ამერიკის შეერთებული შტატები

ევროპასთან და ჩრდილ-ატლანტიკურ ალიანსთან ერთად საქართველოსთან კონკრეტულ საკითხებზე მუშაობდა.

პოლიტიკური კონცეფციის მიხედვით:

1. საქართველო აქტიურად და აშკარად არ უნდა მისაღმებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოებას, მაგრამ, ამავე დროს, რეალური ნაბიჯები უნდა გადაედგა პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ აქტიური მონაწილეობის მიმართულებით. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოება უნდა წარმოჩენილიყო არა როგორც რომელიმე კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, არამედ როგორც უსაფრთხო, სტაბილური და ინტეგრირებული ევროპის შექმნის საშუალება (სსა, დოკ. 1725).

ვფიქრობთ, აღნიშნული განცხადება იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ სწრაფვის გამო არ მომხდარიყო რუსეთის ფედერაციის უფრო მეტად გაღიზიანება. გარდა ამისა, საქართველომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მისი უპირველესი მიზანი - ევროპის ღირსეულ ნაწილად ქცევა - მნიშვნელოვანი იყო მომავალი განვითარებისთვის.

2. საქართველო უნდა მისაღმებოდა დემოკრატიულ პროცესებს რუსეთში და განეცხადებინა, რომ დაინტერესებული იყო ამ პროცესების შეუქცევადობით. დემოკრატიული რუსეთის პარტნიორული ურთიერთობა აშშ-თან საქართველოს ინტერესებში შედიოდა. ამ შემთხვევაში გასაგები იყო საქართველოს სწრაფვა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებისკენ, რაც სრულებით არ ნიშნავდა მასთან სრულ, უპირობო ინტეგრაციას (სსა, დოკ. 1725).

პოლიტიკური კონცეფციის ეს ნაწილიც სავსებით მისაღებია, რადგანაც დემოკრატიული პრინციპების მქონე რუსეთის ფედერაციასთან უფრო იქნებოდა შესაძლებელი მოლაპარაკებები და დიპლომატიური სვლები.

პოლიტიკური კონცეფცია აქვე აზუსტებდა, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, თუ რა სახის პოლიტიკური იდეოლოგიის ძალები მოიყრიდნენ თავს ხელისუფლებაში, რაც საშიშროებას უქმნიდა არა მხოლოდ რუსეთს, არამედ დანარჩენ მსოფლიოსაც. აქედან გამომდინარე, ქართულ მხარეს, შტატებთან ორმხრივი ურთიერთობისას თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო

თანამშრომლობისას, აქტიურად უნდა გაეტარებინა რუსეთის ირგვლივ „დემოკრატიული სარტყლის“ არსებობის აუცილებლობის იდეა.

3. საქართველოს უფრო აქტიურად უნდა ეთანამშრომლა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, რომლის რეალურ ძალად გადაქცევას დიდ ყურადღებას უთმობდა შტატები (სსა, დოკ. 1725).

ამ ნაწილშიც საქართველო მზად იყო, შტატების ინტერესების გათვალისწინებით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის, რაც საქართველოს ევროპულ და ჩრდილო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებელი პროცედურების დასაწყებად უმნიშვნელოვანესი იყო.

4. აშშ-თან ორმხრივი ურთიერთობებისას, არსებული ადმინისტრაციის პერიოდში, საჭირო იყო მეტი აქცენტი საქართველოში მიმდინარე რეფორმების კურსის შეუქცევადობაზე გაკეთებულიყო. ცხადია, ამგვარი მტკიცებისთვის საფუძველი რეფორმების რეალურობას უნდა შეექმნა (სსა, დოკ. 1725).

ვფიქრობთ, ზემოხსენებული კონცეფცია ნათლად მიუთითებდა საქართველოს დაინტერესებაზე შტატებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარებით და, რაც მთავარია, ამერიკული მხარის მხარდაჭერაზე საქართველოში უწყვეტი რეფორმების განხორციელებაში.

იქვე აღნიშნული იყო, რომ ამერიკის იმჟამინდელი ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის მუდმივად უნდა განემარტათ, რომ საქართველო, რუსეთთან ორმხრივი თანამშრომლობის მიუხედავად, უარს არ ამბობდა დასავლურ სტრუქტურებთან ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ინტეგრაციაზე. საქართველოს სურდა მაქსიმალურად შესაძლებელი გარანტიები ჰქონოდა იმ შემთხვევისთვის, თუკი რუსეთში მოვლენები უარესი სცენარით წარიმართებოდა. ქართული მხარე ხაზს უსვამდა აშშ-ის იმ პოლიტიკურ წრებთან არააფიშირებული ურთიერთობების გააქტიურების საჭიროებას, რომლებიც შესაძლებელი იყო სულ მალე მოსულიყვნენ ხელისუფლებაში და იმ ცვლილებების პროგნოზირების აუცილებლობას, რაც შეიძლება მომხდარიყო ახალი ადმინისტრაციის პირობებში (სსა, დოკ. 1725).

გარდა ამისა, 1995 წელს საქართველოს უკვე ჰქონდა გარკვეული პოზიცია ევროპულ პროცესებზე და ამ პროცესებისადმი რუსეთისა თუ ამერიკის დამოკიდებულებაზე:

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის აზრით, აზერბაიჯანის ნავთობის გატანისას, საქართველოს კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარება უნდა გაეთვალისწინებინა. ნავთობსადენის თურქეთის ტერიტორიაზე გავლას შესაძლო იყო რუსეთის გაღიზიანება გამოეწვია. ამის მაგალითად ისიც გამოდგებოდა, რომ აზერბაიჯანმა ოფიციალური კრემლის გვერდის ავლით სცადა დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება ენერგოუსაფრთხოების სფეროში, რაც წინააღმდეგობაში იყო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების ინტერესებთან. ზემოხსენებული ფაქტორები ზრდიდა თურქეთსა და რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვის საფრთხესაც. ქართული პოლიტიკა ევროპასთან მიმართებით უნდა განვითარებულიყო ორი ძირითადი მიმართულებით (სსა, დოკ. 1725): 1. ხმელთაშუაზღვისპირეთის, რასაც ევროპის ამ რეგიონისკენ სწრაფვის გაზრდილი იმპულსი უნდა გაეთვალისწინებინა და 2. შავიზღვისპირეთ-ბალტიის მიმართულებით, რომელიც ახლო მომავალში შეიძლება გაფორმებულიყო როგორც პოლონეთისა და უკრაინის ლიდერობით შექმნილი ეკონომიკური ალიანსი. მისი მიზანი იქნებოდა ევროპასა და რუსეთს შორის ბუფერული ზონის შექმნა მკვეთრი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ელფერით.

რაც შეეხება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს, მასთან პირდაპირი და მჭიდრო კავშირები რეალური ვერ იქნებოდა, ამიტომ უნდა გააქტიურებულიყო თანამშრომლობა პროგრამასთან „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, რომელიც საქართველოს ევროპულ პროცესებში ჩაერთვის შესაძლებლობას მისცემდა. პოლიტიკურმა დეპარტამენტმა ისიც აღნიშნა, რომ ენერგორესურსების მოპოვებისა და მათი ტრანსპორტირების მარშრუტების დადგენის საკითხის მიმართ დასავლეთის დაინტერესება მკვეთრად იყო გაზრდილი და ამ ტენდენციას აღმავალი ხასიათი ჰქონდა (სსა, დოკ. 1725).

საქართველოს პოლიტიკური კონცეფციის მიხედვით ნათელი ხდება ქვეყნის საგარეო ინტერესები საკვლევ პერიოდში, 1995 წელს: მიუხედავად იმისა, რომ

საქართველო რუსეთის ფედერაციასთან მჭიდრო ურთიერთობებს არ გამოირცხავდა, მას მაინც დასავლური კურსი ჰქონდა აღებული. ეს საკმაოდ რეალისტური იყო. საქართველომ, შექმნილი ვითარების მართებული ანალიზის საფუძველზე, სწორად გააკეთა აქცენტი პროგრამაზე „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, ვინაიდან ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება და მისი სტანდარტების დაკმაყოფილება საკმაოდ რთული იყო, მით უმეტეს, ქვეყნის წინაშე მდგარი სერიოზული საშინაო და საგარეო გამოწვევების პირობებში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ საქართველო, პირველ რიგში, ცდილობდა ევროპული ინტეგრაციითა და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით მთელი რიგი პროექტების განხორციელებასა და საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრიორიტეტი ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა გახდა, რომელიც დასავლეთის ინტერესების სფეროში იყო. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს მთავრობებს შორის რეფორმების გატარებაზე მუშაობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც 1990-იან წლებში ქვეყანას ყველაზე მეტად მდგრადი განვითარება, სტაბილურობა და პარტნიორობის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებოდა, რომელიც მას საბოლოო სარგებელს მომავალში მოუტანდა.

თავი 2. ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში და შტატების ახალი ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

2.1. ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები პრეზიდენტ ბილ ქლინტონის მმართველობის პირველ ნახევარში (1993-1995 წლები)

1993 წლის 20 იანვარს თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის სავარძელი დემოკრატმა ბილ ქლინტონმა დაიკავა. მისი პრეზიდენტობის დროს ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები არა მხოლოდ განვითარდა, არამედ პარტნიორობის ახალ ფაზაში გადავიდა. ბილ ქლინტონის ადმინისტრაცია არა მარტო საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების სტაბილურობითა და უსაფრთხოებითაც იყო დაინტერესებული. მანამდე კი ამერიკული მხარე ქართულ მხარესთან ორმხრივ ურთიერთობებსა და ინტერესთა სფეროებს უფრო აზუსტებდა და აფართოებდა. ვთვლით, რომ ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის მმართველობის დროს ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ეფექტიანობაც საგრძნობლად გაიზარდა.

სახელმწიფო მდივნის პრეს-სპიკერ ქრისტოფერ შელის განცხადებით, 1994 წლის მარტში თეთრი სახლი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბილ ქლინტონისა და საქართველოს მთავრობის მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის, პირველი ოფიციალური შეხვედრის გასამართად ემზადებოდა (Shelly, 1994a). შელი ხაზს უსვამდა, რომ შევარდნაძე ვაშინგტონში ამერიკელი პრეზიდენტის მიწვევით იმყოფებოდა. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური სახის რეფორმებზე. ქრისტოფერ შელიმ განაცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძე შეხვედებოდა როგორც კონგრესის წევრებს, ისე ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს. სახელმწიფო მდივნის მოადგილე ნელსონ ტელბოთი კი ქართულ დელეგაციას საქმიან სადილზეც უმასპინძლებდა, რომელიც ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ ნიუ-იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად გაემგზავრებოდა (Shelly, 1994b).

მართლაც, შეხვედრა საქართველოსა და აშშ-ის პირველი პირების დონეზე 1994 წლის 7 მარტს შედგა, როდესაც საქართველოს მთავრობის მეთაური ედუარდ შევარდნაძე ვაშინგტონს ოფიციალურად ესტუმრა. შტატებმა საქართველოს მიმართ მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატა და ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე ყურადღება გაამახვილა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ვერბალურად გამოთქმული მხარდაჭერა ციფრებში გამოიხატა.

ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ საქართველოს ფინანსურ და ჰუმანიტარულ დახმარებას შესთავაზებდა USAID-US Agency for International Aid-ის ფარგლებში (Clinton, 1994a). რაც მთავარია, ხელი მოეწერა მემორანდუმებს, რომლებიც აშშ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებასა და ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებს ემსახურებოდა (The White House, 1994).

ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა იმედი, რომ შტატებისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში უფრო გაღრმავდებოდა. მთავრობის მეთაურს არც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის როლი დავიწყებია და აღნიშნა, რომ კრემლსა და თბილისს შორის არსებული პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელი იყო (Shevardnadze, 1994). ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, ამერიკულმა დახმარებამ ქართველი ერი შიმშილისა და მძიმე დღეებისგან იხსნა (Shevardnadze, 1994). ბილ კლინტონი ამაცობდა, რომ შტატები საქართველოს მოსახლეობას საჭირო დროს დაუდგა გვერდში პრობლემების გადასალახავად და ამასთან, ამერიკულ მხარესთან ედუარდ შევარდნაძის განსაკუთრებულ თანამშრომლობასაც გაუსვა ხაზი (Clinton, 1994a). 1994 წლის 7 მარტს თეთრ სახლში გამართული პრესკონფერენციის დროს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს პრეზიდენტის განცხადება ეთნიკურად ქართველი დევნილების დაბრუნების შესახებ, რომლებსაც ომის შედეგად საკუთარი სახლების დატოვება მოუხდათ (Clinton, 1994a). კლინტონს არც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გამორჩენია და აღნიშნა, რომ აშშ მიესალმებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობისმყოფელების აქტიურ როლს კონფლიქტის მოგვარების პროცესში და საქართველოს მაქსიმალურად ჩართვას ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის პროგრამებში. (Clinton, 1994b). გარდა ამისა, კლინტონმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონისთვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ფედერაციაში დემოკრატიული

რეფორმების გატარება და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობები (Clinton,1994c).

სწორედ, რომ ზემოხსენებული შეხვედრის შემდეგ ქართულ-ამერიკული ორმხრივი ურთიერთობების გაფართოებისთვის შტატებისგან კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო დონეზე.

1995 წლის 10 ივლისს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების შესახებ კანონი დამტკიცდა. ზემოხსენებული აქტი, საქართველოში შტატების მიერ საკუთარი ინვესტიციების დაცვასა და ამერიკული საინვესტიციო გარემოსთვის სასურველი პირობების შექმნას ითვალისწინებდა, რომელიც ამავე დროს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესობაზე იყო ორიენტირებული. ამ კანონპროექტს 1994 წელს ედუარდ შევარდნაძის და ბილ კლინტონის შეხვედრის დროს ჩაეყარა საფუძველი, ხოლო საკანონმდებლო დონეზე მასზე მუშაობა 1995 წელს დაიწყო (The White House, 1995).

ედუარდ შევარდნაძისა და ბილ კლინტონის შეხვედრა საქართველოს ევრო-ატლანტიკური მომავლის საწინდრადაც მიიჩნევა, ვინაიდან შტატებმა მხარი დაუჭირა საქართველოს ახალ პოლიტიკურ გეზს - საერთაშორისო და უშიშროების ორგანიზაციებში მაქსიმალური ჩართულობით კონფლიქტები მოეგვარებინა, რაც დრამატულ ფონად იყო და არის ქვეული დღესაც. გარდა ამისა, ოფიციალური ვაშინგტონი ხაზს უსვამდა, რომ დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე საქართველო მარტო არ იყო და ქვეყანაში სტაბილურობის მოპოვებისთვის, ისევე როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პროცესში, მრავალი კუთხით დაეხმარებოდა. ამერიკულ მხარეს არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ავიწყდებოდა, რაც საქართველოსთვის, საერთაშორისო არენაზე პოზიციების განსამტკიცებლად, უდავოდ, მნიშვნელოვანი იყო.

ზემოხსენებული ვიზიტის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები თავის პოლიტიკურ სიტყვას ასრულებდა. სახელმწიფო დეპარტამენტმა მოითხოვა, რომ აფხაზეთიდან დევნილი 200 000 ადამიანი საკუთარ სახლ-კარს დაბრუნებოდა და საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად, ყველას პატივი ეცა ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიტეტისთვის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის. გარდა ამისა, შტატები მიესალმა გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის აქტიურ როლს კონფლიქტის მოგვარების პროცესში (სსა, დოკ. 1245).

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, მათთვის მისაღები იქნებოდა საერთაშორისო მისიებისა და რუსი მშვიდობისმყოფელების ყოფნა აფხაზეთში, თუკი ეს ეთნიკური კონფლიქტის დარეგულირებას შეუწყობდა ხელს. გარდა ამისა, სახელმწიფო დეპარტამენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შტატები მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და დააზუსტა, რომ იმავე პრინციპებს რუსეთის ფედერაციაც უჭერდა მხარს (სსა დოკ. 1245).

1995 წელს ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღი დადგა. დამოუკიდებლობის ხელახლა გამოცხადების შემდეგ, ქვეყანამ პირველად ჩაატარა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ინტერესითა და ყურადღებით აკვირდებოდა. ამერიკულ მხარეს, პირველ რიგში, არჩევნების დროს სამართლიანობა და მოსახლეობის მხრიდან თავისუფალი ნების მაქსიმალურად გამოხატვა აინტერესებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს. 1995 წლის 8 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა ნიკოლას ბერნსმა ედუარდ შევარდნაძეს 1995 წლის ნოემბერში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. მისი თქმით, ახალი კონსტიტუციის მიიღების შემდეგ, ეს იყო პირველი არჩევნები. ნიკოლას ბერნსმა აღნიშნა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია აქტიურად აკვირდებოდა საარჩევნო პროცესს და თავად არჩევნები უკვე იყო წინ გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე (Burns, 1995a).

ამერიკული მხარე დარწმუნებული იყო, რომ ედუარდ შევარდნაძე თავის გუნდთან ერთად გააგრძელებდა პოლიტიკურ კურსს, რომელიც თანხვედრაში იქნებოდა კანონთან და დემოკრატიასთან. ბერნსმა კიდევ ერთხელ მიულოცა ედუარდ შევარდნაძეს 70%-იანი გამარჯვება და გამოთქვა იმედი, რომ საპარლამენტო არჩევნები, მომავალში, საბოლოოდ დაძლევედა პოლიტიკურ კრიზისს (Burns, 1995b).

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში 1992-1995 წლები რომ უმნიშვნელოვანესი იყო, ამას კონკრეტული

რიცხვებიც ადასტურებს. 1992 წლის დასაწყისში აშშ-მა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და თავისუფალი ბაზრის ხელშეწყობის მიზნით, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში განხორციელებული ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების ბიუჯეტი წარადგინა. ანგარიშის მიხედვით, 1992 წლიდან 1994 წლის პირველ ნახევრამდე შტატებმა 3.179 მილიარდი დოლარის დახმარება გამოყო. საქართველოს კი ჯამში 233 მილიონი დოლარის ჰუმანიტარული და ტექნიკური სახის დახმარება გაეწია დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტის შექმნაში (სსა, დოკ. 1245). ვფიქრობთ, აღნიშნული დახმარება იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო შტატებისთვის საქართველოში სტაბილურობა და სიმშვიდე. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ამერიკული მხარე დაუყოვნებლივ აუცილებლობად მიიჩნევდა ქართველი დევნილების მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას და სამშვიდობო პროცესში, კონფლიქტის დასარეგულირებლად, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ ჩართვას. შტატები დაინტერესებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური კონფლიქტის გადაჭრის საკითხითა და სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებით. ედუარდ შევარდნაძე იმ დროისთვის ამერიკული მხარის ნდობას კვლავ ინარჩუნებდა და ის მათ თვალში საქართველოში წესრიგისა და განვითარების ერთ-ერთი გარანტი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც მტკიცედ უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარებით იყო დაინტერესებული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამერიკული მხარე რუსეთის ფედერაციასა და სეპარატისტებს მოვალეობების შესრულებისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების დაცვისკენ მოუწოდებდა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ საბოლოოდ ქართულ-ამერიკული მოლოდინები კრემლის პოლიტიკის შეცვლის თაობაზე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით არ გამართლდა და არც დემოკრატიულ პრინციპებს არ გაუმარჯვია რუსეთის ფედერაციაში.

პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, 1993-1995 წლებში, ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები, ჩვენი შეფასებით, უდავოდ, პროდუქტიული იყო. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტების დონეზე შეხვედრა

მხოლოდ 1994 წელს შედგა, ბილ ქლინტონის ადმინისტრაცია საქართველოს მიმართ გამოირჩეოდა საერთო ინტერესებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკით. რაც მთავარია, ამერიკული მხარე დარწმუნებული იყო, რომ სწორი და მიზანმიმართული რეფორმების შემთხვევაში საქართველო აუცილებლად მიაღწევდა პროგრესს ყველა პრიორიტეტულ სფეროში.

2.2. შტატების გეოპოლიტიკური არეალი სამხრეთ კავკასიაში, ენერგოინტერესები 1990-იან წლებში და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი და 2017 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამჟამინდელი პრეზიდენტის-დონალდ ტრამპის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში ევროპის და რუსეთის საქმეთა სპეციალური ასისტენტი ფიონა ჰილი აღნიშნავს, რომ ბილ ქლინტონის მმართველობის დროს ვაშინგტონის ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი სტრატეგიული გახდა, რაც ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების თავისუფლების პირველ წლებში არ იყო და აშშ-ის ინტერესის სფეროში ენერგოსექტორი მოექცა (Hill, 2001). ნამდვილად, 1998 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს იმედი ჰქონდა, რომ სამხრეთ კავკასიას ბუნებრივი რესურსების წყალობით შეეძლო წარმატებული რეგიონი გამხდარიყო (Talbot, 1998).

ამერიკელი დიპლომატი მეთიუ ბრაიზა იხსენებდა, რომ 1996 წლამდე აშშ-ს კასპის ზღვის რეგიონის მიმართ დიდი ინტერესი არ ჰქონია და მისი ენერგოდაინტერესება რეგიონში მხოლოდ რამდენიმე ამერიკული კომპანიით თუ გამოიხატებოდა (Bryza, 2017). ბრაიზა, ასევე, აღნიშნავდა, რომ ბილ ქლინტონის ადმინისტრაციაც იმ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში შეერთებული შტატების საგარეო როლის გაზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა. თუმცა საბოლოოდ, შტატების გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ვაშინგტონს მაინც მოუწია აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება სამხრეთ კავკასიაში, რაც საკმაოდ ბევრ პროექტს ითვალისწინებდა (Bryza, 2017). ბრაიზას თქმით, ქლინტონის ადმინისტრაციის წევრებს შორისაც იყვნენ გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსები, რომლებიც აშშ-ის პოლიტიკის გააქტიურებას სამხრეთ კავკასიაში არ მიესალმებოდნენ, მაგალითად, რექს ტილერსონი, რომელიც პრეზიდენტმა დონალდ

ტრამპმა თეთრ სახლში მოსვლის შემდეგ სახელწმიფო მდივნის პოსტზე დანიშნა (Bryza, 2017). მეთიუ ბრაიზას დაეთანხმა ექსპერტი ზეინო ბარანიც, რომელიც მიიჩნევდა, რომ რეგიონს ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების დიდი ნაწილი არც კი იცნობდა (Baran, 2002:222).

ეს ფაქტი, ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებს, რომ შტატების საგარეო პოლიტიკა დიდი დილემის წინაშე იყო, სანამ თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში ენერგოპროექტებით საბოლოოდ არ გაუკეთებდა იმპლემენტაციას.

მეთიუ ბრაიზა ხაზს უსვამდა რუსეთის ფედერაციის ფაქტორს და იმ პოლიტიკურ მოთხოვნას, რომელიც კრემლიდან გაისმა ენერგოპროექტებთან დაკავშირებით. რუსეთი ითხოვდა, რომ კასპიის ზღვიდან ნავთობსა და გაზს რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის ტერიტორიებზეც გაეგლო. საბოლოოდ, ამერიკული და რუსული მხარეები შეთანხმდნენ და კასპიის ზღვის აუზის ხუთი ენერგოპროექტიდან ორი რუსეთის ფედერაციის მოთხოვნის გათვალისწინებით განხორციელდა. ესენია: ბაქო-ნოვოროსიისკი და ყაზახეთი-ნოვოროსიისკის ენერგოპროექტები; რაც შეეხება დანარჩენ სამს: ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენს, სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს, როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ენერგოქოლგა მაინც შეიქმნა და ყველა მხარე კმაყოფილი დარჩა (Bryza, 2017).

ამრიგად, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის საკმაოდ დიდი გავლენის მიუხედავად, შტატებმა მაინც მოახერხა რეგიონში სასურველი შედეგების მიღწევა, რაც ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად უმნიშვნელოვანესი იყო.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან წარმატებული ენერგო პოლიტიკის დაწყებას სამხრეთ კავკასიაში 1997-1998წწ. იმანაც შუეწყო ხელი, რომ რუსეთის ფედერაციაში საშინაო, სამხედრო და ეკონომიკური პრობლემები მძვინვარებდა, რომლის წყალობითაც კრემლი რეგიონზე პოლიტიკურ მეთვალყურეობას საჭირო დონეზე ვეღარ ახორციელებდა. მიუხედავად ამისა, განცდა ვაშინგტონში, რომ შესაძლოა, რუსეთის ფედერაციაში დემოკრატიულ პრინციპებს გაემარჯვა, დიდხანს არ გაგრძელებულა. დასუსტებული რუსეთი, კავკასიის არც

დათმობას აპირებდა და დასავლურ ინიციატივებსაც მის წინააღმდეგ მაინც ეწინააღმდეგებოდა (Khelashvili...2010:113).

1993 წლის მაისში, ბელგის დედაქალაქ ბრიუსელში, ჩატარდა კონფერენცია, რომელშიც ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სწორედ ამ შეხვედრაზე ჩაუყარეს საფუძველი „ტრასეკას“, იგივე Transport Corridor Europe-Caucasia-Asia პროექტს. პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მისი ევროკავკასიის დამაკავშირებელი ბუნებრივი დერეფნის ფუნქცია, ისევე როგორც ამ გზით გატარებული ნავთობისა თუ გაზის საერთაშორისო მილსადენები, ტრანსკავკასიური მაგისტრალი, გახდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დაცულობის გარანტი. საქართველო, ისევე როგორც მისი ხელისუფლება, კარგად აცნობიერებდა, რომ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორებისა თუ მეგობრების მხარდაჭერის გარეშე, მათ შორის, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის, თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბილ კლინტონისა და ევროკავშირის ქვეყნების ლიდერების გარეშე, საუკუნის პროექტი მხოლოდ თეორიულ იდეად დარჩებოდა და პრაქტიკული განხორციელება არასდროს ექნებოდა. სწორედ ზემოხსენებული პროექტების გამო გაღიზიანდა რუსეთის ფედერაცია, რომლისთვის ნათელი გახდა, რომ ცენტრალური აზიისა და აზერბაიჯანის ბუნებრივი რესურსების საქართველოს ტერიტორიით დასავლეთისთვის მიწოდება რეალური პერსპექტივა იყო.

1995 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ნავთობისა და გაზის ექსპორტთან დაკავშირებით. ნავთობსადენის პროექტის განხორციელება მოგვიანებით, 1998 წლის 29 ოქტომბერში, დაიწყო, როდესაც ანკარაში ხელი მოეწერა დეკლარაციას (Minenergy.gov.az,2007). ხელმომწერები იყვნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი და უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი. ცერემონიას ესწრებოდა აშშ-ის ენერჯეტიკის მინისტრი ბილ რიჩარდსონი. ნავთობსადენის მშენებლობას სათავე დაედო 2002 წლის 18 სექტემბერს (Minenergy.gov.az,2007). ჰეიდარ

ალიევმა, ედუარდ შევარდნაძემ და აჰმეთ ნეჯდეთ სეზერმა (თურქეთის პრეზიდენტმა) ჩაყარეს ქვები მილის ფუნდამენტში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია (Minenergy.gov.az,2007).

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენის სიგრძე 1768 კმ-ია. აქედან 443 კილომეტრი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, 249 კილომეტრი -საქართველოს ტერიტორიაზე და 1076 კილომეტრი - თურქეთში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა და ოქტომბერში გარდაბანში სამი ქვეყნის პრეზიდენტმა მილსადენის საზეიმო პრეზენტაცია მოახდინა. საბოლოოდ კი,ნავთობსადენი სრულ ექსპლუატაციაში 2006 წელს შევიდა (Azertag.az, 2006). თუმცა, სანამ ეს უდიდესი მნიშვნელობის პროექტი განხორციელდებოდა, საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ დონეზე საკმაოდ დიდხანს მუშაობდა სამხრეთ კავკასიაში ენერგოპროექტებით ამერიკის დაინტერესებისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამის დასტური იყო შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბ-ნი თედო ჯაფარიძის აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის თავჯდომარესთან, ბ-ნ ფლოიდ სპენსთან შეხვედრა.

1999 წელს სტამბოლის სამიტზე სემუელ ბერგერმა, ბილ ქლინტონის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებს 4 ძირითადი მიზანი ჰქონდა საერთაშორისო ენერგოპროექტებთან დაკავშირებით: 1. კასპიის რეგიონის ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის გამტკიცება; 2.აშშ-ს ენერგო უსაფრთხოების გაუმჯობესება; 3. რეგიონში ამერიკული კომპანიებისთვის კომერციული შესაძლებლობების შექმნა; 4.ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებთან ეკონომიკური და პოლიტიკური ქსელის შექმნა (Berger,1999). ამავე სამიტზე ბილ ქლინტონმა დეკლარაციაზე ხელისმოწერით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მშენებლობას სათავე დაუდო (Richer,1999).

თედო ჯაფარიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა: „კავკასია, სადაც ჩემი ქვეყანა მდებარეობს და რომელსაც მე წარმოვადგენ, ძალზე საინტერესო რეგიონია. აქ ფოკუსირდება დიდი გეოპოლიტიკური ძალების ინტერესები - თურქეთის, ირანის და, რა თქმა უნდა, რუსეთის. თითოეული მათგანი ცდილობს გაზარდოს თავისი გავლენა

რეგიონის ქვეყნებში და ხშირ შემთხვევაში მათი ქმედებები ნეგატიურად აისახება პოლიტიკურ სტაბილიზაციაზე მთელს რეგიონში. ეს განსაკუთრებით კავკასიაში არსებული კონფლიქტების მიმდინარეობას ეხება. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ რეგიონი მდებარეობს მიმდინარე და პოტენციალური კონფლიქტებით აღსავსე ისეთი რეგიონების მახლობლად, როგორებიცაა ახლო აღმოსავლეთი და ბალკანეთი. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ არასტაბილურობის გამო გარკვეული ძალები რეგიონში თანდათანობით აქტიურად ერთვებიან ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო ბიზნესში. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, სტაბილურობის და უსაფრთხოების რეჟიმის დამყარება რეგიონში მთელი მსოფლიოს ინტერესებში უნდა იყოს“ (სსა,დოკ 1726). ჩვენი შეფასებით, საქართველოს მხრიდან სწორი პოლიტიკური აქცენტების დასმის და, საგარეო საფრთხეების გათვალისწინებით, დიპლომატიური კურსის შედეგი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა გარკვეულწილად მაინც.

ქართველმა დიპლომატმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ რეგიონში რუსეთის ფედერაციის იმპერიული განწყობები და ძალები იზრდებოდა(სსა,დოკ 1726). ბატონმა სპენსმა საქართველოს კიდევ ერთხელ გამოუცხადა მხარდაჭერა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით და აღნიშნა, რომ საქართველოს პრობლემა მსოფლიოს პრობლემაც იყო. შეხვედრის ბოლოს თედო ჯაფარიძემ გამოთქვა იმედი, რომ აშშ სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებას დიდ ყურადღებას დაუთმობდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მის ინტერესებში იყო (სსა,დოკ 1726).

ედუარდ შევარდნაძემ თავის მემუარებში აღნიშნა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო და ამით ქვეყანას ფულადი შემოსავლის გარდა, გარანტირებული ექნებოდა მომავალში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია (შევარდნაძე, 2006:330). მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვრეი მხარე იყო, რაც მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ზრდიდა; ასევე, ხაზი გაუსვა საქართველოსთვის მომგებიან და სასარგებლო ენერგოფაქტორებს, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის

ნავთობსადენის პროექტს მოჰქონდა, კერძოდ, საქართველო გაზის 12%-ს უფასოდ მიიღებდა და ქვეყნის სრული გაზიფიცირების პერსპექტივები რეალური ხდებოდა (შევარდნაძე, 2006:331).

ედუარდ შევარდნაძეს უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა ქართული პროფესიული ჯარის დასახმარებლად ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გაწეულია ხარჯები. მისი აზრით, შტატები საქართველოს უპირველესი სტრატეგიული პარტნიორი იყო, რომელსაც შეეძლო ქვეყნის ინტეგრაცია გეოპოლიტიკურ სივრცეში და ყველა კონფლიქტში მისი ინტერესების დაცვა (შევარდნაძე, 2006:331).

რაც შეეხება ამერიკულ მხარეს, ნიკოლას ბერნსი, სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი, ჯერ კიდევ 1995 წელს მიესალმა კასპიის ნავთობის შესახებ შეთანხმების მიღწევას (Burns, 1995c).

ნავთობის ახალი მარშრუტი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რომელიც სათავეს აზერბაიჯანიდან აიღებდა და საქართველოს გავლით, ბოლო გაჩერება თურქეთის მთავარ პორტში ექნებოდა, საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისთვის, მართლაც, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, ენერგოპროექტები, ვფიქრობთ, საქართველოს მიმართ დასავლეთის უფრო მეტ ინტერესსა და ყურადღებას უზრუნველყოფდა.

1998 წლის 7 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი აზერბაიჯანში რიჩარდ მორნიგსტარი კასპიის რეგიონში ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე საუბრობდა. მისი განცხადებით, შტატებს ოთხი მთავარი მიზანი ამოძრავებდა: 1. კასპიის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაძლიერება და მათი დამოუკიდებლობის განმტკიცება; 2. კონფლიქტების შემცირება რეგიონის სახელმწიფოებს შორის და მეტი საერთო ენერგეტიკული პროექტების განხორციელება; 3. ამერიკული კომპანიების კომერციული შესაძლებლობების გაზრდა; 4. კასპიის ზღვის აუზის ენერგოპროექტების საშუალებით შეერთებული შტატებისა და მისი პარტნიორების ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება. ბ-ნი ელჩი აცხადებდა, რომ არსებული ენერგოპროექტების კომერციულად ეფექტურად გამოყენებისას შესაძლებელი იქნებოდა მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა რეგიონში და მომავალი ათწლეულის განმავლობაში ნაყოფიერი რეფორმების გატარება. რ. მორნიგსტარს არც სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული

მნიშვნელობა დავიწყებია, რომელიც მისი თქმით, შეერთებული შტატების ინტერესებს ზრდიდა. ამერიკელი დიპლომატი ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა, ვინაიდან მისი აზრით, ამ პროექტზე ორი ქვეყნის მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობასთან ერთად, დამოკიდებული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრანზიტული კორიდორის შექმნა. რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს, ელჩის შეფასებით, ეს პროგრამა, საგრძნობლად შეცვლიდა მომავალში პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას რეგიონში. მისივე განცხადებით, მილსადენის აშენება კომერციული მიზნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომაც კერძო სექტორის როლი გადამწყვეტი იყო ეკონომიკური, პოლიტიკური და კომერციული ფაქტორების გაერთიანებისა და საერთო სარგებლის შექმნისთვის (Morningstar, 1998).

1995 წლის 30 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოებასა და რუსეთის მხრიდან შესაძლო საფრთხეებზე იმსჯელეს. ამერიკელი დიპლომატების აზრით, ევროპულმა უსაფრთხოების სისტემამ უკვე იცვალა სახე და ამის მაგალითები იყო ეთნიკური და სამოქალაქო ომები თუ რელიგიური დაპირისპირებები ბევრ ქვეყანაში. ანგარიშში ნახსენები იყო საქართველო, როგორც პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მონაწილე 1994 წლიდან. ამერიკელი დიპლომატები თვლიდნენ, რომ ვინაიდან ზემოხსენებული პროგრამის მთავარი მიზანი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრობისთვის კანდიდატი ქვეყნების მომზადება იყო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საგარეო საფრთხეების სწორად შეფასებას და მაგალითად რუსეთის ფედერაცია დასახელდა. მათი აზრით, კრემლის გეოპოლიტიკური ქცევა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პოლიტიკურ ბედთან პირდაპირ კავშირში იყო. გარდა ამისა, განიხილეს მოსკოვის აგრესიული შეტევები მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ. ითქვა, რომ გამოსავალი ევროპელ კოლეგებთან ძალების გაერთიანებაში იყო, რომელიც მიმართული იქნებოდა არადემოკრატიული რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიმართ, რადგანაც ის ევროპული უსაფრთხოების სისტემას პირდაპირ ემუქრებოდა. ხაზი გაესვა რუსული ნაციონალიზმის დამოკიდებულებას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მომავალში შესაძლო გაფართოებისადმი. აღინიშნა, რომ კრემლი ამ საფრთხის თავიდან

ასაცილებლად ახალი გლობალური იმპერიის შექმნაზე აქტიურად მსჯელობდა (Congressional Records, 1995). მნიშვნელოვანია, რომ ვაშინგტონში „ცივი ომის“ დასრულებიდან მალევე რეალურად დაინახეს, რომ კრემლი გეოპოლიტიკური „რევანშის“ აღებას მალევე აპირებდა, თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯები ალბათ საკმარისი არ იყო.

1995 წელს ვაშინგტონმა ირანს ახალი სანქციები დაუწესა და მაქსიმალურად შეეცადა თეირანი სრულ იზოლაციაში მოექცია არა მარტო სპარსეთის ყურეში, არამედ კავკასიაშიც (Levs, 2012). ვფიქრობთ, სწორედ ამან განაპირობა 1995-1996 წლებში აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრების დაინტერესება კასპიის ნავთობსადენებით. ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტთან ყველაზე დაახლოებული ორგანო იყო და ის წამყვან როლს ასრულებდა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში. ვაშინგტონის მთავარი მიზანი კი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალებით გლობალური სანავთობე ქსელის შექმნა და ირანის თამაშგარედ დატოვება გახდა. რაც შეეხება თურქეთს, მან სპარსეთის ყურის ომში შტატების მხარდაჭერისთვისა და ერაყის ნავთობის სატრანზიტო შემოსავლებზე უარის თქმის გამო, მთავარი ნავთობსადენის მშენებლობა ბაქოდან ჯეიჰანამდე მიიღო. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სანავთობე პროექტები შტატების სტრატეგიულ იარაღად იქცა და არა კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების საშუალებად. ბილ ქლინტონის ადმინისტრაციაც მალევე მიხვდა, რომ რეგიონის უსაფრთხოება მარტო ენერგოპროექტებით ვერ მოხდებოდა და 1996-1997 წლებში ვაშინგტონი ცდილობდა რეგიონალური უსაფრთხოების მიღწევას და პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროგრამების განვითარებას რეგიონებში (სსა, დოკ. 1877). აშშ-ის მთავარი განზრახვა ცენტრალური აზიის, კავკასიის და თურქეთთან დამაკავშირებელი მილსადენების ინტეგრაცია იყო. ვაშინგტონისთვის ამ მილსადენებს გეოპოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რომელმაც ეკონომიკური საფუძველი მთლიანად გამოაცალა. ამის დადასტურება იყო ისიც, რომ 1998 წელს რამდენიმე საერთაშორისო ნავთობკომპანია ირანისთვის ამერიკული სანქციების შერბილებას ითხოვდა. მათი აზრით, ირანის გეოგრაფიული მდებარეობით მილსადენების ყველაზე იაფი და მოკლე მარშრუტის განხორციელება იყო შესაძლებელი 2000-2001 წლებში (სსა, დოკ. 1877). შტატებმა განაცხადა, რომ

დამატებით ხარჯებს მილსადენების პროექტების დასასრულებლად აღარ გაიღებდა და საერთაშორისო ნავთობკომპანიებსაც ბაზარზე ნავთობის ფასის ხშირი ცვლილების გამო მიზნის ბოლომდე მიყვანა გაურთულდათ. ირანისა და შტატების პოლიტიკური ურთიერთობები არც მაშინ და არც ახლა არ შეცვლილა კასპიის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. აშშ-მა შეძლო კასპიის ენერგოპროექტებიდან ირანის იზოლაცია და რუსეთის ფედერაციის ჩამოშორება, რამაც რეგიონული ინტეგრაცია გარკვეულწილად შეაფერხა და მთელი ყურადღება მილსადენების სისტემაზე გადაიტანა. აზერბაიჯანის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკის შეცვლის ყველა მცდელობა კი სომხური ლობის გავლენის წყალობით ჩაიშალა, იმის მიუხედავად, რომ ნავთობრესურსების გამო აზერბაიჯანი შტატებისთვის რეგიონში უმთავრესი პარტნიორი 1995 წლიდან გახდა (სსა, დოკ. 1877). ჩვენი შეფასებით, ამერიკის შეერთებული შტატების არათანმიმდევრული პოლიტიკა კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისადმი შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო ამ ქვეყნებში არსებული არასანდო დემოკრატიული მმართველობითა თუ სახელმწიფო ინსტიტუტებით, ძლიერი ეკონომიკური გამოწვევებითა და რელიგიური თუ ეთნიკური კონფლიქტებით. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში წლების განმავლობაში ამერიკული დახმარებით ხდებოდა ბიუჯეტის შევსება, გადასახადებს თითქმის არავინ იხდიდა. აქედან გამომდინარე, კორუფციასთან ერთად ბიუჯეტის თანხების არჰქონა დიდი გამოწვევად რჩებოდა.

2000 წლის შემოდგომაზე კიდევ ერთხელ მოხდა გეოპოლიტიკური გარღვევა. პოლიტიკური ზეწოლის მიუხედავად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს შეუნარჩუნდა სტრატეგიული მნიშვნელობა და ხელი მოეწერა მშენებლობის დაწყების ხელშეკრულებას, რაც საქართველოსთვის, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიისთვის, უმნიშვნელოვანესი იყო (სსა, დოკ. 1877).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა დაიწყო 2002 სექტემბერში. ისტორიულ ცერემონიას საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტები და აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი ბილ რიჩარდსონი ესწრებოდნენ. მასპინძელმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ჰეიდარ ალიევმა თავისი ოფიციალური სიტყვა ასე დაიწყო – „ამბობდნენ ილუზიასაო, ახლა აღარც ლეგენდაა და აღარც ზღაპარი. პროექტი მთლიანად დაფინანსებულია. სამი ზღვა გააერთიანა. ეს მილი პოლიტიკურიცაა -ის

მოიტანს მშვიდობას, სტაბილურობას, ფოლადის ძაფებით შეკრავს ხალხების მეგობრობას“ (ალიევი, 2002:82).

პროექტის განხორციელება 10 წელზე დაიგეგმა. რაც მთავარია, როგორც ამერიკული, ისე ქართული მხარე მოხარული იყო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ თურქეთთან და საერთაშორისო ამერიკულ კომპანიებთან მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობებით. სწორედ მსგავსი სახის ენერგოპროექტები იყო და არის საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი ისეთ რთულ რეგიონში, როგორც სამხრეთ კავკასიაა. ბუნებრივია, აღნიშნული პროექტით მიღებული ფულადი შემოსავალი კი ერთგვარი სტიმულატორი იქნებოდა ქართული ეკონომიკისთვის. ამ თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანი იყო მჭიდრო ენერგოკავშირები საქართველოს მეზობელ, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყანასთან - თურქეთთან. ბუნებრივია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი ეკონომიკურ ფუნქციასთან ერთად, ორმაგად იყო პოლიტიკური დატვირთვის, რომელიც საბოლოოდ, საქართველოს უსაფრთხოებას ემსახურებოდა.

1996 წლის 30 აპრილს საქართველოს ელჩი აშშ-ში თედო ჯაფარიძე და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი ამერიკელ რესპუბლიკელ სენატორ რიჩარდ ლუგარს შეხვდნენ (სსა, დოკ. 1871). მხარეებმა ისაუბრეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარებაზე სხვადასხვა სფეროში. რაც მთავარია, განიხილეს საქართველოში მიმდინარე რთული პროცესები. კერძოდ კი, რუსული ჯარების არსებობა ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც, რასაკვირველია, ზღუდავდა მის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. სენატორთან დიალოგიდან აშკარა იყო, ამერიკულ მხარეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ რაც უფრო ახლოს იქნებოდა საქართველო შტატებთან, ჩვენი დიდი მეზობელი - რუსეთის ფედერაციის სახით უფრო და უფრო გაღიზიანდებოდა. აქედან გამომდინარე, ბ-ნი ლუგარი თვლიდა, რომ საჭირო იყო თანამშრომლობის სპეციფიკური პროგრამის შემუშავება, რომელიც ნეგატიური მოვლენებისაგან დაიცავდა საქართველოს. სენატორი მზად იყო ამ მიზნის მისაღწევად კონგრესში აქტიურად ემუშავა. შეხვედრაზე ირაკლი მენაღარიშვილმა იმ ხედვებზე ისაუბრა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა კავკასიაში სტრატეგიული და სატრანსპორტო-ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად

(სსა, დოკ. 1871). ქართული დელეგაციის თქმით, საქართველოს სტრატეგია კავკასიის ერთიან სივრცედ აღქმაში მდგომარეობდა, რომელიც ენერგორესურსებით მდიდარ კასპიას ჯერ ცენტრალურ აზიასთან დააკავშირებდა, ხოლო შემდეგ ამ ენერგოსაკვანძო არხს - ენერჯის მომხმარებელ დასავლეთთან. მეორე მხრივ, ქართული მხარე აუცილებლად მიიჩნევდა, რომ სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული ინსტიტუტების გასამდიერებლად, ისევე როგორც ტექნიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციისთვის, დასავლეთს დაფინანსება უნდა გაეგრძელებინა და უფრო მეტი, სომხეთის მიმართ ჰუმანიტარული დახმარება წელიწადში 150 მლნ დოლარამდე გაზრდილიყო. რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, ირაკლი მენაღარიშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით ქვეყანა კრიზისს დაძლევა (სსა, 1871).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამერიკული მხარე კარგად აცნობიერებდა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მზარდი აგრესიის რეალისტურობას. რასაკვირველია, აუცილებელი იყო, მომხდარიყო შესაძლო რისკების პრევენცია და უფრო მოქნილი და ეფექტური პოლიტიკის წარმოება სამხრეთ კავკასიაში, რომელიც სტრატეგიული ენერგოპროექტების დაცვისა და მათი საბოლოო ფუნქციების წარმატებით განხორციელების გარანტი იქნებოდა.

1996 წლიდან სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა ეკონომიკური, ენერგეტიკული და გეოსტრატეგიული ინტერესები. ეკონომიკური ინტერესების ანალიზისას, ვფიქრობთ, საინტერესოა კასპიის რეგიონის განხილვა, სადაც აშშ ამერიკული კაპიტალისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით მოქმედებდა. ნავთობის მოპოვების სფეროში ის საკმაოდ აქტიურად იყენებდა თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლითაც კონკურენციას უწევდა ნებისმიერ სხვა ძალას რეგიონში, მათ შორის, რუსეთის ფედერაციასაც. რაც შეეხება შტატების ენერგეტიკულ ინტერესებს, მისი უპირველესი მიზანი იყო სტაბილური ენერგეტიკული საცავის შექმნა, რომლის შემდეგაც აშშ პირველ ადგილზე გადაინაცვლებდა ენერჯის წყაროთა დივერსიფიკაციის წყალობით. რასაკვირველია, ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო ნავთობისა და გაზის მომპოვებელი რეგიონებიდან, რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით, ნავთობის ტრანსპორტირებით. შტატებისთვის სამხრეთ

კავკასიასა და კასპიის რეგიონში გეოპოლიტიკური ინტერესები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეკონომიკური. ბუნებრივია, ვაშინგტონი აცნობიერებდა, რომ კასპიის რეგიონი, რომელიც მდებარეობდა ევრაზიაში, ამავე დროს მისი სამი ოპონენტის - რუსეთის, ირანისა და ჩინეთის - ინტერესების სფეროშიც იყო. აქ თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის (ამერიკული გავლენის ქვეშ აზერბაიჯანის, საქართველოს, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ყაზახეთისა და ტაჯიკეთის მოსაქცევად), 1996 წლიდან მოყოლებული, საკმაოდ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. გარდა ამისა, ვაშინგტონმა მნიშვნელოვნად გაზარდა ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკითხში თავისი როლი და შეიძლება ითქვას, რომ სომხეთ-თურქეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესშიც აქტიურად მონაწილეობდა. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში ჩართვას და, რაც მთავარია, რეგიონში რუსეთის მთავარ მოკავშირეებთან - სომხეთთან და ყაზახეთთან - აქტიური მოლაპარაკებების რეჟიმში იყო. კასპიის რეგიონი უაღრესად საშიში და, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, ფეთქებადი რეგიონი იყო. 1996-1999 წლებში შეერთებულმა შტატებმა მიზნად დაისახა არ დაეშვა რუსეთის ფედერაციის ნაწილობრივი კონტროლი ენერგორესურსების ტრანსპორტირებაზე. თავის მხრივ, რუსეთის ფედერაცია ცდილობდა ანტიამერიკული რიტორიკით გამორჩეულ ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან ერთად მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებზე. რა თქმა უნდა, ვერც ერთი მხარე ერთმანეთთან კონკურენციის გზით ვერ მოახდენდა ევრაზიის ბუნებრივი სიმდიდრის ათვისებას. სწორედ ამიტომ, ორივე წამყვან ქვეყანას ამა თუ იმ ფორმით უნდა ეთანამშრომლა. ვფიქრობთ, რუსეთის ფედერაციას კარგად ესმოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების რეალიზაცია სამხრეთ კავკასიაში იქ მდებარე სახელმწიფოების აშშ-ის გეოპოლიტიკური ქოლგის ქვეშ გაერთიანებას და, რაც მთავარია, წამყვან სახელმწიფოთა გავლენის სფეროების შეცვლას, მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას გამოიწვევდა. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეერთებული შტატების გავლენის გაძლიერება არა მხოლოდ დაასუსტებდა რუსეთის ფედერაციას ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ მას მისცემდა მთელი ევრაზიის კონტინენტის კონტროლის საშუალებას, რასაც რუსეთის

ფედერაცია კავკასიის რეგიონში ნამდვილად არ დაუშვებდა. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის გეოპოლიტიკურ ინტერესებში კონფრონტაციისა და ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტის საკითხზე ვერშეთანხმების გამო, კავკასიაში სახელმწიფოების ორი ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლებიც, თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ის გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული. რუსეთს, ტრადიციულად, სტრატეგიული ურთიერთობა ჰქონდა ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და სომხეთთან, მეორე მხრივ, შეერთებულ შტატებთან მჭიდრო კავშირში იყვნენ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ერთადერთი წევრი რეგიონში - თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. სწორედ აშშ-ის გაზრდილმა ინტერესმა კავკასიაში გააღრმავა ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები, რამაც საქართველოს შტატებიდან კიდევ უფრო მეტი ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა მოუტანა.

1998 წლის 2 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. იგი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ასისტენტს, ბ-ნ ლეონ ფურტს (სსა, დოკ. 2107). მხარეებმა განიხილეს ევრაზიული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობა კავკასიის რეგიონისთვის. ამერიკული მხარე მიიჩნევდა, რომ კასპიური მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა არსებობდა. კერძოდ, თურქმენეთისა და აზერბაიჯანის დავა კასპიის ზღვის დემარკაციისა და საბადოების კუთვნილების თაობაზე. გარდა ამისა, აღინიშნა თურქეთში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური პროცესები.

ჟვანიას განცხადებით, აუცილებელი იყო საექსპორტო ნავთობსადენი სუფსაში კი არა, ჯეიჰანში დამთავრებულიყო. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის ურთიერთობებისათვის, არამედ სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური კონფიგურაციისთვის, რეგიონალური თანამშრომლობისა და უსაფრთხოებისთვის. ბ-ნი ფურტის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა ბაქო-ჯეიჰანისა და ტრანს-კასპიურ მილსადენებს. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისთვის აშშ-ის „ექსიმ“ ბანკი სწავლობდა პროექტს და გამოთქვა იმედი, რომ ბანკი მალე მიიღებდა გადაწყვეტილებას პროექტში ჩასართავად (სსა, დოკ.

2107). შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერორისტული აქტი და მასში გამოკვეთილი რუსული კვალი. ამერიკულმა მხარემ ხაზი გაუსვა შევარდნადის მნიშვნელობას არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რეგიონისთვის და, რაც ყველაზე მთავარია, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. აქედან გამომდინარე, ის ყველაფერს გააკეთებდა საქართველოს პრეზიდენტის უსაფრთხოებისთვის - მოთხოვნის შემთხვევაში მზად იყო აშშ-ის საელჩოს მეშვეობით პირდაპირი კოორდინაცია ეწარმოებინა. შეხვედრის ბოლოს ბატონმა ფურტიმ აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ვიცე-პრეზიდენტ ალ გორისაგან მიიღებდა მიწვევას სტამბულის კონფერენციაზე დასასწრებად, რომლის ერთ-ერთი მთავარი სპონსორიც აშშ-ის ვაჭრობის განვითარების სააგენტო იყო. ამერიკული მხარე იმედოვნებდა, რომ კონფერენციაზე კასპის ენერგორესურსების ათვისების საკითხებზე მოხდებოდა ხედვებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა (სსა, დოკ. 2107).

1998 წელს ქართული დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მთავარ კოორდინატორ სტივენ სესტანოვიჩს შეხვდა. ამერიკულმა მხარემ განაცხადა, რომ საქართველოს განვითარებისთვის აუცილებელი იყო შიდა და საგარეო უსაფრთხოება, რაც დაწყებული ეკონომიკური პროექტების სტაბილურობის გარანტი იქნებოდა. ქართულ-ამერიკული დელეგაციების შეხვედრის დროს, ასევე, განიხილეს შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ჟენევის სამშვიდობო ფორმატის გაღრმავება და განვითარება: ამერიკული მხარე თვლიდა, რომ აუცილებელი იყო დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება პირვანდელ ადგილებში და მათთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა;

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და მის მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე აუცილებელი იყო საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის განხილვა;

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, კონფლიქტის მხარეებისა და მეგობართა ჯგუფის წევრების მონაწილეობით, ურთიერთობების აღსადგენად

მიზანმიმართული მუშაობის ჩატარება. რაც შეეხება ქართულ მხარეს, მისი აზრით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები ვერ ასრულებდნენ დაკისრებულ ფუნქციებს, აქედან გამომდინარე, საჭირო იყო მათი მანდატის რევიზია. მით უფრო, რომ რუსეთის ფედერაციაში მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო ვერ ხერხდებოდა სამშვიდობო ოპერაციის მატერიალური უზრუნველყოფა (სსა, დოკ. 2107)

ჩვენი აზრით, ბუნებრივია, რომ კასპიის რეგიონის სახელმწიფოებთან ვაშინგტონი ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტების გაღრმავებით რუსეთის ფედერაციის ძალთა ბალანსში გარკვეული ცვლილებების გამოწვევას ცდილობდა. ამის მაგალითია ისიც, რომ 1999 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა, საქართველოში ვიზიტის წინ, განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია ყოველთვის კავკასიური სახელმწიფო იქნება, ხოლო რეგიონალური კონფლიქტები მოსკოვის გარეშე ვერ გადაწყდება. ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებს, სხვა ქვეყნების აქტიურ როლს რუსეთი მის წინააღმდეგ მიზანმიმართულ პოლიტიკურ აგრესიად აღიქვამდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ედუარდ შევარდნაძემ ივანოვის პოზიციას უწოდა რუსეთის ძველი ხედვის გამოხატულება, რომლის მიხედვითაც, კრემლს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში გავლენის დათმობა არ სურდა (სსა, დოკ. 2110).

2000 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტით გათვალისწინებული საბაზისო დაპროექტება დასრულდა, რომლის ღირებულებამაც ჯამში 145 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. 2001 წელს აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პოზიცია სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო ენერგოპროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით უცვლელი დარჩა. გარდა ამისა, ვაშინგტონი ცდილობდა რუსეთის ფედერაციის დარწმუნებას, რომ საექსპორტო მილსადენები სასიცოცხლო როლს თამაშობდა რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების სისტემის საბოლოოდ ჩამოყალიბებაში, რომ თანამედროვე სამყაროში სანავთობე მილსადენები მსოფლიო ბაზრებზე ეკონომიკური და ფინანსური განვითარების საწინდარი იყო და რუსეთის ინტერესებისთვის ზემოხსენებული ენერგოპროექტები არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში თედო ჯაფარიძის აზრით, ქართულ-ამერიკული ორმხრივი ურთიერთობები ქლინტონის ადმინისტრაციის დროს საერთაშორისო პროექტების განხორციელების და ამერიკული მხარდაჭერის კუთხით ყველაზე მაღალ ნიშნულზე იყო (ჯაფარიძე, 2019).

სამწუხაროდ, კონფლიქტის ზონაში არსებობდა სერიოზული საფრთხე იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებლებსა და სხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მოსამსახურეებს უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობაში ხელი შეშლოდათ. ეს ყოველივე ეჭვქვეშ აყენებდა სამშვიდობო ოპერაციების გაგრძელების პერსპექტივას. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამერიკული განვითარების სააგენტოს მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს უნდა მომხდარიყო საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით და არა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან. შტატებისთვის პრიორიტეტად რჩებოდა საქართველოს სასაზღვრო ძალების ჩამოყალიბება და გაძლიერება, ისევე როგორც, შეიარაღებული ძალებისთვის კადრების მომზადება. საქართველოს ჰქონდა აშშ-ის მხარდაჭერა აღმოსავლეთ ევროპიდან შეიარაღების კასკადირების პროცესში მათი გადმოცემის საკითხში. ასევე, მნიშვნელოვანი იყო სამხედრო ვერტმფრენების გადმოცემის საკითხიც. მისასალმებელია, რომ ორივე ქვეყანა მზად იყო ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისთვის. ამერიკის შეერთებული შტატები გამოთქვამდა მზადყოფნას საქართველოსთვის დახმარება გაეწია ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური ქვედანაყოფების შექმნაში. რაც შეეხება რეგიონალურ თანამშრომლობას, ამერიკისთვის მნიშვნელოვანი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამები და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო.

იმ დროისთვის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას ორი დილემა ჰქონდა: 1. თურქეთის, ისრაელისა და ევროპის ერთი პოლიტიკური ქოლგის ქვეშ მოქცევა; 2. საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოთანამშრომლობის შექმნა და მისი დაკავშირება თურქეთთან (Oktav, 2005). აღნიშნული ენერგოპროექტი გულისხმობდა ირანის გავლენის დაბლოკვას და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის ჰეგემონობისთვის წინააღმდეგობის გაწევას. რასაკვირველია,

ოფიციალურმა ვაშინგტონმა კარგად იცოდა, რომ რუსეთის ფედერაციას ნებისმიერ დროს შეეძლო სამხრეთ კავკასიაში გაუთვალისწინებელი პოლიტიკური ქმედებების დაწყება. აქედან გამომდინარე, სრულ მხარდაჭერას უცხადებდა ამერიკულ ნავთობკომპანიებს რეგიონში და ცდილობდა შეექმნა ტრანს-კავკასიური ხაზი საქართველო-აზერბაიჯანის ერთობით, რომელიც მათ ცენტრალურ აზიასთან დააკავშირებდა. შუა აზიის ქვეყნებიდან კი შტატების ინტერესებში ყაზახეთი და თურქმენეთი იყო.

ვაშინგტონს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაერთი გეოპოლიტიკური მოვლენა და პრობლემა ჰქონდა გასააზრებელი და გადასაწყვეტი. მაგალითად, კონფლიქტების მოგვარება და პოლიტიკური, ჰუმანიტარული თუ ეკონომიკური დახმარების გაწევა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. ასევე, ბალანსის დაცვა რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც სსრკ-ის სამართალმემკვიდრე იყო და, რაც მთავარია, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების დაწყება. სამხრეთ კავკასიას ახლო აღმოსავლეთთან სიახლოვის გამო ბევრად მეტი გეოგრაფიული საფასური ედო. კასპიის ზღვის აუზი მსოფლიოს ნავთობის რეზერვების 1-4% მოიცავს, ხოლო 6%-ს - გაზის არსებული მარაგის(International Energy Agency,1998:32)

აშშ-სა და სხვა ქვეყნებს სამხრეთ კავკასიაში შესვლით ზემოხსენებულ სიმდიდრეებზე წვდომა ექნებოდათ. შტატებისგან განსხვავებით, ევროპა რუსულ გაზზე დიდად იყო და არის დამოკიდებული, ამიტომაც მისი მომარაგება ალტერნატიული გზებით, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ისევე ევროპისთვის სტრატეგიული იყო. ოფიციალური ვაშინგტონისთვის დაინტერესების საგანი გახდა არა მარტო საერთაშორისო ალტერნატიული ენერგოპროექტები, არამედ ისეთი ტრანზიტული მარშრუტი, რომელიც რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით გავიდოდა.

2.3. კრემლის პოლიტიკა საქართველოში ამერიკული ინტერესების წინააღმდეგ

1993 წლის სექტემბერში საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთში სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებთან ბრძოლაში დამარცხდა. სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ დაქირავებული მეზობლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, ადგილობრივი სომხები (ზაგრამიანის სახელობის ბატალიონი). მათ არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში.

რუსეთის ფედერაციამ თავისი მზაკვრული გეგმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ პირნათლად შეასრულა. სახელმწიფო მეთაურის პოლიტიკურ მარცხზე პასუხისმგებლობა ედუარდ შევარდნაძეს დაეკისრა. აქედან გამომდინარე, მას სასწრაფოდ სჭირდებოდა ისეთი პოლიტიკური მანევრი, რომელიც ხელისუფლებაში დარჩენის გარანტია იქნებოდა. გამოსავალი 1993 წლის ოქტომბერში საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებით მოიძებნა. მალე ოფიციალურად გაფორმდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზების ყოფნა, რის შემდეგაც ქართული ძალოვანი სტრუქტურების კონტროლი, ფაქტობრივად, კრემლის ხელში გადავიდა.

1993 წელს საქართველოს გაწევრიანებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში „The New York Times“ გამოეხმაურა. სტატიაში საუბარია იმაზე, რომ ედუარდ შევარდნაძის ამ გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით ოპოზიციური პოლიტიკოსების მხრიდან დიდი კრიტიკა მოჰყვა. მათთვის ეს ე. წ. რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას ნიშნავდა. გარდა ამისა, აღნიშნული იყო, რომ საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა საკითხს 1995 წლამდე საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გასვლის თაობაზე. თუმცა, ვინაიდან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებით სამხედრო თანამშრომლობასაც მოეწერა ხელი, არავინ იცოდა, კიდევ რამდენს ხანს დარჩებოდა რუსული შეიარაღება საქართველოში (Bonnerdec, 1993).

საქართველოს უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე ოფიციალური მოსკოვის ნდობით სარგებლობდა. ის ბევრ საექვო საქმეში იყო ჩართული და შევარდნაძესთან დაპირისპირებაც მატულობდა. სახელმწიფოს მეთაურს არ მოსწონდა, რომ მისი

ძალაუფლება ძალოვან სტრუქტურებზე ეფექტურად არ ვრცელდებოდა. მას დასავლეთთან დადებული პირობის შესრულება მართებდა, რაც ქვეყანაში უკანონო დაჯგუფებების გაუქმებასა და ქაოსის დაძლევას ითვალისწინებდა. თავის მხრივ, კრემლი შევარდნამესთან ბალანსის დაცვას ცდილობდა. თუმცა დასავლეთის დაინტერესებამ რეგიონით და შევარდნადის ლავირების პოლიტიკამ, შეიძლება ითქვას, მოსკოვს პოლიტიკური მოთმინების უნარი დააკარგვინა და მან საქართველოში მთავრობის შეცვლის გეგმა ამოქმედა. როდესაც მნიშვნელოვან სახელმწიფო სტრუქტურებს უცხოური სპეციალური სამსახურები აკონტროლობენ, ქვეყანაში ვითარების არევა და არასასურველი ხელმძღვანელების მოცილება, როგორც ჩანს, სირთულეს არ წარმოადგენს.

1995 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის - ედუარდ შევარდნადის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი განხორციელდა. 1995 წელს საქართველოს ჰქონდა ამბიცია, რომ სამხრეთ კავკასიაში თავისი პატარა, რეგიონალური როლი, მაგრამ დასავლეთის ბაზრისთვის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია შეესრულებინა. ამ დროისთვის ამერიკის შეერთებული შტატები უკვე იჩენდა მზარდ ინტერესს რეგიონისადმი, რაც წინააღმდეგობაში იყო რუსეთის ფედერაციასთან. კრემლის ქმედებამაც არ დააყოვნა და შევარდნადის მოცილება პოლიტიკური სარბიელიდან მარტივად გადაწყდა. მოსკოვმა საქართველოში ედუარდ შევარდნამესთან დაპირისპირებული ჯგუფები სტრატეგიულად გამოიყენა და ტერორისტული აქტიც განახორციელა. დამოუკიდებლობის აღდგენიდან არც ისე დიდი ხანი იყო გასული, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციას საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში ჯერ კიდევ ჰყავდა პირები, რომლებიც კრემლის პოლიტიკურ დავალებებს ასრულებდნენ. 1995 წელს შევარდნაძეზე ტერაქტის განხორციელების გამო დააკავეს: ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი თემურ ხაჩიშვილი, საქართველოს უშიშროების მინისტრის დაცვის უფროსი გურამ პაპუკაშვილი, სამხედრო ორგანიზაცია „მხედრიონის“ ლიდერები გიგა გელაშვილი და ჯაბა იოსელიანი. საქართველოს უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ კი ქვეყანა რუსეთის ფედერაციის კონტროლირებადი ვაზიანის სამხედრო ბაზიდან დატოვა და გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო. როგორც ვხედავთ, კრემლმა თავისი პოლიტიკური ნაღმი საქართველოს წინააღმდეგ მაშინვე ამოქმედა, როგორც კი გეოპოლიტიკური

გავლენის შემცირების თეორიული საფრთხე დაემუქრა. ტერაქტის მეორე დღეს შევარდნამეს პრეზიდენტი ბორის ელცინი დაუკავშირდა და გადარჩენა მიულოცა. თუმცა სატელეფონო ზარის მთავარი შინაარსი მხოლოდ მილოცვა არ ყოფილა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა შევარდნამეს ურჩია, რომ საერთაშორისო ნავთობსადენის საკითხი, უბრალოდ, გვერდზე გადაედოთ (ჩაგელიშვილი, 2012).

რუსეთი მარცხს ასე ადვილად არ შეჰგუებია. ედუარდ შევარდნამე, მისი პროდასავლური ნაბიჯების გამო, უკვე მიუღებელი იყო. ოფიციალური კრემლი გავლენის დაკარგვას არ აპირებდა. სათადარიგო გეგმაც ამოქმედდა.

1998 წლის 23 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სენატორმა სემ ბრაუნბექმა საქართველოს პრეზიდენტს 70 წლის იუბილე მიულოცა. მან აღნიშნა შევარდნამის განსაკუთრებული როლი საქართველოში რეფორმების გატარების კუთხით და სამოქალაქო ომის დამთავრებაში შეტანილი წვლილი. ბ-ნმა ბრაუნბექმა ხაზი გაუსვა საქართველოს პრეზიდენტის დამსახურებას ქვეყანაში არსებული უკანონო დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლასა და საერთაშორისო ენერგოპროექტების განხორციელებაში. უფრო მეტიც, სენატორის განცხადებით, ე. შევარდნამის პოლიტიკურმა მოღვაწეობამ სამყარო უკეთესი გახადა. მან გამოთქვა იმედი, რომ საქართველო-შეერთებული შტატების თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდებოდა საერთო პოლიტიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად (Brownback, 1998.)

1998 წელს შევარდნამეს 70 წლის იუბილე კიდევ ერთმა სენატორმა - აბრაჰამ ბირდმა მიულოცა. მან განსაკუთრებით აღნიშნა პრეზიდენტის წვლილი საქართველოში სამოქალაქო ომის დასრულებასა და კასპიის ზღვის ენერგოპროექტების განხორციელებაში. სენატორმა გამოთქვა რწმენა, რომ შევარდნამე დემოკრატიულ რეფორმებს წარმატებით დაასრულებდა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მას შტატებში საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა (Byrd, 1998). ვფიქრობთ, ზემოხსენებულიდან დასტურდება ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში შევარდნამის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება და მხარდაჭერა.

საქართველოში, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატებში, წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ საიუბილეო მილოცვებიდან სულ მალე, საქართველოს პრეზიდენტი

კიდევ ერთი დაგეგმილი ტერაქტის შედეგად სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩებოდა.

1995 წლის ტერორისტული აქტისგან განხსხვავებით, რუსეთის ფედერაცია 1998 წელს განხორციელებული ტერაქტის დროს ბევრად უფრო მზაკვრულად მოქმედებდა და შევარდნაძის წინააღმდეგ რამდენიმე ჯგუფი გამოიყენა, მათ შორის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეები, ჩეჩური წარმოშობის მებრძოლები და არაბი ტერორისტები. ტერორისტული აქტი მთლიანად ქვეყნის გარეთ დაიგეგმა. 1998 წლის თებერვალში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძეს რუსმა კოლეგამ ანატოლი კულნიკოვმა აცნობა, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი მზადდებოდა (ჩაგელიშვილი, 2012). სხვა, დამატებითი ინფორმაცია ქართული მხარისთვის უცნობი იყო. 1995 წლის ტერაქტის შემდეგ ედუარდ შევარდნაძეს შეერთებულ შტატებში გაწვრთნილი სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლები იცავდნენ. აღნიშნული ფაქტი იმას მოწმობდა, რომ დასავლეთისთვის შევარდნაძე საჭირო პიროვნება იყო როგორც გარანტი კავკასიის რეგიონში საერთაშორისო ენერგოპროექტების განხორციელებისა. ის გერმანელების ნაჩუქარი დაჯავშნილი „მერსედესის“ მარკის ავტომობილით გადაადგილდებოდა. 1998 წლის ტერორისტულ აქტს გამსახურდიას მთავრობის წევრი გურაბ აბსანძე აფინანსებდა (ჩაგელიშვილი, 2012). თბილისის ცენტრში მასშტაბური სპეცოპერაცია დაიგეგმა, რომლის მიზანი სახელმწიფო მეთაურის ლიკვიდაცია იყო. 1998 წლის ტერაქტს შესაძლოა საქართველოსა და მთელი რეგიონის პოლიტიკური ბედი სამუდამოდ შეეცვალა. არავინ უწყის, შევარდნაძის მოშორებით რა ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე აღმოვჩნდებოდით.

1998 წლის 9 თებერვალს ტერორისტული აქტი კვლავ წარუმატებლად განხორციელდა და პრეზიდენტმა შევარდნაძემ კრწანისის რეზიდენციას ჯანმრთელმა შეაფარა თავი. მალევე მან სპეციალური საიდუმლო სატელეფონო ხაზის გამოყენება სცადა, თუმცა კავშირი გათიშული იყო. ნათელია, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები აქტიურად მოქმედებდნენ.

პრეზიდენტის ტერაქტზე მეტის გასაგებად 1998 წლის 10 თებერვალს კახა თარგამაძე მოსკოვს სტუმრობდა. მან საქართველოში რაიმე სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვერ ჩამოიტანა. 1998 წლის 13 თებერვალს ჩეჩნეთის დედაქალაქ

გროზნოში საველე მეთაურმა სალმან რადუევმა განაცხადა, რომ შევარდნამეზე ტერორისტული აქტის ორგანიზატორი ის იყო და თავდასხმა მიზნად ისახავდა საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დასაყრდენის - ედუარდ შევარდნაძის მოცილებას. ქართულ სპეცსამსახურებს არც 1998 წელს ჰქონდათ და არც ახლა აქვთ მკაფიო დასკვნა იმის თაობაზე, თუ ვინ იდგა 1998 წლის ტერორისტული აქტის უკან (ჩაგელიშვილი, 2012). აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთში პრორუსული და ანტირუსული ჯგუფები საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდნენ და არც ოპერაციის ჩეჩენი და არაბი ორგანიზატორების ცალსახად დაკავშირება რომელიმე დაჯგუფებასთან არის ადვილი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ 1998 წლის ტერაქტის ქართველი თუ უცხოელი მონაწილეები, კრემლის პოლიტიკის ირიბად გამტარებლები, რეალურად ყოფილიყვნენ შევარდნაძის წინააღმდეგი. მოსკოვის ინტერესები და პოლიტიკური შურისძიება ერთმანეთს დაემთხვა. ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას ქ. გროზნოსთან ახლოს სამხედრო-ოპერაციული წვრთნები ვერ შეენიშნა და ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებაც ასე გასჭირვებოდა. როგორც ჩანს, კრემლი, სულ ცოტა, მოვლენების განვითარებას დაელოდა და თავისი მოქმედებით შევარდნაძის წინააღმდეგ დაგეგმილ ტერაქტს ხელი შეუწყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1995 წლის შემდეგ მოსკოვის მხრიდან საქართველოს პრეზიდენტის მიმართ უარყოფითი განწყობა საგრძნობლად გაიზარდა მისი ახალი, ლავირების პოლიტიკის გამო. ცხადია, შევარდნაძე დარწმუნდა, კეთილგანწყობას იმ დონემდე ვერ მოიპოვებდა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღმდგარიყო. ის პოლიტიკურად იძულებულიც კი გახდა, რომ იმ დროისთვის ყველაზე ღირებული - საქართველოს გეოგრაფიულად სტრატეგიული მდებარეობა გონივრულად გამოეყენებინა. რუსეთის ფედერაციის პასუხმაც არ დააყოვნა. ქრონოლოგიურად თუ გავაანალიზებთ, 1995 წლის ტერაქტით კრემლი თავიდანვე ცდილობდა საქართველოში პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლას და მას კარგად ესმოდა, რომ ქვეყანაში შიდა არეულობა წარმატებული საგარეო პოლიტიკის მარცხის წინაპირობა იქნებოდა. 1998 წელს კი სამხრეთ კავკასიაში კრემლი უკვე ფაქტის წინაშე აღმოჩნდა - შეერთებული შტატები თავის ახალ გეოსტრატეგიულ პოლიტიკას იწყებდა რეგიონში და საქართველო მნიშვნელოვანი ფუნქციით ვაშინგტონის ინტერესებში იყო. მიგვაჩნია, რომ ორივე

ტერაქტის უკან უცხო ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები იდგა, რომელსაც შევარდნაძე, მისი ახალი პოლიტიკური კურსის გამო, აღარ მოსწონდა. შესაძლოა 1995 და 1998 წლებში საქართველოს თითოეული მოქალაქისა და ქვეყნის პოლიტიკური ბედი სამუდამოდ შეცვლილიყო. თუმცა ედუარდ შევარდნაძის გადარჩენით არსებული საგარეო კურსი გაგრძელდა. 1993 წელს საქართველოს გაწევრიანება დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობაში, ვფიქრობთ, ედუარდ შევარდნაძის დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თანამდებობის შესანარჩუნებლად მას ამ პოლიტიკურ რისკზე წასვლა მოუხდა, რისიც შევარდნაძეს, ალბათ, სჯეროდა ან იმედი მაინც ჰქონდა (რომ კრემლი სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერას შეწყვეტდა), მხოლოდ პოლიტიკურ ილუზიად დარჩა. სამწუხაროდ, საქართველო ზემოხსენებული ორგანიზაციის წევრად შევარდნაძის მმართველობის ბოლომდე დარჩა და მხოლოდ 2009 წელს, ახალი ხელისუფლების დროს, გამოვიდა.

1998 წლის ტერაქტმა მსოფლიოს მედია მოიცვა. საქართველომ კიდევ ერთხელ მიიპყრო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება. იმავე დღეს ბილ კლინტონმა ედუარდ შევარდნაძეს მისწერა: „შემძრა თქვენი სიცოცხლის ხელყოფის აქტმა... და შვებით ამოვისუნთქე, როცა გავიგე, რომ არ დაშავებულხართ. რაღა თქმა უნდა, დამწუხრებულნი ვართ თქვენი დაცვის ჯგუფის წევრების სიკვდილის გამო. იმედი მაქვს, ჩემს სამძიმარს გადასცემთ მათ ოჯახებს... ამ განსაცდელის ჟამს ჩემი და ჰილარის ფიქრები და ლოცვა თქვენკენ და თქვენი ოჯახისკენ არის მიმართული“ (ჩარკვიანი, 2016:363). ამერიკის პრეზიდენტის წერილით დასტურდება, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სიცოცხლე პირდაპირ კავშირში იყო სამხრეთ კავკასიაში შეერთებული შტატების პოლიტიკური გეგმების განხორციელებასთან.

შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტს დიდი ყურადღება დაუთმეს აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოში - კონგრესში. 1998 წლის 10 თებერვალს კი შტატების სენატში სენატორმა სემ ბრაუნბეკმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ სახელმწიფოთაგან ყველაზე დემოკრატიულია. პრეზიდენტ შევარდნაძის შთაგონებული ხელმძღვანელობით შეწყდა სამოქალაქო ომი, კერძო პირების არმიები განიარაღდნენ, ხოლო ეკონომიკის ვარდნა აღმავლობამ შეცვალა. ინფლაცია მოთოკილია და ქართული ვალუტა

კლდესავით მყარია. თუკი ვერ დავიცავთ დემოკრატიათს საქართველოში, საეჭვოა, რომ მან სადმე იზეიმოს რეგიონში. შევარდნაძის მოკვლის ყოველი მცდელობა ამ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. ეს არის მცდელობა, ერთი მხრივ, გზას ააცდინონ წარმატებული დემოკრატიული პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, დაემუქრონ აშშ-ის მზარდ ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს საქართველოში და რეგიონში... ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ შესაძლოა, ეს ლაჩრული აქტი კავკასიაში დესტაბილიზაციის იმ გეგმის შემადგენელი ნაწილი იყოს, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკელ და სხვა ინვესტორთა დაშინებას, რომელთაც სურთ კასპიის ენერგომემცველების დასავლეთში, საერთაშორისო ბაზრამდე გატანა. ვის აძლევს ხელს ჩვენს დროში სამხრეთ კავკასიის დესტაბილიზაციის შექმნა? ყველა შესაძლო კანდიდატთაგან ამით ყველაზე მეტად რუსეთი მოიგებდა. ის უკვე კარგა ხანია ფარულად ცდილობს კასპიის ენერგომემცველების ჩრდილოეთით, რუსეთზე გამავალი გაზის გარდა, ნებისმიერი სხვა გაზით ტრანსპორტირება გამორიცხოს. რუსეთის პოლიტიკური ელიტის უმეტეს ნაწილს კასპიის სიმდიდრეები კვალავაც თავისად მიაჩნია... ზემოთ ჩამოთვლილ არგუმენტთაგან არც ერთი გამოდგება რუსეთის მონაწილეობის აშკარა დასტურად, მაგრამ ძლიერი ეჭვი ამის თაობაზე ადვილად არ გაქარწყლდება... ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მეგობრის შევარდნაძის მკვლელობის მცდელობას ვერ შევურიგდებით და, უდავოა, მას მოჰყვება რეაქცია“ (ჩარკვიანი, 2016:364). ამერიკულმა ჟურნალმა „თაიმმა“ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტი კი ასე დაასათაურა: „ღმერთი არ სწირავს მამაცებს“ (ჩარკვიანი, 2016:364).

ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტი ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში მომდებნო თვეების განმავლობაშიც აქტუალური იყო და საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებს მარტივად დაუკავშირეს. მაგალითად, 1998 წლის 30 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ამერიკული საგარეო პოლიტიკა განიხილა. საუბარი შეეხო საქართველოს აქტიურ მონაწილეობას აღმოსავლეთ-დასავლეთის კორიდორის შექმნაში, რომელიც რეგიონში არსებული ენერგოპროექტების ხარჯების შემცირებასაც ითვალისწინებდა. დისკუსია შეეხო აფხაზეთის კონფლიქტსა და რუსული ბაზების არსებობას როგორც საქართველოს, ისე

სომხეთის ტერიტორიაზე. კონგრესმენებმა აღნიშნეს, რომ შეერთებული შტატების ინტერესებში არ იყო სამხრეთ კავკასიაში რუსული შეიარაღებული ძალების განლაგება. მათი აზრით, საქართველოს და რეგიონის სხვა ქვეყნებსაც უფლება ჰქონდათ ეწარმოებინათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. თუმცა ნახსენები იყო ის ფაქტიც, რომ დროდადრო საქართველოში რუსული მხარისთვის მანდატის გაგრძელების თაობაზე საუბრები კვლად აქტიურად მიმდინარეობდა. კომიტეტის სხდომაზე, ასევე, განიხილეს 1995 წელს პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტი და ბრალდებული იგორ გიორგაძის რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში ექსტრადიციის საკითხი. კონგრესის სხდომიდან ირკვევა, რომ 1998 წელს საქართველოსთვის გამოყოფილი იყო 92,5 მილიონი დოლარი, სომხეთისთვის - 87 მილიონი დოლარი, ხოლო უკრაინისთვის - 225 მილიონი დოლარი (Congressional Records, 1998).

ვფიქრობთ, რომ ედუარდ შევარდნაძეს მიმართ დასავლეთის განწყობა ნათელი იყო. ის ითვლებოდა შტატების გეოპოლიტიკურ დასაყრდენად რეგიონში და ვაშინგტონს კარგად ესმოდა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა საქართველოში სახელისუფლებო გუნდის ცვლილებას, მაშინ როდესაც ქვეყნის მთავრობაში პრორუსული ძალები საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. შევარდნაძე მათთვის იყო გარანტი, რომ საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობები არ შეიცვლებოდა. მიუხედავად ქვეყნის შიგნით მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემებისა, დასავლეთი შევარდნაძეს ნდობას ბოლომდე უცხადებდა. პოლიტიკური სტაბილურობა - სწორედ ეს იყო საქართველოს პრეზიდენტისადმი ვაშინგტონის ერთგულების მიზეზი და, ბუნებრივია, რომ შტატების გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვისა და გატარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა რეგიონში ქვეყნის ლიდერებს ჰქონდათ, რომლებსაც ხშირად უსაფრთხოების შენარჩუნება პოლიტიკურად ძალიან ძვირი უჯდებოდათ.

2.4. ამერიკული პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატებმა სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო პროექტების განხორციელება დაიწყა, მისი ინტერესის სფერო ამავე დროს რეგიონალური უსაფრთხოება იყო, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე ძალზედ მძიმე მისაღწევი იყო. ბუნებრივია, სეპარატისტული რეჟიმები და უკონტროლო ვითარება რეგიონის ქვეყნების მდგრადი განვითარებისთვის და სტაბილურობისთვის ნამდვილად საშიში იყო.

1995 წლის 1 აგვისტოს, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის - უილიამ კორტნის - გამოსვლა საქართველოს მხარდასაჭერი სიტყვებით დაიწყო. მისმა აღმატებულებამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შტატები მტკიცედ უჭერდა მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და დემოკრატიულ განვითარებას (სსა, დოკ. 1723).

უილიამ კორტნიმ განაცხადა, რომ საქართველო, მიუხედავად დიდი პოტენციალისა, მაინც მძიმე მდგომარეობაში იყო და ამერიკელი დიპლომატი გამოსავალს მხოლოდ რეფორმებსა და მშვიდობის დამყარებაში ხედავდა. მან ქვეყნის დასახმარებლად მზადყოფნა გამოთქვა (სსა, დოკ. 1723). კორტნი მიესალმა საქართველოსა და შტატების აქტიურ თანამშრომლობას სამხედრო სფეროში, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებას. თავის გამოსვლაში დიპლომატმა ისიც აღნიშნა, რომ პირველი სამხედრო გემი საქართველოში უახლოეს დღეებში ჩავიდოდა და ქვეყანა აქტიურად ჩაერთვებოდა პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. მან მაღალი შეფასება მისცა გენერალ შალიკაშვილის ვიზიტს საქართველოში 1995 წლის მაისში და აღნიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული პოზიტიური, კარგი ურთიერთობები; არც ედუარდ შევარდნაძე გამორჩენია, რომელმაც, მისი შეფასებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლად. ელჩის შეხედულებით, დემოკრატიული რეფორმები საქართველოში სეპარატიზმს შეამცირებდა, რასაც მოჰყვებოდა ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცება (სსა, დოკ. 1723). უილიამ

კორტნიმ გამოთქვა იმედი, რომ 1995 წლის ნოემბერში საქართველოში სამართლიანი და თავისუფალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდებოდა (სსა, დოკ. 1723). მას არც 250 ათასი ქართველის, რუსის, სომხისა და ებრაელის იძულებითი გადაადგილება დავიწყებია და მოითხოვა მათი დაბრუნება მშობლიურ კუთხეში. უილიამ კორტნიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტიურ როლსაც გაუსვა ხაზი. ისიც აღნიშნა, რომ აფხაზებს არ სურდათ საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა. კორტნიმ ისაუბრა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის აქტიურ ჩართულობაზეც (სსა, დოკ. 1723).

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1996 წლის 6 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ამცნობდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პოსტზე წარდგენამდე რამდენიმე დღით ადრე მადლენ ოლბრაითთან საქართველოს დიპლომატიურ კორპუსს საუბარი ჰქონდა და მალევე სახელმწიფო მდივნისგან მათ მიიღეს თანადგომისა და სახელმწიფო თანამშრომლობის წერილი (სსა, დოკ. 1871).

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მხარდაჭერა საქართველოსთვის გადამწყვეტი იყო, რადგანაც იმ დროისთვის შტატების საგარეო პოლიტიკის ყურადღება მიმართული იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე საომარი მოვლენებისკენ. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება, რათა საერთაშორისო დღის წესრიგში საქართველოს პრობლემატიკას აქტუალურობა არ დაეკარგა.

1996 წლის 13 ნოემბერს საქართველოს ამერიკული დელეგაცია ეწვია, რომელმაც ორმხრივი მოლაპარაკებები გამართა მთავრობის წევრებთან. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ელჩი ჯეიმს კოლინსი - საგანგებო მრჩეველი ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოების საკითხებზე; ელჩი ჯოზეფ პრესელი - საგანგებო მოლაპარაკების მწარმოებელი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში; ელჩი უილიამ ტეილორი - ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის აშშ-ის დახმარების კოორდინატორი (სსა, დოკ. 1849). ქართულ-ამერიკულ მხარეებს შორის მჭიდრო კოორდინაცია მოწმობდა, რომ შტატების გეოპოლიტიკური ინტერესის საგანი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან აქტიური დიპლომატიის წარმოება და რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირება იყო.

1996 წლის 22 აპრილს აფხაზეთს ოთხი ამერიკელი დიპლომატი, მათ შორის, აშშ-ის ელჩის მოადგილე ლორენს კერი, ეწვია. მათი მიზანი იყო აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მხრიდან კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე მოსაზრებების მოსმენა. შტატები ემხრობოდა საკითხის პოლიტიკურად გადაწყვეტას, რაც დაეყრდნობოდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ამერიკული მხარე, ასევე, აღნიშნავდა ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელობას, რაც აუცილებლად შეუწყობდა ხელს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას და დევნილების უსაფრთხო დაბრუნების საფუძველი გახდებოდა. ამერიკელმა დიპლომატებმა ხაზი გაუსვეს რუსეთის ფედერაციისა და „საქართველოს მეგობრების“ - საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და შტატების როლს მოლაპარაკებების პროცესში. საქართველოსა და აშშ-ის ერთობლივი თანამშრომლობა აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რაც მთავარია, ამ პროცესში ორიენტირება უნდა მომხდარიყო დიალოგის ფორმატზე და არა მონოლოგზე (სსა, დოკ. 1849).

1996 წელს გამართული აქტიური მოლაპარაკებები აფხაზეთს მხარესთან იმაზე მიუთითებდა, რომ შტატები დაინტერესებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობით. მეორე მხრივ კი, სახეზე იყო რუსეთის ფედერაციის მძლავრი გავლენა სეპარატისტულ რეჟიმზე, რაც დიალოგის ფორმატის ეფექტურობას საგრძნობლად აკინინებდა.

1996 წლის აგვისტოში საქართველოს საელჩო აშშ-ში წერდა, რომ ის აქტიურად მუშაობდა ვაშინგტონში საქართველოს რესპუბლიკისა და შეერთებული შტატების პრეზიდენტების შეხვედრის ორგანიზებაზე. გარდა ამისა, საელჩო აზუსტებდა იმ სფეროებს, სადაც აუცილებელი იყო დასავლეთის ჩართულობა. ეს იყო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება და რუსეთის ფედერაციის როლის შემცირება კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, რაც, რასაკვირველია, გულისხმობდა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და დასავლეთის ქვეყნების როლის ზრდას (სსა, დოკ. 1850). საქართველოს რესპუბლიკის ელჩი აშშ-ში წერდა, რომ ვაშინგტონში დიდი ინტერესით შეხვდნენ იდეას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და „საქართველოს მეგობრების“ მონაწილეობით აფხაზეთის პრობლემატიკაზე კონფერენციის ჩატარების თაობაზე. ჯაფარიძის შეხედულებით, ამ იდეას მოჰყვებოდა მოლაპარაკებების

პროცესში დასავლეთის ქვეყნების უფრო აქტიური ჩართულობა. გარდა ამისა, ქართველი დიპლომატის განცხადებით, კონფერენციის ჩასატარებლად ძალიან მნიშვნელოვანი იყო კოორდინაცია აშშ-ის სახელმწიფო მდივან უორენ ქრისტოფერთან, მის პირველ მოადგილე სტრობ ტელბოტთან და აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწესთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ენტონი ლეიკთან (სსა, დოკ 1850).

1996 წელს საქართველოს საელჩო აშშ-ში, ასევე, აღნიშნავდა, რომ შტატები მზად იყო „საქართველოს მეგობრებთან“ ერთად უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. ოფიციალური ვაშინგტონი გამოხატავდა მზადყოფნას კოორდინირებულად ემუშავა და თბილისში აკრედიტებულ ელჩებსაც შეხვედროდა (სსა, დოკ. 1850). საქართველოში არსებულ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, რომ ამერიკული მხარის მიერ გამოყოფილი ყოველი ჰუმანიტარული დახმარება გადამწყვეტი იყო ქვეყნისთვის ხორბლის დეფიციტის შესავსებად მაინც. გარდა ამისა, აფხაზეთის კონფლიქტით ამერიკული მხარის დაინტერესება კიდევ ერთხელ მიუთითებდა, რომ შტატები რეალურად იყო დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით.

1996 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტზე აფხაზეთის საკითხი განიხილეს და მიუხედავად კრემლის დიდი სურვილისა, აფხაზეთის რეგიონთან სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობა, თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მხრიდან მხარდაჭერილი არ იქნა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი კი ამ გადაწყვეტილებას მიესალმა (შევარდნაძე, 2018:59).

საქართველოს ელჩი შტატებში თედო ჯაფარიძე 1996 წლის აგვისტოში საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოში ამერიკული დელეგაციის ჩამოსვლის თაობაზე ატყობინებდა. დელეგაციის შემადგენლობაში, სხვებთან ერთად, შედიოდნენ: აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის წევრები - მარკ გეიჯი, აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიული სახელმწიფოების განყოფილების უფროსი ქლიფ კუბჩანისა და მარკ კერკი. მათი მიზანი იყო განეხილათ უსაფრთხოების პრობლემები რეგიონში და ედუარდ შევარდნაძის ინიციატივა „მშვიდობიანი კავკასიისთვის“, საქართველო-რუსეთისა და

საქართველო-თურქეთის ურთიერთობები და მზად იყვნენ თურქეთ-სომხეთის კონფლიქტზე მსჯელობისთვისაც; ასევე, სურდათ შეხვედრა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. რასაკვირველია, აღნიშნული ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აშკარაა, რომ 1996 წელს შტატების საგარეო პოლიტიკის დიდ ნაწილს იკავებდა სამხრეთ კავკასია და, რა თქმა უნდა, საქართველოც. რაც მთავარია, ამერიკული მხარე ისწრაფვოდა რეგიონში მაქსიმალური სტაბილურობისა და უსაფრთხოებისაკენ, რაც, რასაკვირველია, შეამცირებდა შესაძლო რისკებს და გაზრდიდა საერთაშორისო პროექტების პრაქტიკული განხორციელების შანსებს (სსა, დოკ. 1855).

1998 წლის 17 ივნისს აშშ-ის სენატორმა ჰერბერტ კოლმა სამხრეთ კავკასიაში ამერიკული ინტერესების დაცვის მნიშვნელობაზე კონგრესში ისაუბრა. მისი აზრით, აუცილებელი იყო შტატებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო. სენატორმა ხაზი გაუსვა აფხაზეთის პრობლემას და რუსეთის მზარდ გავლენას ამ რეგიონში. მან, ასევე, აღნიშნა, რომ საქართველო 1991 წლიდან, დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვებიდან, რეგიონში ყველაზე პროდასავლური ქვეყანა იყო, რომელმაც დაამარცხა სამოქალაქო ომი პრეზიდენტ შევარდნაძის წყალობით. სენატორს არც რუსული წვრთნები და აფხაზი სეპარატისტების სამხედრო მხარდაჭერა დავიწყებია და აღნიშნა, რომ ეს ყოველივე საქართველოს სტაბილურობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჰერბერტ კოლი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკურად მხარდაჭერის გაგრძელება და ქვეყნის დახმარება რეფორმების პროცესში, რაც შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებშიც იყო. მისი აზრით, ვაშინგტონს უნდა უზრუნველყო საერთაშორისო პროექტების განხორციელების უსაფრთხოება რეგიონში, მათ შორის, 1997 წელს მიღებული „აბრეშუმის გზის სტრატეგიული აქტის“, რომელიც ინფრასტრუქტურული პროგრამების მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. სენატორის შეხედულებით, შტატების მიერ დემოკრატიის მხარდაჭერით შესაძლებელი იქნებოდა სამხრეთ კავკასიაში რუსული გავლენისა და ანტიდასავლური ისლამური პროპაგანდის შემცირება (Kohl, 1997).

1998 წლის 6 მარტს ბილ ქლინტონსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის მორიგი სატელეფონო საუბარი შედგა. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გადაჭრის საშუალებებსა და ამერიკელთა მისიის გაძლიერებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. შტატები აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება (სსა, დოკ. 2259).

1998 წლის 31 მარტს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ნელსონ სტროუბ ტელბოტმა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ შტატების პოლიტიკის პრიორიტეტებზე ისაუბრა. მისი აზრით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს წარმატებას მხოლოდ სამოქალაქო ინსტიტუტების გაძლიერება და დემოკრატია თუ მოუტანდა, ხოლო კასპიის რეგიონში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეებით, მილსადენებით, მას შეეძლო მსოფლიო ბაზარს ეფექტურად დაკავშირებოდა. საუბარი, ასევე, შეეხო აფხაზეთის კონფლიქტს და შეერთებული შტატების როლს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებლების დიალოგში აქტიური ჩართვაში. ბ-ნი ტელბოტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის ფედერაცია საბოლოოდ დათანმხდა ზემოხსენებულ მისიას საქართველოში. ამერიკელი დიპლომატის რწმენით, რუსული სამშვიდობო მისიისგან განსხვავებით, ეს მისია ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა. ბ-ნმა ტელბოტმა განაცხადა, რომ შევარდნაძის წინააღმდეგ 1998 წლის თებერვალში განხორციელებულ ტერაქტამდე აფხაზეთში ორი ამერიკელი სამხედრო დამკვირვებელი იმყოფებოდა. პრეზიდენტზე თავდასხმის შემდეგ კი, ისინი თბილისში დაბრუნდნენ და ვითარების დარეგულირებისთანავე კვლავ სოხუმში გაემგზავრებოდნენ. მას არც აფხაზეთის ომის მსხვერპლი დევნილები დავიწყებია და აღნიშნა კონგრესის აქტიური მუშაობა მათთვის დამატებით 5 მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე. ამერიკელმა დიპლომატმა ხაზი გაუსვა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს აქტიურ როლს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. რაც შეეხება ზოგადად ამერიკულ გეოპოლიტიკურ სტრატეგიას რეგიონში, მისივე განცხადებით, სამხრეთ კავკასია აუცილებლად უფრო მეტად უნდა დაკავშირებოდა ევროპასა და ტრანს-ატლანტიკურ სივრცეს (სსა, დოკ. 2259).

ვფიქრობთ, აშშ-ის ინტერესი უფრო აქტიურად ჩართულიყო აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პროცესში იმაზე მიუთითებს, რომ ოფიციალურ ვაშინგტონს სურდა რეგიონში საკუთარი პოზიციები განემტკიცებინა და ანგარიშგასაწევი ძალა გამხდარიყო, რუსეთის ფედერაციის გავლენის პროპორციულად. აქედან გამომდინარე, მის ობიექტებში, ბუნებრივია, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტიც მოექცა. მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ საკმაოდ დინამიკურად და ეფექტურად, შეერთებული შტატები ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გავლენის გაზრდასა და პოლიტიკური თამაშის წესების დამყარებას, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციის ინტერესებში არ შედიოდა.

1998 წლის 29 ივლისს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში თედო ჯაფარიძე შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მთავარ კოორდინატორს, ბ-ნ როს უილსონს შეხვდა (სსა, დოკ. 2246). ქართული მხარის პოლიტიკური თხოვნა იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში შტატებს მხარი დაეჭირა ტერმინ „ეთნიკური წმენდისთვის“, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ამ ნაბიჯით შესაძლებელი იქნებოდა მოლაპარაკებებზე აფხაზური მხარის პოზიციის შეცვლა. თ. ჯაფარიძის განცხადებით, ეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი თხოვნაც იყო და ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილე სტროუბ ტელბოტსაც, რომელიც ცოტა ხნით ადრე თბილისში იმყოფებოდა. ელჩის თქმით, ამ პოზიციას რუსეთის ფედერაციაც ეთანხმებოდა. ამერიკულ მხარეს კი მიაჩნდა, რომ აღნიშნული ტერმინის გამოყენებით შესაძლო იყო საწინააღმდეგო შედეგის მიღება და დიალოგის ფორმატში კომპრომისის გამორიცხვა. აქედან გამომდინარე, პროგრესის მისაღწევად, ის აუცილებელად მიიჩნევდა გარკვეულ დათმობებზე წასვლას (სსა, დოკ. 2246). ქართულმა მხარემ, ტერმინ „ეთნიკური წმენდის“ მიუღებლობის შემთხვევაში, ამერიკულ პარტნიორებს იმავე მნიშვნელობის სხვა ტერმინის გამოყენება შესთავაზა (სსა, დოკ. 2246).

შტატების მოლოდინი, რომ რუსეთის ფედერაცია დაპირებულ პოლიტიკურ ნაბიჯს არ გადადგამდა, ვფიქრობთ, ბუნებრივი იყო. თუმცა, ალბათ საქართველოსთვის, შეერთებული შტატებისთვის ან თუნდაც, დანარჩენი ევროპული ქვეყნებისთვის, რომლებმაც რუსული აგრესიული პოლიტიკა გამოსცადეს, უკეთესი

იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საქართველოს მაგალითზე ტერმინ „ეთნიკური წმენდის“ შემცველი ერთი რეზოლუცია მაინც დროულად მიეღო. ამ შემთხვევაში არც აგვისტოს ომის დროს იქნებოდა იმის მტკიცება საჭირო, თუ ვინ დაიწყო ომი 24-საათიან სატელევიზიო რეჟიმში და ყირიმის ანექსიისას ყველაფერი ბევრად უფრო ნათელი იქნებოდა. ვეთანხმებით ქართული მხარის მოთხოვნასაც, თუმცა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, კომპრომისზე წასვლა საუკეთესო გამოსავალი იყო.

2002 წელს კრემლში რუსი მშვიდობისმყოფელებისთვის მანდატის ცვლილებას ხშირად მოსკოვში და თბილისში განიხილავდნენ. საინტერესოა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის აზრი, რომლის მიხედვითაც რეგიონში ბალანსის დაცვა მათთვის მნიშვნელოვანი იყო და რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვისაც ვადის გაგრძელება მიზანშეწონილი (დილის გაზეთი, 2002ა) ვფიქრობთ, ეს მიუთითებდა იმაზე, რომ ვაშინგტონი კვლავ სამხრეთ კავკასიის რეგიონს რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენების სფეროდ აღიქვამდა და რეგიონში რადიკალური პოლიტიკური ცვლილებებისთვის საგარეო ურთიერთობების კუთხით მზად არ იყო. რასაკვირველია, კრემლის ბალანსის დარღვევა რთული იყო და არის, თუმცა ხისტი ქართულ-ამერიკული ნაბიჯების გარეშე ვითარების შეცვლა წარმოუდგენელია.

2.5. ქართულ-ამერიკული ეკონომიკური თანამშრომლობა

1995-1999 წწ.

ბილ კლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება ქართულ ეკონომიკას და საფინანსო სექტორსაც დაეტყო.

საქართველოს ყოფილი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძე აღნიშნავს, რომ 1995-1998 წლებში, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ინიციატივით, რომლებსაც შეერთებული შტატები აქტიურად უჭერდა მხარს, საქართველოში რეფორმების ტალღა წარმატებულად განხორციელდა, ხოლო 1995-1999 წწ.-ში საქართველომ ფუნდამენტური არჩევანი გააკეთა პოლიტიკური,

ეკონომიკური და ენერგეტიკული პოლიტიკის მხრივ, რომელმაც საბოლოოდ ქვეყანა დასავლეთზე ორიენტირებული გახადა (Gegeshidze, 2017:4).

1995 წლის 1 აგვისტოს, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა - უილიამ კორტნიმ ქართულ-ამერიკულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე ისაუბრა. ელჩი მიესალმა საქართველო-შტატების ეკონომიკურ თანამშრომლობას და მოხარული იყო ქართული მხრიდან ამერიკული ინვესტიციების მოზიდვას კასპიის ზღვის რეგიონიდან ამოღებული ნავთობის საქართველოში გასატარებლად. მისი აზრით, ეკონომიკური რეფორმების დასრულებამდე შტატებს საქართველოს ჰუმანიტარული დახმარება უნდა გაეგრძელებინა და ქვეყანა მოემარაგებინა განსაკუთრებით ხორბალითა და ნავთობპროდუქტებით. (სსა, დოკ. 1723).

აშშ-ის ელჩს კიდევ ერთი გამოსვლა ჰქონდა სახელმწიფო მოხელეთა ქართულ-ამერიკულ ინსტიტუტში 1995 წლის 9 ნოემბერს. კორტნიმ, ვფიქრობთ, საინტერესო აქცენტები გააკეთა საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ გამოწვევებთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად, მისი განცხადებით, 1994 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა დაეცა ერთი მესამედით, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ევრაზიის ქვეყნებს შორის. კორტნის აზრით, დასავლეთის ჰუმანიტარული დახმარება აუმჯობესებდა შიდა ეკონომიკურ სიტუაციას. მან აღნიშნა, რომ ქვეყანას არ ჰქონდა ენერჯის იმპორტირების შესაძლებლობა, რომ შიდა ეკონომიკური ვალი უკვე აღემატებოდა ერთ მილიარდ დოლარს და ეს გამოწვეული იყო ბოლო წლებში გაზის იმპორტირებით. უილიამ კორტნიმ, ასევე, განაცხადა, რომ საქართველომ 1994 წლიდან, ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, თამამი რეფორმების გატარება დაიწყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი, თავის მხრივ, ქართულ მხარეს შესთავაზა გეგმა, რომელიც ქვეყანას არსებული კრიზისის დაძლევაში და საფინანსო თუ ეკონომიკური სახის რეფორმების გატარებაში დაეხმარებოდა (სსა, დოკ. 1723).

გეგმა შემდეგი სახის იყო:

1. მთავრობის ხარჯების შემცირება;
2. დაბალი ეფექტური სახელმწიფო ორგანიზაციების გაუქმება;
3. სახელმწიფო მოსამსახურეთა შტატისა და ბიუჯეტის შემცირება;

4. კრედიტების გაცემის შეზღუდვა;

5. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების განვითარება.

რაც შეეხება პურის სუბსიდიებს, კორტნი თვლიდა, რომ მათი შემცირებით, პურის მზარდი ფასები პურის წარმოების სტიმულირებას შეუწყობდა ხელს.

კორტნის შეხედულებით, ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები გააუმჯობესებდა საქართველოს მიერ თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებას. მან ხაზი გაუსვა საერთაშორისო კომპანიების დაინტერესებას ნავთობის ტრანსპორტირებით კასპიის ზღვის რეგიონიდან დასავლეთში (სსა, დოკ. 1723).

შტატები იწონებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორების მიერ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განსავითარებლად განხორციელებულ ქმედებებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ვაშინგტონმა ნება დართო ქართულ მხარეს ჰუმანიტარული დახმარების ნაწილი შიდა ბაზარზე გაეყიდა და ამ თანხით სახელმწიფოს ბიუჯეტი შეეცხო. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს ჰუმანიტარული დახმარება აღარ დასჭირდებოდა, მისი მომავალი მჭიდროდ დაუკავშირდებოდა კერძო სექტორს, რაც ეკონომიკის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ვფიქრობთ, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს შტატების განზრახვას დახმარებოდა საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობასა და ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრაში.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უილიამ კორტნიმ საქართველოსთან მიმართებით პოლიტიკური აქცენტები სწორად დასვა. მან ყურადღება გაამახვილა ქვეყნის შესაძლებლობებზე, იმ ობიექტურ მიზეზებზე, რომლებიც საქართველოსთვის, საშინაო თუ საგარეო კუთხით, დაბრკოლებებს ქმნიდა. კორტნის განცხადებები - ეს იყო ამერიკული მხარის მკაფიო გზავნილები იმის შესახებ, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთებულიყო საერთო პოლიტიკური წარმატების მისაღწევად.

1996 წელს საქართველო ეკონომიკის სფეროში შტატების ვაჭრობისა და განვითარების სააგენტომ დააფინანსა. მომავალში მთელ ამიერკავკასიაში საკონტინენტო ტერმინალები უნდა შექმნილიყო, რომლებიც ევროპა-აზიის კორიდორის სტარტეგიულ განვითარებას მოემსახურებოდა. აქედან გამომდინარე,

ფოთში 2 მლნ. ტონა წარმადობის ტერმინალი უნდა აშენებულიყო. ამერიკული მხარე, ასევე, დააფინანსებდა კასპიის ნავთობსადენების პროექტებს, სუფსაში დიდი სანავთობო პორტისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას.

1996 წლის 13 ნოემბერს საქართველოს აშშ-ის სახელმწიფო დელეგაცია ესტუმრა, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის სწორად გამოყენება და პარტნიორი ქვეყნისთვის ამერიკული გამოცდილების გაზიარება. ქართული მხარე აღნიშნავდა, რომ შტატების მხარდაჭერა ევრაზიული სატრანსპორტო კორიდორის მშენებლობაში უმნიშვნელოვანესი იყო და ამერიკული კომპანიების ჩართვას თანამშრომლობის გაღრმავებაში მხოლოდ მიესალმებოდა. აშშ-ის დელეგაციის ვიზიტით დადასტურდა, რომ შტატები დაინტერესებული იყო საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის ჩარჩოების გაფართოებით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე კერძო კომპანიების უფრო მეტ როლსა და აქტიურობას სამხრეთ კავკასიაში (სსა, 1883).

1996 წლის 2 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ-ის საელჩომ თბილისში აცნობა, რომ ამერიკული ჰუმანიტარული დახმარების, კერძოდ კი, ხორბლის შემოტანა შეეყოვნდა ბათუმისა და ფოთის პორტებში. ამერიკული მხარე აცხადებდა, რომ აღნიშნული ტვირთი განკუთვნილი იყო საქართველოსა და სომხეთისთვის და შტატების მიერ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე იქნა მოწოდებული. მისივე განცხადებით, არსებობდა შემაშფოთებელი პრაქტიკული ფაქტორები: ხარჯების ზრდა, მოცულობის შემცირება, ხანგრძლივი დაყოვნება და პოლიტიკური ეჭვი ჰუმანიტარული დახმარების გაფლანგვაზე. საელჩო იმედოვნებდა, რომ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ამერიკული დახმარების ეფექტურად გამოყენებას ვერ ახერხებდა, რეაგირებას მაინც მოახდენდა (სსა, 1883). პოლიტიკური ეჭვი იმის თაობაზე, რომ უცხოური დახმარება გაიფლანგა, რასაკვირველია, ძალიან ნეგატიურად აისახებოდა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე და ეჭვქვეშ დააყენებდა სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პროცესს საქართველოში.

1996 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ირაკლი მენაღარიშვილის მეთაურობით და აშშ-ში საქართველოს ელჩის ორგანიზებით რამდენიმე შეხვედრა გაიმართა სომხეთის ელჩთან აშშ-ში რუბენ შუგანიანთან. შეხვედრაზე, რომელშიც

მონაწილეობდნენ საქართველოს საელჩოს დესპანი ვასილ კაჭარავა და მრჩეველი ლევან მიქელაძე (სსა, დოკ. 1887), განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული დახმარება სამხრეთ კავკასიისათვის და მისი შესაძლო გადაყვანა ტექნიკური სახის დახმარებაში. ქართულმა და სომხურმა მხარეებმა, ასევე, განიხილეს ის კანდიდატურები ვაშინგტონში, რომლებსაც შეეძლოთ კავკასიაზე ერთგვარი დაკვირვებისა და კონტროლის განხორციელება. ისინი კარგად აცნობიერებდნენ, რომ შტატებს რეგიონში სტაბილურობა და სიმშვიდე სურდა. შესაბამისად, როგორც ქართული, ისე სომხური მხარე მიიჩნევდნენ, რომ კავკასიაში ამ მისიას თავს მდიდარი და ძლიერი პოლიტიკური კაპიტალის მქონე პიროვნება თუ გაართმევდა. უახლოეს მომავალში კი საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების შტატებში ვიზიტების ორგანიზებასაც აპირებდნენ (სსა, დოკ. 2386). ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლება აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ისე შეერთებულ შტატებთან სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული და გეოპოლიტიკური როლის ზრდის კუთხით.

1996 წლის 13 ნოემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი სამედიცინო ტვირთი გადანაწილდა. ამ პროცესს დაესწრო აშშ-ის ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი. აღნიშნული ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც 1992 წლის ივლისში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოვიდა, დაახლოებით 5.9 მილიონი დოლარის ღირებულების იყო. ტრანსპორტირებისა და გადანაწილების ხარჯები ამერიკულმა მხარემ დაფარა. საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით კი, ჰუმანიტარული ტვირთი გათავისუფლებული იყო მომსახურების გადასახადიდან (სსა, დოკ.1848). ზემოხსენებულ სამედიცინო დახმარებას კურირებდნენ ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები: Umcor და Acts International. უნდა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციებმა 1993 წლიდან 285.000 და 560.000 ამერიკული დოლარის მედიკამენტები და სამედიცინო მასალები გადანაწილეს საქართველოში. აღნიშნული ჰუმანიტარული დახმარება მოწმობს, რომ ამერიკული მხარე 1996-1999 წლებშიც განაგრძობდა საქართველოსთვის საჭირო მასალების გადაცემას, რაც საქართველოს ჯანდაცვის სექტორის განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო (სსა, დოკ. 1848).

1996 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჰუმანიტარული ტვირთის ტრანზიტი საკმაოდ ხშირი იყო. შტატების საელჩო თბილისში იტყობინებოდა, რომ ტვირთის გატარებისას მანქანების მძღოლებისგან სხვადასხვა სახის გადასახადს ითხოვდნენ. წერილში არ იყო დაკონკრეტებული, ვინ ითხოვდა, მაგრამ ამერიკული მხარე იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა თუკი რაიმე სახის გადასახადს ითვალისწინებდა ზემოხსენებულ ტრანზიტზე, მათ აუცილებლად აცნობებდნენ უმოკლეს დროში და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები აღნიშნულ საკითხს ყურადღებით მოეკიდებოდნენ (სსა, დოკ. 2346). ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, საქმე გვექონდა კორუფციასთან. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალის მიხედვით ირკვევა შემდეგი: 1996 წლის 5 მარტს სახელმწიფო საგადასახადო სამსახური განმარტავდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჰუმანიტარული ტვირთის გადატანისას სახელმწიფოს მიერ დაწესებული იყო მხოლოდ ავტომანქანის შემოსვლისა და სატრანზიტო მოძრაობისთვის დაწესებული გადასახადი, რაც დამოკიდებული იყო ავტომანქანის ტიპზე, საბაჟო გადასახადსა და პროცედურებზე (სსა, დოკ. 2346). ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლება კორუფციას ვერ ან არ უმკლავდებოდა, რაც ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის დამაზიანებელი ფაქტორი იყო. გარდა ამისა, მუდმივი ახსნა-განმარტება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან ამცირებდა მათი მხრიდან ჩვენდამი ნდობის ხარისხს, რაც ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებზე ნეგატიურად აისახებოდა.

1996 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა ორი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისის გაძარცვის თაობაზე. ამერიკული მხარე წერდა, რომ წადებული იყო როგორც ფული, ისე კომპიუტერული ტექნიკა. საელჩო იმედს გამოთქვამდა, რომ ქართული მხარე აღნიშნულ დანაშაულს გამოიძიებდა, რადგანაც ეს ყოველივე უარყოფითად მოქმედებდა საქართველოს საერთაშორისო იმიჯსა და უსაფრთხოებაზე (სსა, დოკ. 2286). აღნიშნული ფაქტიც იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქტიურად უნდა ებრძოლა კრიმინალისა და კორუფციის აღმოსაფხვრელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მიაღწევდა უსაფრთხო

გარემოს ქვეყნის შიგნით, რაც ნამდვილად იქნებოდა ამერიკული მხარის მიერ უარყოფითად შეფასებული.

1996 წლის 2 იანვარს შტატებმა განაცხადა, რომ ის მზად იყო საქართველოს მთავრობისთვის ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად ტექნიკური დახმარებაც გაეწია ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სექტორის სწრაფად და ხარისხიანად განსავითარებლად. ამისთვის კი საქართველოში სამი სპეციალისტი ჩამოვიდოდა, რომლებიც 1996 წლის იანვარში 3-4 კვირიან მისიაში ჩაერთვებოდნენ (სსა, დოკ. 2245).

1996 წელს საქართველოს საელჩო აშშ-ში აღნიშნავდა, რომ საქართველო შტატების მადლობელი იყო ჰუმანიტარული ტვირთისა და კონგრესის მიერ 20 მილიონი დოლარის გამოყოფისთვის, რაც ხორბლის შექმნასა და ტრანსპორტირებას ითვალისწინებდა. 1996 წელს ქართული და ამერიკული მთავრობების ერთობლივი კოორდინირებით, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი საგარეო ვაჭრობის შეღავათების გენერალიზებული სისტემის გავრცელება-სტატუსის მიღება მოხდა. მიგვაჩნია, რომ ამერიკული სისტემის მეშვეობით საქართველოში ეკონომიკური აღორძინებისა და წინსვლისთვის აუცილებელი ნაბიჯები გადაიდგა. მაგალითად, კერძო ბიზნესის წახალისება და მხარდაჭერა, ეკონომიკური ინვესტიციების შემოსვლა და ა.შ. 1996 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება ხორბლის შესაძენად საქართველოსთვის 10 მილიონი დოლარი გამოეყო. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებდა, რომ ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური ვითარება იყო და საქართველო არსებული სახსრებით ამ პრობლემებს ვერ აგვარებდა. სწორედ ამიტომ, მან გაააქტიურა პოლიტიკა, რათა ამერიკული ჰუმანიტარული დახმარება გაზრდილიყო (სსა, დოკ. 1183). პარტნიორის მხრიდან გაწეული დახმარება საქართველოს მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან, სამწუხაროდ, ხელისუფლება არსებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას კვლავ ვერ ახერხებდა.

1998 წლის 29 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით ქართულ და ამერიკულ მხარეებს შორის აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საქართველოში ექსპორტის კონტროლის საკითხებზე. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, სანაპირო დაცვის სამსახურის, საბაჟო დეპარტამენტისა და საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებმა ადგილზე დეტალურად შეისწავლეს საქართველოს სანაპირო და

სასაზღვრო ზოლზე არსებული სიტუაცია. გარდა ამისა, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსთვის სწავლება, წვრთნისა და ტექნიკური დახმარების საშუალებების, აღჭურვილობის შემენას და სამხედრო პროგრამების შემუშავებას მასობრივი განადგურების იარაღისა და მასთან დაკავშირებულ მასალების გავრცელების საწინააღმდეგოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო სპეციალური პროგრამა, რომელიც შემუშავდა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებისთვის ექსპორტის კონტროლის სფეროში დახმარების გასაწევად. რაც მთავარია, მომავალში პროექტის გაფართოება იგეგმებოდა (სსა, დოკ. 2032)

1999 წელს აშშ-ის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ასიგნებათა კომიტეტებმა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების დახმარების კოორდინაციისთვის 740 მილიონი დოლარი (სენატი) და 590 მილიონი დოლარი (წარმომადგენელთა პალატა) გამოყვეს. საქართველოსთვის საერთო დახმარება სენატის კანონპროექტში 95 მილიონი დოლარი იყო. წარმომადგენელთა პალატის მხრიდან გამოყოფილი დახმარება გულისხმობდა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმების გატარებასაც. ქართული მხარე კი საქართველოსთვის საერთო დახმარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და აშშ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებთან მუშაობის პროცესში ხაზს უსვამდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს როლს და აღნიშნავდა, რომ საელჩო ყოველთვის დიდ სამსახურს უწევდა საქართველოს მოწოდებული დახმარების პრიორიტეტების მიმართულებების დაზუსტებაში. ამერიკული მხარე ქართული მხარისგან 1999 წლის შემოდგომამდე ელოდებოდა წინადადებებს საერთო დახმარების კანონპროექტში შესწორებებისთვის, თუკი ამის სურვილი იქნებოდა (სსა, დოკ. 1877). საქართველოს საკითხებთან დაკავშირებით სენატის შესაბამისი კომიტეტი 1999 წელს მიესალმა საქართველოს მთავრობის შემართებას საკანონმდებლო, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების პროცესში. თუმცა არასტაბილური ვითარება აფხაზეთში და რუსეთის ფედერაციის გავლენა ქვეყნის საშინაო საქმეებზე ჯერ კიდევ შემფოთების საგნად რჩებოდა (სსა, დოკ. 1877). ვფიქრობთ, წარმოდგენილი საარქივო მასალა ცხადყოფს, რამ ამერიკულ მხარეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა სახით უნდა განხორციელებულიყო საქართველოს მხარდაჭერა პოლიტიკური რეფორმის დროს. საკვლევ პერიოდში ქართულ-ამერიკული პოლიტიკური

თანამშრომლობა, უდავოდ, გაფართოვდა, თუმცა წარმატება არც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების და არც რუსული გავლენის შემცირების კუთხით, არ შეინიშნებოდა.

1999 წელს აშშ-თან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, 2000 წელს საქართველოში 35,4 ათასი ტონა ხორბალი შემოვიდა. გარდა ამისა, შტატების მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი კრედიტის ფარგლებში, 32 ათასი ტონა ხორბლის შემოტანა მოხდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების დახმარებისა და განხორციელებისთვის ოფიციალურმა ვაშინგტონმა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების რამდენიმე პროექტი დააფინანსა. გარდა ამისა, აშშ-ის გრძელვადიანი კრედიტითა და ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ხორბლითა და საკვები პროდუქტებით ეფექტურად ხორციელდებოდა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების შედეგად იძულებით გადაადგილებულებისა და სოციალურად დაუცველი პირების სასურსათო დახმარების სახელმწიფო პროგრამები. ამერიკულმა ჰუმანიტარულმა დახმარებამ პურ-პროდუქტების ხარისხის ამაღლებას, კერძო სამეწარმეო სექტორისა და ფერმერებისთვის მომგებიანი პოლიტიკის გატარებასაც შეუწყო ხელი. 2000 წლისთვის კი შტატებთან მიღწეულ იქნა შეთანხმება დამატებით 15-20 მილიონი დოლარის ღირებულების გრძელვადიანი და შეღავათიანი სასაქონლო კრედიტის გამოყოფის თაობაზე (სსა, დოკ. 2060).

საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე იხსენებს, რომ პრეზიდენტი ბილ კლინტონი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტით იმდენად დაინტერესებული იყო, რომ ხშირად პირადად ჰქონდა კომუნიკაცია აზერბაიჯანის იმჟამინდელ პრეზიდენტთან-ჰეიდარ ალიევთან (გეგეშიძე, 2019).

1999 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი აშშ-ს ეწვია. ქართული დელეგაცია შტატების ვაჭრობის და განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს, ბ-ნ გრანდ მეთონს შეხვდა. მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების ფონდის მიერ საქართველოს სანაპირო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის გახსნა რეგიონში ხელს შეუწყობდა ევრაზიული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო კორიდორის იდეის პრაქტიკულ რეალიზაციას. ქართული მხარე

იმედოვნებდა, რომ ზემოხსენებული ინიციატივით საქართველოში, ისევე როგორც რეგიონში, მსხვილი საინვესტიციო კაპიტალისა და კომერციული ჯგუფების მოზიდვა მოხდებოდა (სსა, დოკ. 2060)

1998-1999 წლებში საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება ეკონომიკური განვითარების კუთხით. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მხარდაჭერა უნდა განხორციელებულიყო შემდეგი სახით: 1. ჰუმანიტარული დახმარება; 2. კადრების მომზადების პროცესში ტექნოლოგიური დახმარება; 3. მესამე ეტაპზე შტატების ადმინისტრაცია შეეცდებოდა საფუძველი ჩაეყარა ახალი ეკონომიკური ურთიერთობებისთვის, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა კერძო სექტორზე. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ჰუმანიტარული დახმარება უკვე დიდი ხანი იყო, რაც ტექნიკურ დახმარებაში გადაიზარდა. ამას ქართული მხარისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა - მისთვის პრიორიტეტული გახდა თანამშრომლობა ენერგეტიკის დარგში, რადგან თვლიდა, რომ თანამშრომლობა ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და მშენებლობის სფეროებში დიდი სტიმული იქნებოდა ქართულ-ამერიკული ეკონომიკური ურთიერთობებისთვის. ცნობისთვის, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით მომზადდა პროექტი ამერიკულ კომპანია “Burnes& Roe”-სთან საქართველოს ენერგეტიკის რეაბილიტაციის თაობაზე (სსა, დოკ. 2245)

1998 წელს ამერიკული ჰუმანიტარული დახმარება საქართველოსთვის ითვალისწინებდა:

1. ჰუმანიტარულ დახმარებას 17.5 მილიონი დოლარის ოდენობით, საიდანაც 5 მილიონი განკუთვნილი იყო ბუნებრივი აირის შესაძენად, ამდენივე - აფხაზეთის კონფლიქტის მსხვერპლთა დასახმარებლად, აფხაზეთში სკოლებისა და საავადმყოფოების აღსადგენად;
2. ენერგეტიკის სექტორის რეკონსტრუქციას. გამოყოფილი 10 მილიონი დოლარი ითვალისწინებდა საკანონმდებლო ბაზისა და მარეგულირებელი სფეროს სტანდარტების გაუმჯობესებას ინვესტიციების სტიმულირებისთვის. ასევე, გაზის მეურნეობის პრივატიზაციას, ენერგეტიკის სფეროს ეფექტურობის ზრდას;

3. რეფორმებს ჯანდაცვის სფეროში, კერძოდ, ჯანდაცვის სფეროს განვითარებასა და დაავადებების პრევენციას. ამისთვის გამოიყო 3.6 მილიონი დოლარი;
4. ინვესტიციებსა და კერძო სექტორის განვითარებას, რისთვისაც განკუთვნილი იყო 3.2 მილიონი დოლარი. ამ თანხით უნდა მომხდარიყო საფონდო ბაზრის განვითარება, საგადასახადო და ბიუჯეტის რეფორმა, მცირე ბიზნესის განვითარება და მიწის პრივატიზაციის რეფორმის დაწყება. ქართულ მხარეს ბიუჯეტის რეფორმის სწრაფად და წარმატებით განსახორციელებლად აშშ-ის საზაზხინო დეპარტამენტის მუდმივი კონსულტანტიც დაეხმარებოდა;
5. კვალიფიკაციის ამაღლებას/გაცვლას/თანამშრომლობას. გამოყოფილი 8.5 მილიონი დოლარი ითვალისწინებდა სკოლის მოსწავლეების, სოფლის მეურნეობის მუშაკების, მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის გაცვლით პროგრამებს შესაბამის სფეროებში. ასევე, სამეცნიერო-კვლევით და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სტაჟირების პროგრამებს;
6. სასაზღვრო მიმართულებას. გამოყოფილი იყო 7 მილიონი დოლარი საქართველოს საზღვრების კონტროლის შესაძლებლობების გასაზრდელად, რაც სუვერენიტეტის განმტკიცებას შეუწყობდა ხელს;
7. აფხაზეთის მშვიდობის ფონდს - დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის გამოყოფილი თანხებისგან დამოუკიდებლად, 20 მილიონი დოლარი უნდა მოხმარებოდა აფხაზეთში აღდგენით სამუშაოებსა და მშვიდობის მიღწევას;
8. დემოკრატიულ რეფორმებს, რისთვისაც გათვალისწინებული 7.7 მილიონი დოლარი ნაწილდებოდა შემდეგ სფეროებზე:
 - ა) პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა;
 - ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
 - გ) დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის გავრცელების ორგანიზაციების გაძლიერება;
 - დ) დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის განვითარება;
 - ე) ევრაზიის ფონდის მცირე გრანტების პროგრამის დაფინანსება.

1998 წელს ამერიკული დახმარება „თავისუფალი მხარდაჭერის აქტის“ ხაზით 97.5 მილიონ დოლარს შეადგენდა, საიდანაც 92.5 მილიონი დოლარი განკუთვნილი იყო საქართველოსთვის, ხოლო 5 მილიონი დოლარი - კავკასიის მშვიდობის ფონდისთვის, რაც რეგიონალურ პროექტებსაც ითვალისწინებდა.

გარდა ამისა, დამატებით გამოიყო 22.9 მილიონი დოლარი, რომელიც მოიცავდა საგანმანათლებლოს პროგრამებს, საფრთხის აცილების ერთობლივ პროექტებს, შეღავათიანი კრედიტის ფარგლებში სასურსათო პროდუქტების მიწოდებას, მასობრივი განადგურების იარაღის საწინააღმდეგო პროგრამას, საერთაშორისო სამხედრო სწავლებებისა და წვრთნების პროგრამას, ვარშავის ინიციატივას, რაც გულისხმობდა აშშ-ის მთავრობის დახმარებას პარტნიორი ქვეყნის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამაში ჩართვის მიზნით.

საბოლოო ჯამში კი, ამერიკულმა დახმარებამ 120.4 მილიონი დოლარი შეადგინა (სსა, დოკ. 2246).

საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების ზემოაღნიშნული პაკეტი შთამბეჭდავია, მაგრამ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - რამდენად ეფექტურად იყო გამოყენებული ამერიკული დახმარება საქართველოს მთავრობის მიერ. იმდროინდელ საშინაო პოლიტიკას თუ შეეფასებთ, შიდა ვითარებას თუ გადავხედავთ, პროგრესის დონე თითოეული სექტორის განსავითარებლად გამოყოფილ თანხას, ნამდვილად, არ შეესაბამებოდა. რასაკვირველია, არსებობს ეჭვი, რომ ეს თანხები უგზო-უკვლოდ გაიფლანგა და ამ ეჭვს აქვს საფუძველი, ვინაიდან იმ დროისთვის საქართველოში კორუფციის დონე მაღალი იყო. აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ 1990-იან წლებში მაღალ თანამდებობაზე მყოფ პირებს. მაგალითად, გელა ჩარკვიანის თქმით, ამერიკული ფინანსური დახმარება პირდაპირ ბიუჯეტში ირიცხებოდა, რომელიც შემდეგ ხელფასებსა და პენსიებს ხმარდებოდა (ჩარკვიანი, 2019). ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებს, რომ ამერიკული დახმარების ეფექტურად და გეგმაზომიერად დახარჯვას შტატების წარმომადგენლებიც აკონტროლებდნენ (მენაღარიშვილი, 2019). იგივე მოსაზრება გააჩნია ნიკოლოზ ვაშაკიძეს (ვაშაკიძე, 2019).

2.6. ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი შეერთებულ შტატებში 1997 წელს და ვაშინგტონში მიღებული პოლიტიკური და სამხედრო შედეგები თბილისისთვის

საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2013-2017 წლებში არჩილ გეგეშიძე აღნიშნავს, რომ 1995-1999 წლებში საქართველომ სტრატეგიული არჩევანი გააკეთა დასავლეთ ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ (Gegeshidze, 2017:4).

რაც შეეხება ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებს, ის სწორედ ქლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში ვითარდებოდა დინამიკურად. საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტებს შორის პირველი შეხვედრა 1994 წელს შედგა. მას შემდეგ, რაც შევარდნაძე უკვე მეორედ ესტუმრა ვაშინგტონს, ვფიქრობთ, შტატების საგარეო პოლიტიკაში ბევრი რამ შეიცვალა. კერძოდ, აშშ-ის ინტერესი საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის მიმართ საგრძნობლად გაიზარდა. იმ დროისთვის ამერიკას უკვე ჰქონდა მზარდი გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, რაც გამოწვეული იყო ნავთობისა და ბუნებრივი გაზის საბადოების არსებობით. ცხადია, ეს ყოველივე ეკონომიკურ ინტერესებს უკავშირდებოდა. 1997 წლის 9 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის კონგრესმენმა ნეჯამინ გილმანმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 6 წლის იუბილე მიულოცა. მან აღნიშნა პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ გადადგმული ეფექტური პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯები. ასევე, ხაზი გაუსვა ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღების მნიშვნელობას და საქართველოს ხელისუფლებაში ახალგაზრდა პოლიტიკოსების, მათ შორის, ზურაბ ჟვანიას აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. გილმანის შეფასებით, საქართველო-შტატების ორმხრივი თანამშრომლობა ნაყოფიერად ვითარდებოდა (Gilman, 1997).

თეთრი სახლი აქტიურად განიხილავდა ევროპა-აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის შექმნის იდეას და მასში საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამის დასტური იყო პრეზიდენტ ბილ ქლინტონის განცხადება, რომელიც მან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს გააკეთა 1997 წელს. შტატების მეთაურმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ ვაშინგტონი კასპიის დიდი ნავთობის საერთაშორისო ბაზრამდე

ტრანსპორტირების მომხრე იყო და ამ მიზნის მისაღწევად დასავლეთის მიმართულებების გამოყენებასაც არ გამორიცხავდა. რაც შეეხება მარშრუტის რეალიზაციას, „მშვიდობიანი „კავკასიის“ იდეის განსახორციელებლად შტატები მზად იყო საქართველოსთან ერთად ემოქმედა (Clinton, 1997). 1997 წელს პრეზიდენტების შეხვედრის დროს ნათლად გამოიკვეთა აშშ-ის დაინტერესება საქართველოს ენერგოსექტორში მეტი ჩართულობითა და ეკონომიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრით. შტატები ემხრობოდა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტების განვითარებას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდას მსოფლიო ბანკის მონაწილეობით. რაც მთავარია, აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენერგეტიკისა და ნავთობსადენების ინსფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ახალი პროექტების განხორციელებას. მათ შორის, შავი ზღვის რეგიონის დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და მუნიციპალური განვითარების პროგრამებს. შეერთებულ შტატებს უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნდა აფხაზეთის საკითხი და ის ემხრობოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტიურ როლს სამშვიდობო ფორმატში. აშშ ფართომასშტაბიანი მრავალეროვნული სამშვიდობო ოპერაციის ჩატარებას უჭერდა მხარს, თუმცა ეს ოპერაცია არ გულისხმობდა რუსეთის ფედერაციის გამოდევნას პროცესისგან, არამედ სხვა სახელმწიფოების ჩართვის შემდეგ უნდა მომხდარიყო რუსეთისთვის თანამონაწილის ღირსეული ადგილის განსაზღვრა (სსა, დოკ. 2035). ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის მიმართ გადადგმული ნაბიჯი პრაგმატული იყო. თუმცა, ალბათ შტატები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხვა წევრები მაშინაც აღიარებდნენ რუსეთის გავლენას აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებზე. მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაცია იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დადანაშაულებული აგრესიაში არც საქართველოს და არც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

თედო ჯაფარიძის თქმით, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრა ამერიკულ კორპორაციებთან, რომლებიც დააფინანსებდნენ საქართველოს საჰაერო მოდერნიზაციის პროექტებს, ევროპა-აზიის კორიდორის მოდერნიზაციასა და ამერიკული ბიზნესის საქართველოში შემოსვლას. პრეზიდენტ შევარდნაძის ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის

მიხედვითაც ამერიკული კორპორაციები საქართველოს საჰაერო სივრცის სისტემების დასავლური სტანდარტების მიხედვით გარდაქმნას დაიწყებდნენ. მთელი პროექტი 80 მილიონი დოლარის ღირებულების იქნებოდა (სსა, დოკ 1857).

ქართული სივრცის კონტროლი და აეროპორტების მოდერნიზაცია, როგორც ევროპა-აზიის კორიდორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, მომავალში ამერიკული ბიზნესის შემოსვლის ერთგვარი გარანტიც იქნებოდა.

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური თანამშრომლობა საქართველოს სივრცის კონტროლის სფეროში და აეროპორტების მოდერნიზაციის ეტაპი უმნიშვნელოვანესი იყო, რათა ქვეყანას დასავლური სტანდარტები დაეკმაყოფილებინა. ამის შემდეგ მას ექნებოდა შესაძლებლობა გაეზარდა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი და ხელი შეეწყო როგორც შტატებთან, ისე დანარჩენ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

შევარდნაძე კმაყოფილი იყო კლინტონთან შეხვედრით, ვინაიდან პრეზიდენტებმა განიხილეს სამხრეთ კავკასიაში არსებული პრობლემები და, მათ შორის, საქართველოში მიმდინარე პროცესები. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველომ მიაღწია პროგრესს როგორც რეფორმების გატარების კუთხით, ასევე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით და ეს ყოველივე შეერთებული შტატების ძალისხმევითა და ფინანსური დახმარებით მოხერხდა, რასაც ოფიციალური ვაშინგტონი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ახორციელებდა (Shevardnadze, 1997). ქართულმა და ამერიკულმა მხარეებმა განიხილეს სამხრეთ კავკასიის ახალი ფუნქცია, ევრაზიის დერეფნის განვითარება, ასევე - ნავთობსადენების პროექტები და კავკასიის სტაბილურობის პრობლემა. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების ფორმატი უნდა შეცვლილიყო და შტატებს უფრო აქტიური როლი უნდა შეესრულებინა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. გარდა ამისა, მისი თქმით, უახლოეს დღეებში ჟენევაში აფხაზეთის საკითხზე მორიგი შეხვედრა გაიმართებოდა და მასში აშშ, ახალი ფორმატის ფარგლებში, აქტიურად ჩაერთვებოდა. თუმცა საქართველოს პრეზიდენტი არ გამორიცხავდა რუსეთის ფედერაციის აქტიურ როლსაც სამშვიდობო მანდატის ფარგლებში. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართველი ერი

უზომოდ მადლიერი იყო შტატების და რომ სწორედ ამერიკულმა დახმარებამ გადაარჩინა საქართველო შიმშილს. რაც შეეხება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს, შევარდნაძის შეფასებით, ალიანსი დიდი ხნის წინ გაფართოვდა, რუსეთის ფედერაცია კი „დიდი რვიანის“ წევრი გახდა, ამიტომაც ყველა მხარე კმაყოფილი იყო. შევარდნაძის აზრით, მის სიცოცხლეში საქართველო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი ვერ გახდებოდა, მაგრამ ისიც დაამატა, რომ ჯერ ალიანსის ქვეყნებს უნდა გამოეთქვათ სურვილი საქართველო ეხილათ თავიანთ რიგებში. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინის განცხადებას, რომ ის არ მიესალმებოდა საქართველოს შესაძლო სწრაფვას ალიანსისკენ, შევარდნაძემ განმარტა, რომ ელცინი საქართველოს პრეზიდენტი არ იყო. ის, ასევე, შეეხო საქართველოში რუსული ბაზების არსებობის საკითხს და შენიშნა, რომ რუსეთის ფედერაციას ბაზების დარჩენის სანაცვლოდ ორი პირობა უნდა შეესრულებინა: 1. ეს იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; 2. ქართული არმიის უზრუნველყოფა იარაღითა და ტექნიკით (Shevardnadze, 1997). ამ ორი პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნა შევარდნაძემ, რუსული ბაზების დარჩენის საკითხი საქართველოს პარლამენტის მხრიდან არ იქნებოდა რატიფიცირებული. მან, ასევე, განაცხადა, რომ ქართულმა და ამერიკულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ამერიკული სამხედრო ტექნიკა ვაშინგტონიდან თბილისისკენ მაშინათვე დაიძვრებოდა.

ბილ ქლინტონისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა დინამიკური და ნაყოფიერი გამოდგა. საქართველომ მტკიცე მხარდაჭერა მიიღო ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, უფრო მეტიც, ოფიციალური ვაშინგტონი ღიად აცხადებდა, რომ მიესალმებოდა საქართველოს სამშვიდობო ინიციატივებს. შტატების შეხედულებით, აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად აუცილებელი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და „საქართველოს მეგობრების“ აქტიური ჩართულობა.

პრეზიდენტებს შორის შეხვედრას ამერიკული პრესაც გამოეხმაურა და ედუარდ შევარდნაძის მხრიდან კორუფციასთან და ეკონომიკაში კომუნისტური ელემენტების შემცირებასთან დაკავშირებით ბრძოლაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც უფრო

წარმატებული იყო, ვიდრე ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში (Taubman, 1997).

1997 წელს მეორე ვადით არჩეულმა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიკმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა შევარდნამეს საგანგებო წერილით მიმართა და მადლობა გადაუხადა მიმდინარე რეფორმებისა და სტაბილური გარემოსთვის, რაც მთლიანად სამხრეთ კავკასიის სიმშვიდეს განაპირობებდა. „საქართველოს ძალისხმევა, მიმართული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების დაჩქარებისკენ, რეგიონში ერთგვარ ნიმუშად იქცა და ჩვენი ძლიერი მხარდაჭერა დაიმსახურა, რომელიც არც მომავალში შესუსტდება“, – აღნიშნული იყო წერილში (სსა, დოკ. 2020).

ბილ კლინტონის ადმინისტრაცია, ასევე, უჭერდა მხარს საქართველოში რეფორმების პროცესს და სასიკეთო ცვლილებების მისაღწევად მზად იყო 100 მილიონ დოლარამდე გაეზარდა აშშ-ის მთავრობის მიერ გამოყოფილი დახმარება. ამერიკულ მხარეს კარგად ესმოდა კავკასიის სტაბილურობის მნიშვნელობა და ფასი, ამიტომაც მისი მხრიდან ინიციატივის „მშვიდობიან კავკასია“ მხარდაჭერა, უდავოდ, მისასალმებელი იყო (სსა, დოკ. 2020). პრეზიდენტ შევარდნამის ვიზიტის დროს პენტაგონში ხელი მოეწერა შტატებსა და საქართველოს შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის და, რაც მთავარია, სამხედრო და თავდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შეთანხმებას. ამ შეთანხმებით საქართველოსთვის შესაძლებელი გახდა საფრთხის შემცველი პროგრამის გამოყენებაც, რაც, ასევე, იყო ამერიკული დახმარების ნაწილი. შეერთებული შტატები მზად იყო პარტნიორი ქვეყნისთვის გაეზიარებინა გამოცდილება ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და მათთან დაკავშირებული ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის საკითხში. ამ მიზნით, ამერიკული მხარე დააფინანსებდა სპეციალისტებსა და შესაბამის ლაბორატორიებს (სსა, დოკ. 2020).

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნამის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას ამერიკულ კორპორაცია „ნორთროპ გრუმენს“, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტსა და საქაერონავიგაციას შორის ქართული საჰაერო სივრცის მართვის სისტემის დასავლური სტანდარტების მიხედვით მოდერნიზაციის დაწყებასთან

დაკავშირებით. ქართული მხარე შტატებისგან ელოდებოდა კონკრეტულ დახმარებას, რაც გამოიხატებოდა ფინანსური კუთხით - ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდების სახით (სსა, დოკ. 2020). აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, მომავალში, ქართული და ამერიკული მხარეები ორმხრივ კონსულტაციებს გამართავდნენ საჰაერო სივრცის მართვის სისტემის გასაცნობად.

სწორედ სწორმა პოლიტიკურმა აქცენტებმა ვაშინგტონში მოიტანა ის პოლიტიკური დაინტერესება, რომელიც გახდა ენერგეტიკისა და ნავთობსადენების სფეროში ამერიკული ინვესტიციების ზრდის გარანტი. აღნიშნული ვიზიტით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ამერიკული კომპანიების, კერძოდ, „შელისა“ და „არკოს“ გრძელვადიან სურვილს საქართველოს ენერგოსექტორში საკუთარი ფულადი რესურსების დაბანდებაზე (სსა, დოკ. 2020). 1997 წელს აშშ-მა მიიღო გადაწყვეტილება ქართული მხარისთვის ამერიკული ვერტმფრენების გადაცემის თაობაზე. გარდა ამისა, ვაშინგტონმა 4 მილიონი დოლარი გამოყო საქართველოსთვის სამხედრო დაფინანსების კუთხით. ბუნებრივია, ტერიტორიული მთლიანობის კონფლიქტებიდან და სამოქალაქო ომიდან გამომდინარე, ქვეყანას სერიოზული პრობლემები ჰქონდა ეროვნული ძალების შეიარაღებისა და თავდაცვითი აღჭურვილობის მხრივ. ამერიკულმა დახმარებამ არც მაშინ დააყოვნა და აშშ-მა ქართულ მხარეს სანაპირო დაცვის გემი გადასცა. რაც შეეხება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს, შტატებმა საქართველოს თავისი პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა საზღვაო ქვეითების, მსუბუქი ქვეითებისა და სპეციალური ქვედანაყოფების მომზადების საკითხში. გარდა ამისა, შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ინგლისური ენის კიდევ ერთი სასწავლო ლაბორატორია გადაეცემოდა, რომელიც თავდაცვის სფეროში სამხედრო კადრების მომზადებას უზრუნველყოფდა. ქართული მხარე გამოთქვამდა მზადყოფნას, მაქსიმალურად დახმარებოდა აშშ-ს რეგიონში ნარკოტიკებთან ბრძოლაში (სსა, დოკ. 2222). მიგვაჩნია, რომ ამერიკული გამოცდილების გაზიარება ქართული მხარისთვის უმნიშვნელოვანესი იყო, ვინაიდან სამხედრო კადრებისა თუ სხვა პროფესიონალების მომზადება ნებისმიერ სფეროში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარების საწინდარია, რაც საქართველოში დემოკრატიის დონეს აამაღლებდა. 1997 წლის 7 იანვარს თეთრი სახლის პრეს-სპიკერი მაიკ მაკკუერი აცხადებდა, რომ ამერიკელი სენატორი ჯუდ

გრეგი აქტიურად მუშაობდა, რათა ბილ ქლინტონის ადმინისტრაციას საქართველოსთვის 30 მილიონი გამოეყო დახმარების სახით (სსა, დოკ. 2245).

1997 წელს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და შტატების თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ქართულ მხარეს დაეხმარებოდა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილებასა და მისი ექსპორტის კონტროლის სპეციალური სისტემის შექმნაში. რასაკვირველია, აღნიშნული თანამშრომლობა გულისხმობდა პოლიტიკური, თავდაცვითი და სამხედრო კავშირების კიდევ უფრო გაღრმავებას (სსა, დოკ. 2245)

1997 წლის 12 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავჯდომარე ზურაბ ჟვანია ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ასიგნებათა ქვეკომიტეტის თავჯდომარე მიჩ მაკკონელს შეხვდა (სსა, დოკ. 2246). აღნიშნული კომიტეტი განსაზღვრავდა შტატების საგარეო დახმარების პოლიტიკას. აქედან გამომდინარე, ეს ვიზიტი, უდავოდ, მნიშვნელოვანი იყო.

1997 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შეერთებული შტატების მთავრობამ, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა 95 ათასი ტონა ხორბალი გამოუყო, რომელიც 20 მილიონი დოლარის კრედიტით იყო გათვალისწინებული. აღნიშნული კრედიტი საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, 1997 წელს აშშ-ის საინვესტიციო ჯგუფების ფონდმა „ენ-სი-ეიჩმა“ 1 მილიონი დოლარი გამოყო ქართული მხარისთვის უძრავ ქონებასა და ჩაის ფაბრიკებში ინვესტიციებისთვის (სსა, დოკ. 2020). ისეთი პატარა და ეკონომიკურად არასტაბილური ქვეყნისთვის, როგორც საქართველო იყო, რასაკვირველია, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოური კაპიტალის არსებობას და ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამერიკული საინვესტიციო კომპანიების ინტერესი ქართული ბაზრის მიმართ აუცილებლად იქნებოდა გარანტი იმის, რომ შექმნილიყო სტაბილური და კონკურენტული ეკონომიკური გარემო. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ აუცილებელი იყო ქართულ მხარეს ამერიკული მხარის თითოეული - ირიბი თუ პირდაპირი - დახმარება ეფექტურად გამოეყენებინა და მისი ნდობა არ დაეკარგა.

1997 წელს ბილ კლინტონსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის შეხვედრამ საქართველოსთვის კონკრეტული სარგებელი მნიშვნელოვან სფეროებში მოიტანა და შექმნა ერთგვარი ბაზა მომდევნო წლებში ორმხრივ ურთიერთობებში მეტი ეფექტური თანამშრომლობის. თუმცა, სამწუხაროდ საქართველოს მოსახლეობა ამერიკულ დახმარებას და მის უპირატესობებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ალბათ ყველაზე ნაკლებად გრძნობდა. ამერიკულმა მხარემაც ყოველივე ეს ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დასასრულს საბოლოოდ გაიაზრა

2.7. აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერა საქართველოს ბილ კლინტონის ადმინისტრაციის მმართველობის დროს

რუსეთის ფედერაცია 1990-იანი წლებიდან შტატების სამხედრო გავლენის ზრდას სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში, ვერ ეგუებოდა. ოფიციალური ვაშინგტონი კი კრემლის პოლიტიკისაგან გამიჯნული ქვეყნების სამხედრო ძალების შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა. ამის მაგალითია ისიც, რომ საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მხარდასაჭერად შტატებმა ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს 20 მილიონი დოლარის კრედიტი გამოყო და სანაპირო დაცვის სამსახურს შესაბამისი აღჭურვილობა გადასცა საჩუქრად. რაც შეეხება პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, ეს პროექტი რეალურად ამერიკელების მიერ ორმხრივი კონტაქტების გზით ხორციელდებოდა. საზოგადოებისთვის, ალბათ, უცნობი არის ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სამეთაურო ცენტრის როლი ვაშინგტონის მიზნების განხორციელებაში. 1999 წლის მარტში ევროპაში შტატების სამეთაურო შტაბის დაგეგმვისა და პოლიტიკის გენერალ-მაიორი ჩარლს უოქსი თბილისში იმყოფებოდა და პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის საკითხი აქტიურად განიხილა (სსა, დოკ. 2499).

1996 წლის 20 აგვისტოს ფოთის პორტში აშშ-ის სანაპირო დაცვის კატარღა „გალატინი“ შემოვიდა. ეს პროექტი სამხედრო ხომალდების პროგრამიდან სრულად იყო შეთანხმებული ამერიკულ მხარესთან. შეთანხმება 1995 წელს შედგა (სსა, დოკ. 1848). სამხედრო ხომალდების გრძელვადიან პროგრამას ხელი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მოაწერეს. რაც შეეხება პირველ ვიზიტს, ის 1995 წლის აგვისტოში განხორციელდა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა და აშშ-ის საელჩომ შეიმუშავეს ერთობლივი წვრთნების პროგრამები, მათ შორის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ნარკოტიკებთან ბრძოლის. რასაკვირველია, ამ პროექტით ქართული მხარე ამერიკელების მდიდარ გამოცდილებას ეზიარა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული პროგრამის მიმდინარეობისას, ფოთის პორტის ხელმძღვანელობასთან მივიდა რუსეთის სასაზღვრო კატარღის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ მათ ერთ-ერთ კატარღას ელექტრომოწყობილობა დაუზიანდა და ამის გამო მოითხოვა მისი დატოვება პორტის სადგომზე, ამერიკული ხომალდის გვერდით. მიღებულ უარს მეორე დღეს რუსული სამხედრო კატარღის საკმაოდ სახიფათო და პროვოკაციული მანვერი მოყვა, კერძოდ, ქვემეხის შეტრიალება ამერიკული ხომალდისკენ პორტში შესვლამდე. ქართული მხარის განცხადებით, აღნიშნული პროექტი ხელს უწყობდა ქართველი და ამერიკელი ხალხების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას და ქართველი სამხედროების პროფესიული საქმიანობის გაღრმავებას (სსა, დოკ. 1848). სახელმწიფო საზღვრის დაცვა ყველა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია, ამიტომაც აშშ-ის ჩართულობა ერთობლივი წვრთნების სახით და საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ და მხოლოდ მისასაღმებელი იყო. მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციის პროვოკაციული ნაბიჯები იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი ქართულ-ამერიკულ თანამშრომლობას ზედმიწევნით აკვირდებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში ვითარების გამწვავებასაც არ მოერიდებოდნენ.

1996 წლის 13 ნოემბერს საქართველოს აშშ-ის სახელმწიფო დელეგაცია ესტუმრა, რომლის წევრებს შორის იყვნენ სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მთავარი კოორდინატორი, ელჩი ჯეიმს კოლინზი, შტატების პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი და აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიული სახელმწიფოების განყოფილების უფროსი სტივ ფაიფერი, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის დახმარების განყოფილების მოადგილე ბილ ტეილორი, აშშ-ის სპეციალური წარმომადგენელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების პროცესში ჯო პრესელი, სახელმწიფო დეპარტამენტის კავკასიის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი სტივენ იანგი და

აშშ-ის საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის დარგში რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიული სახელმწიფოების განყოფილების მოადგილე უვინ მერი (სსა, დოკ. 1855). დელეგაცია, რომლის მიზანი იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავება, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივების განხილვა, შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე ზურაბ ჟვანიას და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს. შტატებში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, ამერიკული მხარე ადასტურებდა უსაფრთხოების სფეროში ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორებიც იყო საქართველოს სასაზღვრო ჯარები და სანაპირო დაცვის სამსახურები. აქვე აღნიშნული იყო საქართველოს სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის უფროსის, გენერალ ვალერი ჩხეიძის ვიზიტი აშშ-ში და ორმხრივი თანამშრომლობის დოკუმენტზე ხელმოწერა.

1996 წელს ქართული მხარე იტყობინებოდა, რომ აშშ-მა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს International Traffic Arms Regulation - იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო წესების სიიდან ამოღების შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევდა სამხედრო დახმარების ფონდებიდან დამატებითი სახსრები მიგვეღო. ქართული მხარის ინფორმაციით, შტატები გეგმავდა უახლოეს მომავალში საქართველოსთვის სამხედრო დახმარებას, რაც ითვალისწინებდა სასწავლო კურსებს, აღჭურვილობის გადაცემას და ა.შ. (სსა, დოკ. 1855).

აშშ-ის მხრიდან საქართველოსთვის გაწეული სამხედრო მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ადასტურებდა შტატების ინტერესს საქართველო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად მოემზადებინა. მართალია, ორივე მხარეს ესმოდა, რომ საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება არც ისე მარტივი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართულ-ამერიკული პოლიტიკური თანამშრომლობა მაქსიმალურ სარგებელზე იყო ორიენტირებული.

1996 წლიდან აქტიურად უწყება შეერთებული შტატების დახმარება საქართველოს საზღვრის დაცვის სფეროში. ოფიციალური ვაშინგტონი უკვე აქტიურად განიხილავდა საქართველოს აქტიურ თანამშრომლობას თურქეთთან, როგორც ალიანსის წევრ ქვეყანასთან და მომავალში რუსი მესაზღვრეების ჩანაცვლებას ქართველი მხარით (დარჩიაშვილი, 2000).

1996-1999 წლებში ქართულ-ამერიკული პოლიტიკური თანამშრომლობა ინტენსიურად ღრმავდებოდა ბევრ სფეროში. ჩვენი აზრით, მოცემული ფაქტები მოწმობენ, რომ აშშ-ის მიზანი იყო ქართული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ინსტიტუტების დასავლურ სტანდარტებთან მიახლოება და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან ქვეყნის მაქსიმალური დაახლოება.

1997 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გამოსცა შემდეგი ბრძანება, რომ საქართველოს უსაფრთხოების სფეროში ამერიკულ მხარეს მაქსიმალური დახმარება აღმოეჩინა (სსა, დოკ. 1299).

1998 წლისთვის საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა შემდეგ პროექტებს მოიცავდა: პროგრამები უსაფრთხოების სფეროში, რომელიც ხორციელდებოდა შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და აშშ-ის თავდაცვისა და უსაფრთხოების დახმარების სააგენტოს მიერ; ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან ერთად „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამით გათვალისწინებულ სამშვიდობო, სამძებრო-სამაშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში მონაწილეობას (სსა, დოკ. 2030). 1997-1998 წლებში საერთაშორისო სამხედრო დაფინანსების კუთხით საქართველოს გამოეყო 1.6 მილიონი დოლარი. ამ თანხით საქართველოს მთავრობა გეგმავდა კავშირგაბმულობის საშუალებების შექმნას. ქართული მხარე იმედოვნებდა, რომ საერთაშორისო სამხედრო დაფინანსების წყალობით თანამედროვე თავდაცვითი ძალების შექმნაში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანდა. ქართულ-ამერიკული პარტნიორობა საერთაშორისო სამხედრო სწავლებისა და წვრთნების სახითაც აქტიურად მიმდინარეობდა. ამის დასტური იყო ქართველი ოფიცრების სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გარდა ამისა, გაერთიანებულ სამხედრო აკადემიასა და სასაზღვრო ჯარების სასწავლო ცენტრში მოეწყო ინგლისური ენის ლაბორატორიები. საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა საფრთხის ერთობლივი შემცირების დახმარება, რომელიც ფინანსდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მიერ (სსა, დოკ. 2030).

1999-2000 წლებში საქართველო შეუერთდა აშშ-ის ევროპული სარდლობის „გაერთიანებული საკონტაქტო გუნდების პროგრამას“. აღნიშნული პროგრამების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, 1999 წელს ამერიკის შეერთებული

შტატების მოკავშირე გუნდის ოფისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გაიხსნა, შემდგომ კი, ეს ოფისი ორმხრივი ურთიერთობების სამსახურად გადაკეთდა.

2000 წელს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში „ზურგის დარგში თანამშრომლობის“ და „შესყიდვებისა და მომსახურების“ შეთანხმებები დაიდო (მანჯგალაძე, 2005).

საქართველოს მთავრობამ 1998-1999 წლებში შეიმუშავა „თავდაცვის რესურსების მართვის სწავლების“ და „თავდაცვის დაგეგმარებისა და მართვის ურთიერთგაცვლის“ პროგრამები, რომლებიც ფინანსდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. ის იმედოვნებდა, რომ აღნიშნული თავდაცვითი პროგრამების წყალობით ქართული მხარე გაეცნობოდა ამერიკულ სამხედრო მეთოდებს, თავდაცვის დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემის თავისებურებებს, რომლებიც შესაბამისობაში იყო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გამოყენებულ საშუალებებთან (სსა, დოკ. 2070). ვფიქრობთ, ზემოხსენებული თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი იყო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გასაწევრიანებლად მომზადების პროცესში.

1998 წლის 24 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის უწყებას შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის გეგმას, რომელიც მოიცავდა შემდეგ ორმხრივ ღონისძიებებს:

1. აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწის ვიზიტი საქართველოში სტრატეგიისა და საფრთხის შემცირების საკითხში თანამშრომლობის შეთანხმებული გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;
2. უსაფრთხოების საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შეიარაღებაზე კონტროლისა და რეგიონული უსაფრთხოების უწყებათაშორისი ორმხრივი დიალოგის ფარგლებში კონსულტაციებისა და დისკუსიების გაგრძელება;
3. საგარეო სამხედრო დაფინანსებისა და საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის პროგრამით გათვალისწინებული შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელება;
4. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ფინანსური დახმარების გამოყოფა საქართველოსთვის პროგრამა „პარტნიორობა

მშვიდობისთვის“ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის და ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესასრულებლად;

5. საქართველოს ჩართულობა თავდაცვის რესურსების მართვის სწავლების და თავდაცვის დაგეგმარებისა და მართვის ურთიერთგაცვლის ფორმატში;
6. რეალობის ჩამოყალიბება და აზრთა გაცვლა სახელმწიფოს მართვის საკითხებში. ამ მიზნით, 1998 წელს საქართველოში ამერიკული დელეგაციის ვიზიტი;
7. ყველა იმ გეგმის განხორციელება, რომლებიც შედიოდა 1998 წლის თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და შეთანხმებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებულ შტაბებს შორის.

1998 წლის 24-26 მარტს საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე ამერიკის შეერთებულ შტატებს ესტუმრა. ის შეხვდა აშშ-ის თავდაცვის მდივანს, ბ-ნ უილიამ კოენს. შეხვედრის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ 1998 წლის აპრილში საქართველოს პირველი კატარღა გადაეცემოდა ამერიკული მხარიდან, ხოლო მეორე - 1998 წლის ბოლოს. გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის უწყებას შორის ხელი მოეწერა ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას. ვარდიკო ნადიბაიძემ, ასევე, გამართა შეხვედრები შტატების თავდაცვის მდივნის მოადგილესთან, ბატონ ედუარდ უორნერთან და შეერთებული შტატების პრეზიდენტს მრჩეველთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ბატონ უილიამ კორტნისთან. ქართველმა მინისტრმა დაათვალიერა ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზები და შეხვდა ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებს (სსა, დოკ. 2074).

1998 დეკემბერს, ვაშინგტონში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის უწყებას შორის სამხედრო თანამშრომლობის გეგმას მოეწერა ხელი, რომლის თანახმად, კონკრეტულ სფეროებში ქართული და ამერიკული მხარის თანამშრომლობა უნდა გაზრდილიყო, კერძოდ, დოკუმენტი ითვალისწინებდა:

1. ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებას, მაღალი რანგის ამერიკელი სამხედრო სტუმრების ვიზიტს, მათ შორის, შეერთებული შტატების

თავდაცვის მდივნის; საქართველოს თავდაცვის მინისტრის საზღვარგარეთ ვიზიტების უზრუნველყოფას, ორმხრივ თანამშრომლობას ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის ფორმატში;

2. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის მოადგილის ვიზიტის დაგეგმვას სტრატეგიისა და საფრთხის შემცირების საკითხების უზრუნველყოფისთვის. პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის მიმდინარეობისა და სამომავლო პერსპექტივების განხილვას;
3. თავდაცვის რესურსების სწორ მენეჯმენტსა და თავდაცვის დაგეგმარებას რეფორმების შემუშავების პროცესში, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გამოცდილების გაზიარებას და საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკურ-სამხედრო მოსმენებს;
4. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საჰაერო სივრცის მართვის საკითხებზე ორმხრივი დიალოგის გაგრძელებას. „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის აეროკოსმოსურ ინიციატივაში“ საქართველოს ჩართვის შესაძლებლობების განხილვას;
5. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გარემოს დაცვის საკითხებზე დიალოგის დაწყებას (სსა, დოკ. 2074).

1998 წლის 3 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვდა აშშ-ის თავდაცვის მდივანს, ბ-ნ უილიამ კოენს, მდივნის პირველ მოადგილეს, ბ-ნ ჯონ ჰემრის და მდივნის მოადგილეს, ბ-ნ ედუარდ უორნერს (სსა, დოკ. 2074).

ედუარდ უორნერთან შეხვედრის დროს ცნობილი გახდა, რომ საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, თავდაცვის დაგეგმვის სისტემის გასაცნობად, 10-12 კაციანი ჯგუფი ჩავიდოდა. ზურაბ ჟვანიამ ისაუბრა საქართველოსთვის სამხედრო საერთაშორისო სწავლებისა და წვრთნის პროგრამებისა და ქართველი სამხედროების აშშ-ში სასწავლებლად გაგზავნის მნიშვნელობაზე. ამერიკული მხარე დაინტერესდა, იყო თუ არა პროგრესი აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, რაზეც ზურაბ

ქვანიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის პრობლემატიკა, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაზე იყო დამოკიდებული. თუმცა მან მოლაპარაკებების პროცესში ამერიკული მხარის მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი (სსა, დოკ. 2074). ბ-ნ უორნერის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეეცდებოდა დაეჩქარებინა საქართველოსთვის ვერტმფრენების გადაცემა. ამერიკულმა მხარემ გამოთქვა იმედი, რომ აუცილებლად დადგებოდა დრო, როდესაც საქართველო, რომლის ტერიტორიაზეც იმჟამად იმყოფებოდნენ სამშვიდობო ძალები, თავის სამხედროებს სამშვიდობო მისიით სხვა ქვეყნებში გააგზავნიდა და ეს მოხდებოდა უახლოეს მომავალში (სსა, დოკ. 2074). თავის მხრივ, ქართული მხარე იმედოვნებდა, რომ შტატებთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა განვითარდებოდა და გაღრმავდებოდა და აშშ საქართველოს სამშვიდობო ქვედანაყოფის შექმნაში საკუთარ წვლილს შეიტანდა.

1998 წლის 23 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის უწყების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, გენერალ ჯოზეფ რალსტონს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-მაიორი დავით თევზაძე შეხვდა. მხარეებმა განიხილეს საქართველოში მიმდინარე სამხედრო და პოლიტიკური რეფორმები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკელმა გენერალმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მონაწილეობას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. მან აღნიშნა, რომ ინტენსიური მუშაობა მიდიოდა საერთაშორისო სამხედრო დაფინანსების პროგრამიდან საქართველოს სამშვიდობო ბატალიონისთვის გამოყოფილი თანხით რადიოაპარატურის შეძენის საკითხზე. გარდა ამისა, ამერიკულმა მხარემ განაცხადა მზადყოფნა საქართველოს სასწავლო ცენტრებისთვის სხვადასხვა სახის აპარატურისა და დახმარების გამოგზავნის საქმეში ევროპელი პარტნიორების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. მხარეებმა, ასევე, განიხილეს რეგიონალური პარტნიორობა საქართველო-თურქეთს შორის (სსა, დოკ. 2386).

ნათელია, რომ ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის უდიდეს ნაწილს 1992-2002 წლებში სამხედრო სფეროში თანამშრომლობა და 1994 წლიდან დაწყებული ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ შეადგენდა. თუმცა, ქართულ პოლიტიკაში აღმასრულებელ ხელისუფლებაში იყვნენ

პირებიც, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან ხელს უშლიდნენ. მაგალითად, 1994 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი ვარდიკო ნადიბაიძე კი გახდა, რომელიც წარსულში რუსული არმიის გენერალიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნადიბაიძე შტატებთან თანამშრომლობდა, მისი მმართველობის პერიოდში საქართველოს თავდაცვის სისტემა კრიზისულ ვითარებაში ჩავარდა და მისი საყოველთაოდ ცნობილი, კრემლის მიმართ პირადი სიმპატიების გამო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსთან ეფექტური თანამშრომლობა გარკვეული დონით შეფერხდა კიდევ, რაც საქართველოს დასავლეთთან დაახლოებაზე ბუნებრივია უარყოფითად აისახებოდა წლების განმავლობაში. მის მიმართ დროთა განმავლობაში კრიტიკამ იმატა და ნათელი იყო, რომ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი უწყების ხელმძღვანელი არჩეულ საგარეო კურსს არ ეთანხმებოდა. ცნობილია, რომ თავდაცვის მინისტრი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამხედრო ბლოკად გარდაქმნას ემხრობოდა. საბოლოოდ, 1998 წლის აპრილში ვარდიკო ნადიბაიძე თანამდებობიდან მოხსნეს. საბედნიეროდ, საქართველოს ხელისუფლებაში პროდასავლურმა აზრმა გაიმარჯვა, რომელიც საჭიროდ თვლიდა, საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან. ქართულ-ამერიკული ორმხრივი ურთიერთობები კი თავდაცვის სფეროში მომდევნო წლებში ეფექტურად გაგრძელდა და გაღრმავდა.

მაგალითად, 2000 წელს ედუარდ შევარდნაძე აშშ-ის თავდაცვის მდივან დონალდ რამსფელდს პირველად შეხვდა. პრეზიდენტი იხსენებდა, რომ მისი წინამორბედისგან - უილიამ კოენისგან განსხვავებით, რამსფელდთან შეხვედრამ ნაყოფიერად ჩაიარა და მალე საქართველოში ორმოცდაათი ამერიკელი სამხედრო სპეციალისტი ჩამოვიდა (შევარდნაძე, 2006:331).

2000 წლის 22 ივნისს საქართველოს ეწვია შტატების თავდაცვის მდივნის თანაშემწე, ბატონი ვორნერი. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა დოკუმენტს „თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებული გარემოს დაცვის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ორი ქვეყნის ერთობლივ საქმიანობას ისეთ მნიშვნელოვან პროგრამაში, როგორც იყო „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ და შემდეგ საკითხებს: საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარება და გაძლიერება, სამოქალაქო სექტორის დემოკრატიზაცია, სამოქალაქო

კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე და სამხედრო გამჭირვალობა. ნათელია, რომ პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ წლების განმავლობაში სულ უფრო მეტ სფეროს მოიცავდა. 2000 წლისათვის შეერთებული შტატების ინტერესი სწორედ ისეთი სტრატეგიული დარგების განვითარება იყო, რომლებიც საქართველოს საშინაო და პოლიტიკურ სტაბილურობას განაპირობებდა (სსა, დოკ. 2499).

2000 წელს შტატები საქართველოში საჰაერო სივრცის მართვის არსებული სისტემის შესაძლებლობების შესწავლით იყო დაინტერესებული. ვაშინგტონი აქტიურად მუშაობდა მისი მოდერნიზაციის პერსპექტივების დადგენაზე. აშშ მიიჩნევდა, რომ საქართველოში საჰაერო სივრცის მართვის სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის დონე რაც უფრო მაღალი იქნებოდა, მით უფრო სწრაფად მოხდებოდა საჰაერო სისტემის მოდერნიზაცია. ქართულ-ამერიკული მხარე თანხმდებოდა, რომ საქართველოს საჰაერო უსაფრთხოება პირდაპირ კავშირში იყო რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის შექმნასთან. აქედან გამომდინარე, ოფიციალურ თბილისს, ისევე როგორც ვაშინგტონს, იმედი ჰქონდა, რომ ორმხრივი ურთიერთობების წყალობით, საქართველოს საჰაერო უსაფრთხოების პროგრამა უფრო მასშტაბურ რეგიონალურ ინიციატივაში გადაიზრდებოდა. ამის მაგალითი იყო ისიც, რომ 2000 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს უსასყიდლოდ გადასცა სანაპირო დაცვის 82 ფუტის სიგრძის საპატრულო კატარა „პოინტ ბეი“ (სსა, დოკ. 2499). 2000 წლის 9 თებერვალს, შტატებში, ქართულ და ამერიკულ მხარეებს შორის გაიმართა მორიგი შეხვედრა საქართველოში „საჰაერო უსაფრთხოების ინიციატივის“ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამერიკელების მიზანი პარტნიორი ქვეყნის საჰაერო სივრცის შესწავლა და მოდერნიზაციის პერსპექტივების დადგენა იყო. შეხვედრაზე იმსჯელეს თურქეთის მხრიდან საქართველოსთვის საჰაერო სივრცის უსაფრთხოების სფეროში რადარული ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობებზე. რადგანაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყანას არ ჰქონდა ალიანსის არაწევრ სახელმწიფოზე ამგვარი ინფორმაციის გაცემის უფლება, განიხილებოდა ვარიანტი, რომ ზემოხსენებული თანამშრომლობა ევროპის რეგიონალური აეროკოსმოსური ინიციატივისა და „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის მონაწილე ქვეყნებისთვის დასაშვები გამხდარიყო, რასაც ალიანსის არაწევრი

ქვეყნებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პენტაგონის წარმომადგენელმა მარკ პირიტინომ განაცხადა, რომ საქართველო აშშ-ის საიმედო პარტნიორი იყო კავკასიაში და მისი საჰაერო სუვერენიტეტი და საზღვრების ურღვეობა პირდაპირ უკავშირდებოდა შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს. ასევე, მისი თქმით, საქართველო-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობების იმჟამინდელი დინამიკა იძლეოდა შესაძლებლობას საქართველოს საჰაერო უსაფრთხოების პროგრამა უფრო მასშტაბურ რეგიონალურ ინიციატივაში გადაზრდილიყო (სსა, დოკ. 2499).

აღნიშნულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, მოგვიანებით საქართველოს ელჩმა შტატებში თედო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საკუთარი საჰაერო სივრცის დაცვას, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა მის სუვერენიტეტს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ საზღვართან რთული ვითარება იყო (სსა,დოკ.2385).

ვთვლით, რომ ამერიკული მხარე მკაფიოდ ანალიზებდა რეგიონში მიმდინარე რთულ პროცესებს და საქართველოს უსაფრთხოებისთვის აუცილებელ ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამებსაც. გარდა ამისა, საქართველოს საჰაერო სივრცის და საზღვრის დაცვის სფეროში ამერიკულ მხარესთან თანამშრომლობა სუვერენიტეტის გასაძლიერებლად უმნიშვნელოვანესი იყო. თავის მხრივ, ალიანსის არაწევრი ქვეყნის მჭიდრო კოორდინაცია დასავლელ პარტნიორებთან, ისეთი რთულ ვითარებაში მყოფი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ეროვნული ინტერესების სფეროს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.

2.8. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოს რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში და პანკისის კრიზისი

კავკასიის რეგიონი პოლიტიკურად, სოციალურ-ეკონომიკურად, რელიგიურად თუ ეთნიკურად საკმაოდ მრავალფეროვანია და ამავე დროს საკმაოდ ფეთქებადი მთელს მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, დროდადრო ვაშინგტონში აქტიურად განიხილავდნენ არსებული რეგიონალური უსაფრთხოების დონეს, საერთაშორისო პროექტების განხორციელების პრაქტიკულ გზებს და ტერიტორიულ პრობლემებს, რომლებიც სტაბილურობას პირდაპირ უკავშირდება.

1997 წელს სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილე ნელსონ სტროუმ ტელბოტი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების განვითარებისთვის აუცილებელი იყო უსაფრთხოება და რეგიონალური განვითარება. ბ-ნმა ტელბოტმა აღნიშნა საერთაშორისო ტრანსკავკასიური პროექტების როლი და ხაზი გაუსვა რეგიონის ენერგოპრიორიტეტებს, რის გამოც არსებული კონფლიქტები უნდა დარეგულირებულიყო. მას არ გამორჩენია რუსეთის ფედერაციის მიერ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით სეპარატიზმის მხარდაჭერა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თავის დროზე, ჯორჯ ბუშის (უფროსის) ადმინისტრაციამ კრემლის პოლიტიკას ზემოხსენებულ რეგიონში საელჩოების გახსნით და ახალი დიპლომატიით უპასუხა, რაც ჰუმანიტარულ დახმარებაშიც აისახა. ბ-ნმა ტელბოტმა აღნიშნა საქართველოსა და შტატების პრეზიდენტების აქტიური კომუნიკაცია და 1995 წლის არჩევნები შეაფასა როგორც დადებითი მოვლენა დემოკრატიული განვითარებისკენ მიმავალ გზაზე. მისი თქმით, საქართველო ეკონომიკური სტაბილურობისთვის კრედიტებს იმსახურებდა; გარდა ამისა, შტატები არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ როლზე მკაფიოდ საუბრობდა. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ აღნიშნა, რომ 1992 წლის შემდეგ ვაშინგტონის მიერ ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებისთვის გამოყოფილი დახმარება 2.2 მილიარდ დოლარზე მეტი იყო. 1998 წლისთვის კი დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად კონგრესში განიხილავდნენ ამერიკული დახმარების ზრდის (სავარაუდოდ, 900 მილიონი დოლარი) საკითხს (Talbot, 1997).

1998 წელს კასპის ზღვის აუზიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის პრაქტიკული ტრანსპორტირება იგეგმებოდა. ქართული მხარე იმედოვნებდა, რომ პროექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ამერიკულ მხარესთან ერთად ითანამშრომლებდა და ატყობინებდა შტატებს, რომ არ იყო გამორიცხული უახლოეს მომავალში რეგიონში სტაბილურობას და საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის იმიჯს, ზიანი ტერორისტული აქტებით მიდგომოდა. ეს ყოველივე ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას უკავშირდებოდა და რაც უფრო ახლოვდება ეს თარიღი, მით უფრო მეტად აქტიურობდნენ დესტრუქციული

ქმედებებით დაინტერესებული ძალები. საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, პოლიტიკური სტაბილურობისთვის აუცილებელი იყო აშშ-ის დახმარება სპეციალური ქვედანაყოფის შექმნასა და მის სათანადოდ აღჭურვაში (სსა, დოკ. 2247).

როგორც ვხედავთ, თბილისი სწორად აანალიზებდა შექმნილ სიტუაციას, მოსალოდნელ პროვოკაციებს, რომლებსაც შეეძლო პროექტის უსაფრთხოებისათვის ხელი შეეშალა. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ დახმარებისთვის მან ამერიკულ მხარეს მიმართა.

1998 წელს საქართველოს ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გააზრებული, თუ რას ნიშნავდა მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ორ რეგიონში, უკონტროლო შეიარაღებული ძალების განლაგება. აქედან გამომდინარე, ის აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა შტატებთან, რათა ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მოგვარებაში, ისევე როგორც უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგების დაზუსტებისა და კონტროლის პროცესში, აშშ-ის მხარდაჭერა მოეპოვებინა და ეს ყოველივე იურიდიულ ნორმებში მოექცია. საკუთარ ქვეყანაში მეზობელი სახელმწიფოს სამხედრო გავლენის შესამცირებლად, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად, რასაკვირველია, აუცილებელი იყო ეფექტური პოლიტიკის წარმოება და საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკური წნეხი.

ამერიკამ საქართველოს დახმარების გაზრდა აღუთქვა. გარდა ამისა, ამცნო მას, რომ 1998 წელი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში არსებული ქვეყნების დახმარების პოლიტიკაში „საქართველოს წელი“ იქნებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დახმარების გაზრდაზე, ასევე, აქტიურად მუშაობდა „აშშ-ში საქართველოს ასოციაციის“ პრეზიდენტი ლიზა ზალდასტანი (სსა, დოკ. 2247).

1998 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ნიუ-იორკის აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტმა „ევროპის საუკეთესო სახელმწიფო მეთაურის“ ჯილდო გადასცა. 1998 წლის 18-23 მაისს საქართველოში ჩამოვიდა გადამღები ჯგუფი, რომელმაც პრეზიდენტის სამადლობელი სიტყვა ჩაიწერა და მასზე ფილმი გადაიღო (სსა, დოკ. 2020)

1998 წელს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში თედო ჯაფარიძე შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ დამოუკიდებელ

სახელმწიფოებთან ურთიერთობის მთავარ კოორდინატორს, ბ-ნ სტივენ სესტანავოჩს შეხვდა (სსა, დოკ. 1853). აღნიშნულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ვიზიტზე შტატებში და მის შეხვედრაზე პირველ ლედისთან, ქ-ნ ჰილარი ქლინტონთან. ბ-ნმა სტივენ სესტანავოჩმა აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიაში ენერგორესურსების ათვისების მხრივ ვითარება გაუმჯობესებული იყო. აქვე ამერიკული მხარე კატეგორიულად გამორიცხავდა კასპიის რეგიონიდან ირანის გავლით ნავთობსადენების შესაძლო გატარებას მომავალში. მხარეებმა, ასევე, ისაუბრეს 1998 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილის წარმატებულ ვიზიტზე შტატებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონალურ უსაფრთხოებასა და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს. ამერიკულმა მხარემ საქართველოს ახალ თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძესთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. ბ-ნმა სტივენ სესტანავოჩმა აღნიშნა, რომ შტატები აკვირდებოდა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებსა და ქვეყანაში არსებულ კორუფციას. მან იმედი გამოთქვა, რომ ქართული მხარე კორუფციის აღმოფხვრასა და სამშვიდობო პროცესის წარმატებით განხორციელებაში აქტიურად განიხილავდა მოლაპარაკებების პლატფორმას (სსა, დოკ. 1853).

1998 წლის 12 ივნისს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში თედო ჯაფარიძე შტატების ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ევრაზიულ სახელმწიფოთა საქმეების უფროს დირექტორს და აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველ უილიამ კორტნის შეხვდა. ამერიკულმა მხარემ შეშფოთება გამოთქვა გალის რაიონში მიმდინარე ქმედებების გამო და აღნიშნა, რომ შტატები კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას ემხრობოდა; ამასთან, გამოთქვა მზადყოფნა კონფლიქტის ახალი ტალღის თავიდან ასაცილებლად ყველანაირი სახის დახმარება გაეწია საქართველოსთვის და დასძინა, რომ აშშ მხარს უჭერდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. უილიამ კორტნი, ასევე, აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო საქართველოს ხელისუფლებას რეგიონში ვითარება სრულად გაეკონტროლებინა და დაეცვა მოსახლეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი მის საერთაშორისო რეპუტაციაზე უარყოფითად იმოქმედებდა. ბ-ნი კორტნის თქმით, შტატებში იმის განცდა ჰქონდათ, თითქოს, საქართველოს შემართება ეკონომიკური

რეფორმებისკენ შენეღდა და ტემპი დაიკარგა. სწორედ ამიტომ, ოფიციალური ვაშინგტონი ყურადღებით აკვირდებოდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რეფორმებსა და ადგილობრივ არჩევნებს. უილიამ კორტნიმ ისიც დაამატა, რომ საქართველო ყოფილ საბჭოთა სივრცეში პროგრესისკენ მიმავალი ყველაზე წარმატებული ქვეყანა იყო, ამიტომ მისგან უფრო მეტს მოელოდნენ და იმედოვნებდნენ, რომ საქართველო სირთულეებს მალე დაძლეოდა (სსა, დოკ. 2250)

1998 წლის 23 ივლისს ქართული დელეგაცია შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტროუბ ტელბოტს შეხვდა (სსა, დოკ. 2251). შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსთვის ამერიკული დახმარება უსაფრთხოების სფეროში. ქართული მხარე მოხარული იყო, რომ აშშ-მა შეიმუშავა თავდაცვისა და უსაფრთხოების დარგში პრაქტიკული დახმარების პროგრამები. შეხვედრაზე აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების როლი საქართველოს სასაზღვრო ძალების ჩამოყალიბებაში. უახლოეს მომავალში უნდა მომხდარიყო საბჭოური სამხედრო ტექნიკის ჩანაცვლება კასკადირებით. ქართულმა დელეგაციამ, ასევე, აღნიშნა ეროვნული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ამერიკელი ექსპერტების ჩართულობის მნიშვნელობა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა შტატების დახმარებას სამშვიდობო ბატალიონის შექმნასა და მის სათანადო დონეზე აღჭურვაში. საქართველო ამერიკულ დახმარებას მოელოდა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში ღონისძიებების ჩასატარებლად. გარდა ამისა, განიხილეს ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის ამოქმედების საკითხი და მასთან დაკავშირებული რისკები. ქართული მხარე აღნიშნავდა, რომ მზად იყო თბილისში გაეხსნათ შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ოფისი, რომელიც მთელს რეგიონს დაფარავდა. ის იმედოვნებდა, რომ ვაშინგტონში მიიღებდნენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და აშშ საქართველოს აუცილებლად დაეხმარებოდა ორგანიზაციული საკითხების გადაჭრაში. ქართულმა დელეგაციამ ამერიკულ მხარეს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ 1998 წლის ბოლოს კასპის ზღვის აუზიდან დაგეგმილი იყო ნავთობის ტრანსპორტირება დასავლეთის მიმართულებით. ის იმედოვნებდა, რომ ამერიკული მხარდაჭერის წყალობით, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება დაცული იქნებოდა. ქართულმა მხარემ მწვავედ დააყენა საკითხი მეზობელი ქვეყნის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე

სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერის თაობაზე და განაცხადა, რომ შტატები იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ძალუძდა რეალური ზემოქმედება შექმნილი ვითარების შესაცვლელად. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უკანონო და უკონტროლო შეიარაღება არანაირად არ ემსახურებოდა რეგიონში სტაბილურობასა და მშვიდობას (სსა, დოკ. 2251). ქართულ-ამერიკული პოლიტიკური თანამშრომლობა ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, მართლაც, ორმხრივ ინტერესებზე იყო დამყარებული. საქართველოსთვის აუცილებელი იყო ამერიკული მხარის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად და რეფორმების განსახორციელებლად. მეორე მხრივ, შტატებს სჭირდებოდა სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხო და დაცული პარტნიორი, რომელსაც რთული სტრატეგიული ფუნქციების შესრულება შეეძლო. აქედან გამომდინარე, ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა დინამიკურად და ეფექტურად ვითარდებოდა.

1999 წლიდან, რუსეთ-ჩეჩნეთის განახლებული ომის შედეგად, საქართველოს საზღვრებს ლტოლვილთა დიდი ნაკადი მოაწყდა. გამორიცხული არ იყო, რომ მათ შორის მართლაც იყვნენ კრემლის სამიზნე სუბიექტები, თუმცა საქართველოს ხელისუფლებას იმ დროისთვის სახელმწიფო საზღვრების დაცვა ეფექტურად არ შეეძლო, რამაც რუსეთის ფედერაციას საშუალება მისცა ქვეყანა ტერორისტების მფარველობაში დაედანაშაულებინა. ამგვარი ბრალდება, ბუნებრივია, საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე, ისევე როგორც სტაბილურობასა და საერთაშორისო პროექტების განხორციელებაზე, უარყოფითად მოქმედებდა. ამ ვითარებაშიც კი, როდესაც კრემლი საქართველოს მიმართ მუქარებს არ იმუშრებდა, ვაშინგტონი ვითარების სტაბილიზაციაზე აქტიურად მუშაობდა.

1999-2000 წლებში რუსეთის ხელისუფლებამ ქართულ მხარეს არაერთხელ მოსთხოვა, რომ ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარი, ქართულ ჯართან ერთად, რუს სამხედროებსაც დაეცვათ. საქართველომ ორი საუკუნის მანძილზე პირველად გაბედა და მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთის ომის გამო ჩრდილოელ მეზობელთან პოლიტიკური ვითარება უკიდურესად იყო გამწვავებული, დიპლომატიური უარი კრემლს მაინც უთხრა. 2000 წელს თბილისში ევროპაში აშშ-ის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ებოტი ჩამოვიდა. ედუარდ შევარდნაძემ მას კოსოვოს

კონფლიქტის დროს ქართული საჯარისო ნაწილების გაგზავნის ნებართვისთვის მადლობა გადაუხადა (ჩარკვიანი, 2016:493). საქართველოს ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა, რომ რუსული ბრალდებების დასასრულებლად საჭირო იყო საზღვრის საერთაშორისო მონიტორინგი და ჩრდილოეთის საზღვრის გამაგრება. ამ შემთხვევაშიც ოფიციალური თბილისი დიდ იმედებს შტატებზე ამყარებდა. აშშ-ს ედუარდ შევარდნაძე წერდა: „ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ეუთოს სასაზღვრო მისიის გაფართოებას და გვინდა, რომ დამკვირვებლები შატილში, ომალოში და სხვა პუნქტებშიც განლაგდნენ, რაც შეიძლება მალე. მათი იქ ყოფნა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს შეუშლის საზღვრის გადაკვეთის მცდელობებს“ (ჩარკვიანი, 2016: 494). ნათელია, რომ ქართული და ამერიკული მხარეები ერთობლივად ცდილობდნენ საერთაშორისო მშვიდობის დაცვაში საქართველოს თავისი მოკრძალებული, თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა. რაც შეეხება საქართველოს საზღვრების მონიტორინგში ევროპული მხარის მეტ ჩართულობასთან დაკავშირებით აშშ-ის პოზიციას, მას მიაჩნდა, რომ ეს საფუძველს გამოაცლიდა რუსეთის ხელისუფლების საყვედურებს თუ ბრალდებებს, თითქოს, საქართველოს არ ძალუძდა საკუთარი სასაზღვრო ზოლების გაკონტროლოება და დაცვა. ედუარდ შევარდნაძის უარი კრემლს ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვრის ერთობლივ დაცვაზე კი სრულებით გამართლებული იყო, ვინაიდან საქართველოს არაერთხელ გამოუცდია, თუნდაც დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სუვერენიტეტის ხარჯზე, თუ რას ნიშნავდა საკუთარი ნებით რუსეთის ფედერაციისთვის ქვეყნის პოლიტიკური ბედის გადასაწყვეტად ლეგიტიმური უფლებების მიცემა.

1999 წელს საქართველო-რუსეთის ფედერაციის გართულებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს ცნობილი ამერიკული გაზეთი „The New York Times“ გამოეხმაურა. სტატიაში ხაზგასმული იყო პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის უარი კრემლს რუსი და ქართველი ჯარისკაცების მიერ, ერთობლივად, საქართველო-ჩეჩნეთის საზღვრის დაცვასა და რუსეთ-ჩეჩნეთის ომში საქართველოში არსებული სამხედრო ბაზების ჩართვაზე. ავტორი აცხადებდა, რომ საქართველოს, რომელსაც დიდი პოლიტიკური გეგმები ჰქონდა დასავლეთთან დაახლოებისა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების თვალსაზრისით, კარგად ესმოდა, რომ მოსკოვი ჩეჩნეთში ომის საბაზით რეგიონზე უფრო მეტი კონტროლის დამყარებას ცდილობდა. მან, ასევე,

აღნიშნა, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამო, ოფიციალური თბილისის პოლიტიკური ურთიერთობები კრემლთან გართულებული იყო. საქართველოს კი, საგარეო პრობლემებთან ერთად, ჩეჩნეთიდან ლტოლვილი 4000 ადამიანის, უმეტესად ქალისა და ბავშვის, სოციალური მდგომარეობაც ტვირთად აწევბოდა (Gordonnov, 1999).

2002 წლის 20 სექტემბერს რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულ პოლიტიკურ მდგომარეობას და პანკისში რთულ ვითარებას ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი ჯონ მაკკეინი გამოეხმაურა სენატში. მან ხაზი გაუსვა პრეზიდენტ შევარდნაძის და საქართველოს პროდასავლურ კურსს და აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ახლა უკვე საფრთხის ქვეშ იყო. სენატორის განცხადებით, რატომღაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს სჯეროდა, რომ კრემლის მიერ ერაყში ამერიკული სამხედრო მანევრების მხარდაჭერის სანაცვლოდ, საქართველოში თავისუფალი მოქმედებების უფლება ჰქონდა (McCain, 2002). მაკკეინის თქმით, პუტინმა პირობა დადო ჩეჩნეთში ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაედას“ წევრების დამარცხების თაობაზე, თუმცა, მისი აზრით, ხშირად კრემლის სამიზნე არა მხოლოდ ტერორისტები, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც ხდებოდნენ. ახლა კი ჩეჩნეთში სისასტიკის ფაქტების გადასაფარავად საქართველოს მუქარაც შეუთვალა. სენატორმა აღნიშნა, რომ ვლადიმერ პუტინმა წერტილოვანი საჰაერო დარტყმები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე განახორციელა და უფრო მეტიც, ქვეყანაში სამხედრო ძალით შეჭრის სურვილსაც არ მალავდა. მაკკეინის აზრით, რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ტერორისტებს საბაზად იყენებდა, რათა საკუთარი ქმედებები გაემართლებინა. ისიც დასძინა, რომ პუტინს ედუარდ შევარდნაძე არ მოსწონდა. სენატორის განცხადებით, ოფიციალურ ვაშინგტონს, თბილისსა და კრემლს ჰქონდათ უფლება, რომ ჩეჩენი წარმოშობის თუ „ალ-ქაედას“ წევრი ტერორისტების წინააღმდეგ ემოქმედათ. აქედან გამომდინარე, შტატებმა მალევე მიიღო გადაწყვეტილება ამერიკული სამხედრო ნაწილებისა და ინსტრუქტორების საქართველოში გაგზავნის თაობაზე, რომლებიც ქართველ კოლეგებს საზღვრის დაცვის, წვრთნისა და აღჭურვის საკითხებში დაეხმარებოდნენ. გარდა ამისა, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამერიკელ ინსტრუქტორებთან ერთად ტერორისტების წინააღმდეგ პანკისის რეგიონში სამხედრო ოპერაციებიც დააანონსა; გარდა ამისა, საერთაშორისო დამკვირვებლები უკვე აკონტროლებდნენ საქართველო-

ჩეჩნეთის საზღვარს სხვა ტერორისტული ჯგუფების შემოსვლის აღსაკვეთად. ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა მზაობა 13 პირის რუსეთის ხელისუფლებისთვის გადაცემის თაობაზე, რომლებიც „ჩეჩენ გორილებად“ იყვნენ ცნობილი. თუმცა, როგორც მაკკეინი აცხადებდა, მოსკოვს ეს არ აკმაყოფილებდა და ტერორიზმის წინააღმდეგ თბილისთან ერთობლივ ბრძოლას არც აპირებდა. სენატორს არც რუსული მხარის მიერ საქართველოში სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერა დავიწყებია. მან აღნიშნა, რომ ვაშინგტონი იზიარებდა კრემლის აზრს ე.წ. „ლტოლვილი ტერორისტების“ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე, თუმცა ტერორიზმის დასამარცხებლად გამოსავალი საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერაში იყო. მაკკეინის შეხედულებით, კრემლის მოქმედებები საქართველოს სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნიდა და აშშ ამას არ შეეგუებოდა. სენატორის აზრით, მსოფლიოში ტერორიზმის დამარცხების ყველაზე დიდი სურვილი ამერიკელებს ჰქონდათ და ამის მაგალითი იყო ისიც, რომ შტატების სპეციალური ძალები უკვე დიდი ხანი იყო რაც საქართველოში იმყოფებოდნენ და საჭირო ღონისძიებებსაც ატარებდნენ (McCain, 2002).

პანკისში შექმნილ რთულ ვითარებასა და კრემლის მუქარაზე გავლენიანი ამერიკული გაზეთებიც წერდნენ. “The Wall Street Journal” სტატიაში “Putin’s Iraq Price” ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დასავლური კურსის გამო ისჯებოდა. ასევე, წერდნენ მის გამოცდილებასა და პრაქტიკულ უნარზე, თუ როგორ უნდა აერიდებინა რუსეთის ფედერაციასთან ომისთვის თავი. აღნიშნული იყო ე. შევარდნაძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტები და მასში მონაწილე პირების მფარველობა კრემლის მხრიდან. სტატიაში სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელი თანაშემწის და ამჟამინდელი პრეზიდენტის მრჩევლის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონის განცხადებაც იყო მოყვანილი, რომლის მიხედვითაც, ვაშინგტონი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ტერიტორიაზე კრემლის ნებისმიერ სამხედრო მოქმედებას. პუბლიკაციაში ნათქვამი იყო, რომ მოსკოვი საქართველოში არსებულ ვითარებას საკუთარი იმპერიალისტური გეგმებისთვის და ჩეჩნეთში ჩადენილი ქმედებების გადასაფარავად იყენებდა (The Wall Street Journal, 2002).

2002 წლის 19 სექტემბერს კიდევ ერთი ცნობილი ამერიკული გაზეთი “The Washington Post” პანკისის მოვლენებზე წერდა. სტატიაში “A Pabody of Partnership” აღნიშნული იყო, რომ 1000-მდე ამერიკელი პანკისის რეგიონში ქართულ მხარეს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა.; ასევე, ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტების ყოფნის საკითხით, კრემლი ცდილობდა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გადატანას ჩეჩნეთის ომიდან პანკისზე. თეთრ სახლში კი აცხადებდნენ, რომ კრემლის თამაშს, უბრალოდ, არ ითამაშებდნენ და პუტინის კაბინეტის წევრებთანაც შეხვედრები დაიგეგმა. ვაშინგტონს კარგად ესმოდა, რომ საქართველოზე მოსკოვის მხრიდან იერიშის მიტანის შემთხვევაში, ერაყში საკუთარი ქმედებების შეცვლა მოუწევდა (The Washington Post, 2002).

2002 წლის 21 სექტემბერს გაზეთი “The Economist” სტატიაში “Putin’s Folly” წერდა: პუტინმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უკვე აცნობა, რომ თუკი საქართველოს ხელისუფლება პანკისის რეგიონს ტერორისტებისგან არ გაათავისუფლებდა, სამხედრო ინტერვენციას არ გამოირცხავდა. პუბლიკაციის ავტორის თქმით, რუსული მედიის თავდასხმის ობიექტი ხშირად იყო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც თითქოს ტერორისტების წინააღმდეგ არაფერს ახორციელებდა. გარდა ამისა, საუბარი იყო კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერასა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი პრობლემების შექმნაზე. სტატიაში ხაზგასმული იყო, რომ ქართული მხარე უკვე მოქმედებდა ამერიკელ პარტნიორებთან ერთად ტერორიზმის წინააღმდეგ, თუმცა კრემლისთვის ეს საკმარისი პასუხი არ იყო (The Economist, 2002).

პანკისის კრიზისიდან გამომდინარე, შევარდნაძემ მალევე, 2002 წელს, მთავრობას დაავალა იმავე წლის ნოემბრის არჩევნებისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება, რომელიც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ მიმავალ გზაზე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ინტეგრაციას შეუწყობდა ხელს (German, 2004:3).

2002 წლის 9 მაისს 18 ამერიკელი ინსტრუქტორი საქართველოში იმყოფებოდა. თვის ბოლომდე კი 150 სამხედრო სპეციალისტს კიდევ ელოდნენ, რომლებიც

ქართველ სამხედროებს საზღვრის დაცვის სფეროში დახმარებას გაუწევდნენ. (დილის გაზეთი, 2002ბ).

ნათელია, რომ პანკისის კრიზისის პერიოდში კრემლის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებაზე რეალური პოლიტიკური ზეწოლა არაერთხელ ყოფილა, რომ საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოების მიზნით. მიუხედავად ამისა, საქართველოს კოორდინაცია ევროპელ და ამერიკელ კოლეგებთან რეგიონში ვითარების განსამუხტად, კრემლს რეალური აგრესიის განხორციელების საშუალობას ბოლომდე არ აძლევდა და რაც მთავარია, რუსეთის ფედერაციასთან დამაბულობის ფონზეც კი ქვეყანა ცდილობდა არსებული საგარეო კურსის და რაც მთავარია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ურთიერთობების გაგრძელებას.

2.9. სტამბოლის სამიტი და ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები

1999 წლისთვის საქართველოს უსაფრთხოების დაცვისთვის და განმტკიცებისთვის ამერიკული მხარის მხრიდან ევროპელ კოლეგებთან მჭიდრო კოორდინაციით კონკრეტული ქმედებები გადაიდგა, რომელიც რეზოლუციებშიც აისახა.

1999 წელს სტამბოლმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლეს სამიტს უმასპინძლა. შეხვედრაში 54 სახელმწიფო და რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობდა. სამიტს დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და შეერთებული შტატების ლიდერი ბილ კლინტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოშიც კარგად ესმოდათ, რომ რეგიონში უსაფრთხოების გარეშე, საერთაშორისო პროექტები აზრს დაკარგავდა. სწორედ, რომ სტამბოლის სამიტის დროს რუსეთის ფედერაციამ ჩეჩნეთში საომარი ოპერაციების გამო გაფრთხილება მიიღო (თევზაძე, 1999).

სამიტის მიზანი ევროპის ახალი გეოპოლიტიკური მოწყობის საკითხის განხილვა იყო; დიდი ყურადღება დაეთმო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის თემასაც. საქართველოსთვის სტამბოლის სამიტი რამდენიმე საკითხით გამოირჩა. ეს საკითხებია:

1. საქართველო, როგორც ევროპული უსაფრთხოების სივრცის ნაწილი;
2. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები საქართველოში;
3. საქართველო და საუკუნის პროექტები.

სამიტის ფარგლებში ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაფინანსებული და მხარდაჭერილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი რეალიზაციაში შევიდა. რაც შეეხება ევროპის უსაფრთხოების საკითხს, მიღებულ იქნა ევროპაში ჩვეულებრივი იარაღის განაწილების ადაპტირებული ქარტია. ზემოხსენებულ დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც 2001 წლის 31 დეკემბრამდე რუსეთის ფედერაციას საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ 153 სატანკო ერთეული და 140 საარტილერიო იარაღი უნდა დაეტოვებინა. 2001 წლის 1 ივლისამდე კი რუსული სამხედრო ტექნიკა უნდა გაეყვანა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზებიდან. რაც შეეხება ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებს, უნდა დაწყებულიყო სამხედრო დეტალების დაზუსტება და ოპტიმიზაციის პროცესი. 2001 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინათ საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების საბოლოო გაყვანასთან დაკავშირებით. რუსეთის ფედერაციამ კი სტამბოლის სამიტის პოლიტიკურ შედეგებს საქართველოსთვის მარტივად და ჩვეული აგრესიული ნაბიჯით - შატილის დაბომბვით - უპასუხა.

სტამბოლის სამიტის შემდეგ საქართველო და შტატები ცდილობდნენ დაწყებული შეიარაღების პროცესი და უსაფრთხოების სფეროში მიღწეული შეთანხმება მაქსიმალურად ეფექტურად და მოკლე ვადაში შეესრულებინათ. ამის დასტური იყო 2001 წლის 5 სექტემბერს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში გამართული შეხვედრა, რომელშიც, ქართულ და ამერიკულ მხარეებთან ერთად, რუსეთის ფედერაციაც მონაწილეობდა. შტატები, ისევე როგორც საქართველო, სტამბოლის შეთანხმების იმპლემენტაციასა და ამ პროცესის რეგულარულ მონიტორინგს ითხოვდა.

აშშ-მა 2000 წლის ბიუჯეტში 10 მილიონი დოლარი გამოყო საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზებისა და ჭარბი შეიარაღების გატანის ხელშეწყობის მიზნით. ის იმედოვნებდა, რომ აღნიშნული თანხა მიზნობრივად იქნებოდა გამოყენებული. როგორც ცნობილია, 1999 წლის ეუთო-ს სტამბოლის

სამიტის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოდან ჭარბი შეიარაღების გატანისა და საქართველოში რუსეთის ფედერაციის ორი სამხედრო ბაზის, გუდაუთისა და ვაზიანის, დახურვის თაობაზე. ოფიციალურ ვაშინგტონს აინტერესებდა, თუ რა რაოდენობის სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება, სამხედრო მოსამსახურე, რა ტიპის ინფრასტრუქტურა გააჩნდა რუსულ მხარეს სამხედრო ბაზებზე საქართველოში, რა იყო მათი მომარაგების წყაროები. რაც მთავარია, შტატებს სურდა რისკების პრევენცია, მაგალითად, თუკი გუდაუთაში რუსული სამხედრო ბაზა დაიხურებოდა, არსებობდა თუ არა შანსი, რომ ის აფხაზურ მხარეს გაეკონტროლებინა. აქედან გამომდინარე, აშშ მიიჩნევდა, რომ ბაზებზე არსებული ვითარების შესასწავლად და სწორი სტრატეგიის დასასახად, აუცილებელი იყო სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა. ამერიკული მხარე, ასევე, მიესალმებოდა ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის ორგანიზაციის აქტიურობას, რათა სტამბულის სამიტზე მიღწეული შეთანხმება მაქსიმალურად ეფექტურად განხორციელებულიყო (სსა, დოკ. 2390).

2000 წლის 2 მაისს საქართველოს ელჩი შტატებში თედო ჯაფარიძე ევროპაში აშშ-ის საგანგებო დავალებათა ელჩს ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების საკითხებში ქრეიგ დანკერლს შეხვდა. ამერიკული მხარის მიზანი იყო მომავალ თვეში შტატებისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებს შორის გასამართ შეხვედრაზე რუსული ჯარების გაყვანის თაობაზეც ყოფილიყო მსჯელობა. გარდა ამისა, საქართველოსთან მიმართებაში აშშ-ს შემდეგი საკითხები აინტერესებდა: 1. ჭარბი შეიარაღების გაყვანის ზუსტი გრაფიკი; 2. მეტი ინფორმაცია ვაზიანისა და გუდაუთის ბაზების დახურვასთან დაკავშირებით. შტატების წარმომადგენლობა თვლიდა, რომ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა რუსული ჯარების გაყვანის პროცესის დაწყება 2000 წლის აგვისტოდან. ამერიკულმა მხარემ იცოდა, თუ რას ფიქრობდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი ბაზებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, სირთულეები იქმნებოდა არა გუდაუთისა და ვაზიანის ბაზების დახურვის, არამედ ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების სტატუსისა და დროებითი განლაგების ვადის განსაზღვრის გამო (სსა, დოკ. 2390).

2000 წლის 13 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი პენტაგონში რუსეთის, უკრაინისა და ეროვნული სახელმწიფოების

დეპარტამენტის დირექტორ ჯეფი სტარს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: 1. ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებებისთვის მოსკოვის მომზადება; 2. საქართველოს შეიარაღებული ძალების რეფორმა; 3. თურქული მხარის დახმარება; 4. საჰაერო უსაფრთხოება; 5. ნავთობსადენების უსაფრთხოება. ამავე ვიზიტის ფარგლებში ირაკლი მენაღარიშვილმა სახელმწიფო დეპარტამენტში კონსულტაციები გამართა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების თაობაზე. ამერიკულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ საქართველოს გაუწევდა ფინანსური და ტექნიკური სახის დახმარებას. ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო მათ მიერ გამოყოფილი 10 მილიონი დოლარის მიზნობრივად დახარჯვა, რომელიც საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანას უნდა მოხმარებოდა. ამერიკულმა მხარემ სამომავლოდ არ გამორიცხა დამატებითი თანხის თხოვნა კონგრესისთვის. შტატები დიდ ინტერესს იჩენდა გუდაუთის აეროდრომის უმტკივნეულოდ გაუქმების საკითხის მიმართ და ქართულ მხარეს დახმარებაც აღუთქვა აფხაზეთში, ეშერის გასაიდუმლოებულ ობიექტზე, ინფორმაციის მოძიების საქმეში (სსა, დოკ. 2390).

2001 წლის 11 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩომ ქვეყნიდან რუსული ბაზების გაყვანის თაობაზე აშშ-ის თავდაცვის უწყებასთან კონსულტაციების მორიგი რაუნდი გამართა. შეხვედრა ამერიკული მხარის ინიციატივით შედგა, რომელსაც სურდა ქართული წარმომადგენლობისგან მიეღო ინფორმაცია საქართველოდან რუსეთის ჭარბი შეიარაღების გატანისა და რუსული ბაზების (გუდაუთაში, ვაზიანში) დახურვის თაობაზე. ფაქტია, რომ შტატები დიდი ინტერესით აკვირდებოდა სტამბოლში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სამიტზე, მიღწეული შეთანხმების შესრულებას და ცდილობდა მის დაჩქარებას; ამიტომაც მჭიდრო კოორდინაციაში იმყოფებოდა როგორც რუსულ, ისე ქართულ მხარესთან. შეიქმნა სპეციალური უწყებათაშორისი ჯგუფი, რომლის პირველი შეხვედრაც აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში 2000 წლის 12 იანვარს გაიმართა. საქართველოსგან შტატებმა მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: 1. რუსული სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების რაოდენობა; 2. რუსულ სამხედრო ბაზებზე სამხედრო მოსამსახურეთა, კონტრაქტორების დაზუსტებული რიცხვი და

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეფარდებით მათი პროცენტული მაჩვენებელი (ბაზების მიხედვით); 3. რუსულ სამხედრო ბაზებზე არსებული ინფრასტრუქტურის ტიპი და ქართული მხარის გეგმები მომავალში მათ გამოყენებასთან დაკავშირებით; 4. რუსული სამხედრო ობიექტების სრული სია და მათი მომარაგების გზები; 5. უცხო ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსი ქართულ კანონმდებლობაში; 6. საქართველოს გეგმები გუდაუთის ბაზასთან მიმართებაში, რადგანაც მისი დახურვის შემთხვევაში, ობიექტზე კონტროლს აფხაზები აიღებდნენ. აშშ-მა თანადგომა გამოუცხადა თბილისს ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხების საბოლოოდ მოგვარებაში. რაც მთავარია, ის იმედოვნებდა, რომ ამერიკულ დახმარებას ქართული მხარე ეფექტურად დახარჯავდა სასურველი პოლიტიკური შედეგების მისაღწევად (სსა, დოკ. 2390).

ვფიქრობთ, სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ საქართველოსთვის მთავარი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება და სუვერენიტეტის განმტკიცება იყო. სამწუხაროდ, სუვერენიტეტსა და რეალურ პოლიტიკურ თავისუფლებას, ქვეყნის წინსვლასა და დემოკრატიულ განვითარებას დსთ-ში გაწევრიანება და რუსული სამხედრო ბაზების არსებობა საგრძნობლად აფერხებდა. ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, რუსეთის ფედერაციამ მოახერხა, რომ საქართველოს საშინაო პოლიტიკასთან ერთად, საგარეო პოლიტიკაც დროდადრო ეკონტროლებინა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება, საერთო ინტერესების პოვნა ძალიან შორს მდებარე ზესახელმწიფოსთან. ოფიციალურმა ვაშინგტონმა შესანიშნავად იცოდა, რომ რუსული ბაზების არსებობის პირობებში საქართველოში მისთვის სასურველი პოლიტიკური შედეგების მიღწევა დროში გაჭიანურდებოდა.

ამერიკული მხარის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით, 2001 წლის ივლისში დაიხურა ვაზიანის 137-ე ბაზა თბილისში.

2001 წლის ოქტომბერში იგივე ბედი ეწია გუდაუთის 50-ე ბაზას. თუმცა, სამწუხაროდ, საერთაშორისო მისიებს მისი შემოწმების საშუალება არ მიეცათ. დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის ფედერაცია ამის მიზეზად აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის პოზიციას ასახელებდა - თითქოს, აფხაზური მხარე ბაზაზე საერთაშორისო

ინსპექტორების ყოფნის წინააღმდეგი იყო. ოფიციალური კრემლი არ ასრულებდა „სტამბულის შეთანხმებით“ ნაკისრ ვალდებულებას ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების გაყვანის თაობაზე. მოლაპარაკებები კვლავ გაჭიანურდა და მხოლოდ 2005 წლის 30 მაისს დათანხმდა რუსეთის ფედერაცია საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანას. იმ დროს ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძე უკვე აღარ იყო, ხოლო რთული და დამაბული მოლაპარაკებების შემდეგ, ორმხრივ შეთანხმებას ხელი საქართველოს იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და ამჟამინდელმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და რუსეთის საგარეო უწყების პირველ პირმა სერგეი ლავროვმა მოაწერეს. კრემლმა მართალია, არსებული ვალდებულებების შესრულება გააჭიანურა, თუმცა საქართველოსთვის სასურველი შედეგი მაინც დადგა, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო.

თავი 3. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მმართველობის პირველი წლები და ქართულ-ამერიკული დიპლომატია

3.1. ქართულ-ამერიკული სამხედრო და რეგიონალური თანამშრომლობა 2000-2002 წლებში

2000 წლის ნოემბერში ვაშინგტონში ბილ კლინტონის 8-წლიანი მმართველობა დასრულდა, რომელიც ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებში, ვფიქრობთ, გამორჩეულია. 2001 წლის 20 იანვარს კი თეთრ სახლში რესპუბლიკელმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) სრულიად ახალი საგარეო პოლიტიკა დაიწყო არა მარტო მთელ მსოფლიოსთან მიმართებაში, არამედ საქართველოსთანაც. ახალი პრეზიდენტის მმართველობის პირველ წლებში აქტიურად განხორციელდა ის სამხედრო პროგრამები, რომლებსაც საფუძველი წინა ადმინისტრაციის პერიოდში ჩაეყარა. გარდა ამისა, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, როგორც სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, ისე საერთაშორისო ურთიერთობების მხრივ, ახალ ეტაპზე გადავიდა.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ჯორჯ ბუშს (უმცროსი) სამმხრივი მოლაპარაკებების ფორმატი შესთავაზა, რომელიც ამერიკა-რუსეთი-საქართველოს თანამშრომლობას გულისხმობდა. შევარდნაძეს, იმედი გაუჩნდა, რომ 2002 წელს ბუშის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვითაც ვაშინგტონი მზად იყო კრემლთან ერთად აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში რეგიონალური კონფლიქტები დაერეგულირებინა, რეალურ პოლიტიკურ შედეგს გამოიღებდა (შევარდნაძე, 2018:83).

2001-2002 წლებში საქართველოს ეროვნული შეიარაღებული ძალების რეფორმირება, სწრაფი რეაგირების ძალების ჩამოყალიბების საკითხი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და ამერიკული დახმარების პროგრამა ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებში დიდ ადგილს იკავებდა. ამას მოწმობს საქართველო-აშშ-ის ორმხრივი სამუშაო ჯგუფების პრიორიტეტები. გარდა ამისა, შტატების აზრით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის ქვედანაყოფებს დიდი ადგილი ეკავა საერთაშორისო ენერგოპროექტების, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვაში. ნავთობსადენზე კრიზისული ვითარების

წარმოქმნისას, მათ უნდა შეძლებოდათ შესაბამისი რეაგირება. საქართველო-აშშ-ის დიალოგში სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან გამოიკვეთა პრინციპული მიდგომა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაუმჯობესების საკითხისადმი. ორივე ქვეყანა თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ეროვნული გვარდიის ახალი როლისა და ფუნქციების ჩამოყალიბება. რაც მთავარია, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას სრულ მხარდაჭერას უცხადებდა და ზემოხსენებულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების სწრაფად გაღრმავების მნიშვნელობა ორმხრივი გეოპოლიტიკური სარგებლის მისაღებად (სსა, დოკ. 2499).

2001 წელს საქართველოში პირველად გაიმართა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ფართომასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო წვრთნა „კოოპერატივ პარტნიორი-2001“. რაც მთავარია, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად მასში მონაწილეობა მიიღო საქართველომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველოს სამძვერო-სამაშველო ჯგუფით, საზღვაო ძალების 4 და სანაპირო დაცვის 3 ხომალდით (სსა, დოკ. 2385).

2001 წელს საქართველოს, უცხოეთის სამხედრო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან 8 მილიონი დოლარი გამოეყო. გარდა ამისა, ქართულ და ამერიკულ მხარეებს შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ქვეყნის ეროვნული შეიარაღებული ძალების რეფორმირებაზე. ამის ნათელი დადასტურება იყო ბატონი ოთარ შალიკაშვილისა და პენტაგონის დელეგაციის ვიზიტი თბილისში. აშშ-ის ევროპის სარდლობის მიერ ქართული მხარისთვის მომზადდა შეფასება-რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც, რეფორმების ძირითადი პრიორიტეტები იყო: ინგლისური ენის სწავლება და მაღალი დონის სამხედრო აკადემიის ჩამოყალიბება, ვერტმფრენების გადმოცემის პროგრამა და საჰაერო უსაფრთხოების ინიციატივა, რომელიც უკავშირდებოდა თავდაცვის რესურსების მართვის სწავლების პროგრამას. ქართულ-ამერიკული მჭიდრო პარტნიორობა გრძელდებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში. საქართველო

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რეგიონში აშშ-თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობის ეფექტურობის მაღალ დონეს. ამერიკის შეერთებულ შტატებს არც სტამბულის სამიტი დავიწყებია და აღნიშნა, რომ 2000 წელს წარმატებით განხორციელდა საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანა, რომელმაც ჯამში 491 ერთეული შეადგინა. თავის მხრივ, პენტაგონი მზადა იყო, საზღვრის დაცვის სფეროსა და ექსპორტის კონტროლის დარგში ქართულ მხარისთვის მაქსიმალური დახმარება გააეწია (სსა, დოკ. 2385). ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოება რეგიონის უსაფრთხოების გარანტი იყო. ექსპორტის კონტროლი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საქონლის ტრანზიტს, საინფორმაციო ქსელის შექმნასა და ოპერატიულ თანამშრომლობას გააძლიერებდა.

2001 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს საქართველოსთან თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკისა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში თანამშრომლობა წარმოადგენდა. ამას მოწმობდა 2001 წელს ჯორჯიის შტატში საქართველო თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრა. პროგრამის ფარგლებში შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს სწრაფი რეაგირების ძალების განვითარებაზე, სამხედრო განათლების სისტემის სრულყოფაზე, ქვეყნის, როგორც სუვერენული ერთეულის, უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, საზღვრის დაცვის პროგრამასა და ნავთობსადენების დაცვაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხარეებმა განიხილეს ორწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მთავარი მიმართულებები მოგვიანებით შეთანხმდა შეერთებული შტატების თავდაცვის მდივან დონალდ რამსფელდთან. ქართულ-ამერიკული სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა 2001 წლისთვის უკვე მრავალმხრივი იყო. თუმცა პირველად ამ შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის საკითხი. ასევე, ისაუბრეს კონფლიქტურ ზონებში, კერძოდ, ცხინვალის რეგიონში განლაგებული ქართველი მშვიდობისმყოფელებისთვის დისლოკაციის ადგილებზე პირობების გაუმჯობესებასა და შესაბამისი მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (სსა, დოკ. 2385).

2001 წლის 11 ივნისს საქართველო-აშშ-ის თავდაცვის უწყებებს შორის ორმხრივი სამუშაო ჯგუფის კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: ბ-ნი ჯეფრი სტარი (თავდაცვის მდივნის მოადგილის თანაშემწე რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის საკითხებში), გენერალი დევიდ პოეტრისი (ჯორჯიის შტატის გვარდიის ხელმძღვანელი), ბ-ნი ოთარ შალიკაშვილი (თავდაცვის მდივნის სპეციალური მრჩეველი საქართველოს საკითხებში), პოლკოვნიკი კლაუს მულინექსი (რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის დეპარტამენტის რეგიონალური დირექტორი), ქ-ნი კიმ სავიტი (სახელმწიფო დეპარტამენტის უსაფრთხოების სფეროში დახმარების პროგრამების დირექტორი) და სხვები. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი. ამერიკული მხარის განცხადებით, აშშ-ის კონგრესი და პრეზიდენტი დიდ ყურადღებას იჩენდნენ საქართველოსადმი, მისი თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის სრულყოფისთვის. ამის საილუსტრაციოდ ის ფაქტი მოჰყავდათ, რომ შტატების ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის იყო პარტნიორ ქვეყანასთან პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება მთელ რიგ სფეროებში. ბ-ნი სტარის თქმით, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მოპოვების თვალსაზრისით, 2001 წელი საქართველოსთვის გადამწყვეტი უნდა გამხდარიყო. ამისათვის აუცილებელი იყო რეფორმების წარმატებით დასრულება, სასაზღვრო უსაფრთხოება და ნავთობსადენების დაცვა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 1998 წლიდან 2001 წლის ჩათვლით, საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსთვის გაწეულმა დახმარებამ 72 მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან 45% მოხმარდა ადამიანურ რესურსსა და მის აღჭურვას, 10% - მომსახურებას, ხოლო 5% - წვრთნებს. რაც მთავარია, ეს პროგრამა მომავალში კიდევ უფრო უნდა გაფართოებულიყო და 2001 წლისთვის დამატებით 18 მილიონი დოლარის ათვისება იყო გათვალისწინებული. მოლაპარაკებების ფარგლებში განიხილეს ორწლიანი თანამშრომლობის პრიორიტეტები: 1. სწრაფი რეაგირების ძალების განვითარება; 2. თავდაცვითი რეფორმა; 3. სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის საკითხი (სსა, დოკ. 2387).

2001 წლის დეკემბერში საქართველოს აშშ-ის თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი ეწვია. სწორედ მისი ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ წვრთნისა და

აღჭურვის პროგრამას ამერიკული მხარე 64 მილიონი დოლარით დააფინანსებდა (ლიკლიკაძე, 2003).

2001 წლის 20-25 მაისს აშშ-ში, ჯორჯიის შტატში, საქართველოსა და შვედეთის შტატების თავდაცვის უწყებებს შორის, ორმხრივი თანამშრომლობის ყოველწლიური პროგრამის ფარგლებში, მორიგი შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა განიხილეს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები - სახმელეთო ჯარების, საჰაერო თავდაცვის ძალების, საზღვაო ძალების, ეროვნული გვარდიის, ცენტრალური ადმინისტრაციის საკითხები. 2002 წლისთვის კი, აშშ-ის ევროპული სარდლობის მიერ დაიგეგმა საკონტაქტო ჯგუფების პროგრამა, რომელიც მოიცავდა სასწავლო-გაცვლით და სამუშაო ღონისძიებებს. აღსანიშნავია, რომ ჯორჯიის შტატის ეროვნულ გვარდიას ჰქონდა ქვეყნებს შორის პარტნიორობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ორმხრივ თანამშრომლობას თავდაცვით სფეროში. გვარდიის ხელმძღვანელი გ. პოეტრისი მიესალმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ჯორჯიის შტატის გვარდიას შორის არსებულ კონტაქტებს (სსა, დოკ. 2387).

პროგრამის ფარგლებში განიხილეს საქართველოსათვის გამოყოფილი დახმარება - 1998-1999 წლებში, სულ 34 მილიონი დოლარი, 2000 წელს - 20 მილიონი დოლარი, ხოლო 2001 წელს - 18 მილიონი დოლარი, საერთო ჯამში - 72 მლნ დოლარი. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ სუფსის სარადარო და აკუსტიკური მიმღებისთვის 4.5 მლნ დოლარი მიიღო. სამი საპატრულო ხომალდისა და ექვსი განახლებული გემის ღირებულებამ კი 1.2 მლნ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება დედაქალაქ თბილისს, მისი საავაციო განახლებისთვის, ასევე, წითელ ხიდთან და ქ. ფოთში საზღვაო დაცვის ადმინისტრაციული ოფისებისთვის 2.5 მილიონი დოლარის გამოყოფა დაიგეგმა (სსა, დოკ. 2387).

2002 წლის 10 დეკემბერს კი ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. გარდა ამისა, ამავე პერიოდში, აშშ-ის მთავრობამ საქართველოსთან ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, სამხედრო დახმარებისა და ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების თაობაზე რამდენიმე შეთანხმება დადო. ამ ხელშეკრულებების პრაქტიკული განხორციელება დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო (მანჯგალაძე, 2005).

2002 წლის მარტში საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია შეერთებულ შტატებს ეწვია. მან შეხვედრები გამართა როგორც გამოძიებათა ფედერალური ბიუროს, ასევე ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობასთან. მხარეებმა განიხილეს საქართველოს სპეცსამსახურების რეფორმირებისა და დივერსიფიცირების საკითხები. კონტრდაზვერვის სფეროში ქართული მხარის ინტერესი გასაგები იყო - სეპარატისტული რეგიონებიდან ინფორმაციის მიღება და ანალიზი მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციის (რადიო თავისუფლება, 2002). ვფიქრობთ, რომ 2002 წელს როგორც ხელისუფლება, ისე მასმედია იმედოვნებდა, რომ შტატების ინტერესში იყო ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის სატრანსპორტო ენერგეტიკული ხაზის უშიშროების უზრუნველყოფა, რაც განხორციელდებოდა კიდევაც. ეს კი საქართველოს საგარეო საფრთხეების თავიდან აცილებაში დაეხმარებოდა.

ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ადმინისტრაციის მმართველობის პირველ წლებში პენტაგონმა საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ბრძოლისუნარიანობის გაზრდისთვის გამოყო 60 მილიონი დოლარი გამოყო (დილის გაზეთი, 2002ბ).

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, 2000-2002 წლებშიც ქართულ-ამერიკული სამხედრო თანამშრომლობა დინამიკურად მიმდინარეობდა. აშშ კარგად ხედავდა, რომ მჭიდრო ქართულ-ამერიკული სამხედრო თანამშრომლობა პირდაპირ უკავშირდებოდა უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვას რეგიონში. გარდა ამისა, ამერიკული მხარის ინტერესებში კვლავ იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალების წარმატებული რეფორმირება და სეპარატისტული რეგიონებიდან მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზი. რადგანაც ქვეყნის ეფექტური კონტრდაზვერვული საქმიანობის განხორციელება არც თუ ისე მარტივი იყო, ბუნებრივია, კრემლის ძალისა და მასშტაბების წინააღმდეგ საქართველოს სჭირდებოდა პარტნიორი ქვეყნის დახმარება.

3.2. 9/11 და ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი ვაშინგტონში

2001 წლის სექტემბერში ქართული და ამერიკული მხარეები საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრის ორგანიზებაზე ვაშინგტონში აქტიურად მუშაობდნენ. 10 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძემ ევროპულ და ევრაზიულ

საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწისგან - ელიზაბეტ ჯონსისგან წერილი მიიღო. ჯონსი წერდა, რომ თეთრ სახლში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს დიდი სიამოვნებით ელოდებოდნენ. ამერიკელი დიპლომატი აღნიშნავდა, რომ ეს მიწვევა ვაშინგტონში საქართველოსადმი ღრმა პატივისცემის ნათელი დადასტურება იყო. წერილში ყურადღება გამახვილებული იყო საქართველოში არსებულ პრობლემებზე. მათ შორის, კორუფციასა და არასტაბილურობაზე. ჯონსი თვლიდა, რომ უახლოეს პერიოდში თუკი არსებული საფრთხეების განეიტრალება ვერ მოხერხდებოდა, შესაძლო იყო საქართველოს მომავალს საფრთხე დამუქრებოდა (სსა, დოკ, 2088).

2001 წლის 11 სექტემბერს მსოფლიო საშინელმა ტერორისტულმა აქტმა შეძრა. ამერიკის შეერთებულ შტატებზე იერიში მიიტანა ავღანურმა ტერორისტულმა და სამხედრო ორგანიზაცია „ალ-ქაედამ“. „მსოფლიო ველარასოდეს იქნება ისეთი, როგორც აქამდე იყო“ – 2001 წლის 11 სექტემბრის მერე ეს სიტყვები არაერთხელ გვსმენია (კაკაბაძე, 2002). ეს იყო აქტი, რომელმაც მსოფლიო ახალ გამოწვევებზე კიდევ უფრო ღრმად დააფიქრა. შეერთებული შტატებიც კი უძღური აღმოჩნდა, რომ ძალადობა აღეკვეთა და საკუთარი მოქალაქეები დაეცვა. ტერაქტიდან ცოტა ხანში ამერიკელი ხალხი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სიტყვებმა გაამხნევა: „ჩვენი სამხედროები, შინ თუ მთელს მსოფლიოში, უმაღლეს საბრძოლო მზადყოფნაში არიან მოყვანილი და ჩვენ უშიშროების ყველა აუცილებელ ზომას მივმართეთ, რათა თქვენმა მთავრობამ თავისი ფუნქციების შესრულება განაგრძოს“ (Bush, 2001). ზემოხსენებულმა ტერორისტულმა აქტმა შეცვალა ვაშინგტონის უსაფრთხოების პრიორიტეტები. დაახლოებით ერთ თვეში შტატები ავღანეთში შევიდა და ტერორიზმს ომი გამოუცხადა. საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა 2001 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში იყო დაგეგმილი. ბუნებრივია, თარიღმა გადაიწია - მსოფლიოს შოკიდან გამოსასვლელად დრო სჭირდებოდა. ქართულ და ამერიკულ მხარეებს შორის მჭიდრო კოორდინაცია მაინც გრძელდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონში რთული და დაძაბული, თითქმის 24-საათიანი, სამუშაო გრაფიკი ჰქონდათ, საქართველოსა და აშშ-ის პირველ პირებს შორის ოფიციალური შეხვედრა მაინც შედგა.

2001 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერი ჯორჯ ბუში (უმცროსი) ერთმანეთს თეთრ

სახლში შეხვდნენ. ქართული მხარე აღნიშნული შეხვედრით კმაყოფილი დარჩა. პრეზიდენტებმა განიხილეს ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები და, მათ შორის, რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობა, ჩეჩნეთის ომით გამოწვეული. ედუარდ შევარდნაძემ ტერორიზმს გლობალური მოვლენა უწოდა და განაცხადა, რომ აუცილებელი იყო მასთან ფართომასშტაბიანი ბრძოლა. მისი შეხედულებით, უნდა მომხდარიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოდერნიზაცია, ხოლო უშიშროების საბჭოს წევრებს ტერორიზმთან ბრძოლაში შეუპოვარი პოლიტიკა უნდა გაეტარებინათ (სსა, დოკ. 2389). მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელმა ჯორჯ ბუშმა თეთრი სახლის ოვალური კაბინეტი დაიკავა, ეს იყო საქართველოსა და შეერთებული შტატების პრეზიდენტებს შორის პირველი შეხვედრა. შევარდნაძემ ჯორჯ ბუში დადებითად დაახასიათა და გამოთქვა რწმენა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობები უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდებოდა.

ედუარდ შევარდნაძე შტატებში ვიზიტის დროს აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილეს პოლ ვოლფოვიცსაც შეხვდა. მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობები. თავდაცვის მდივნის განცხადებით, მნიშვნელოვანი იყო, რომ უსაფრთხოების საკითხებზე ისინი ერთად მუშაობდნენ. ამერიკულმა მხარემ დააფასა საქართველოს წვლილი ტერორიზმთან ბრძოლაში და მხარდაჭერა გამოუცხადა თავდაცვის სფეროში რეფორმების განსახორციელებლად. ედუარდ შევარდნაძე პოლ ვოლფოვიცთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა. საქართველოს პრეზიდენტი იმედოვნებდა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები გაერთიანდებოდნენ. მისი თქმით, ამერიკულ მხარესთან საქართველოში არსებული აეროპორტებისა და საჰაერო სივრცის გამოყენებაზე საუბარი არ ყოფილა, თუმცა განიხილეს პრინციპული საკითხები, რაც გულისხმობდა ეფექტურ მოქმედებას ტერორიზმის წინააღმდეგ. შტატების თავდაცვის მდივნის განცხადებით, მალე აშშ შეიმუშავებდა საქართველოსთვის შესაძლო, საჭირო სამხედრო დახმარების ფორმას. მანვე აღნიშნა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ მსოფლიოში საფრთხეების ხელახალი შეფასება უნდა მომხდარიყო, ამიტომაც დახმარების პროგრამები არ დაკონკრეტებულა (სსა, დოკ. 2389).

ნათელია, რომ 11 სექტემბრის ტერაქტმა სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა ვაშინგტონისთვის სრულიად შეცვალა. ამ აზრს დაეთანხმა ამერიკელი ექსპერტი ბრენდა შაფერიც, რომლის თანახმადაც, ვაშინგტონი მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი რესურსებით კი აღარ იყო დაინტერესებული, არამედ მისი გლობალური პოლიტიკის ნაწილში რეგიონს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთისა და ანტიტერორისტული პოლიტიკის წარმოებაში (Shaffer, 2003:57).

ვფიქრობთ, რომ შეერთებული შტატებისა და საქართველოს თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი იყო კავკასიის უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამო ვითარება უკიდურესად გართულდა. ყოველივეს გათვალისწინებით, მსოფლიოში ახალი საფრთხეების შეფასება და მის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ჩაბმა, არსებული ენერგეტიკული პროექტების დაცვასთან ერთად, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტაბილურობასაც შეუწყობდა ხელს. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები, ახალი პროგრამებით თანამშრომლობა განავითარა, რაც საქართველოსთვის საერთაშორისო საზოგადოებაში თავის დასამკვიდრებლად კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ნათელია, რომ ტერორიზმის თუ სხვა საერთაშორისო საფრთხეების წინააღმდეგ საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა პირდაპირ კავშირში იყო სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებასთან.

2001 წლის 5 ოქტომბერს ედუარდ შევარდნაძე, სანამ ჯორჯ ბუში უმცროსის ოვალურ კაბინეტში შევიდოდა, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ ჩეინს და სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელს შეხვდა. საუბარი საქართველოს მშვიდობიან განვითარებას შეეხო და ქართველ პრეზიდენტს ამერიკელებმა ურჩიეს მთავრობაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა კადრი შეეყვანათ. შტატებმა კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა კორუფციასთან ბრძოლაში პარტნიორი ქვეყნისთვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე (ჩარკვიანი, 2016:570). მოგვიანებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტები ერთმანეთს თეთრ სახლში შეხვდნენ. ჯორჯ ბუშმა შეხვედრისას შენიშნა, რომ ცოტა ხნის წინ მას ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) დაურეკა და გააფრთხილა, რომ პატივსაცემ

პიროვნებას ხვდებოდა. ედუარდ შევარდნაძის პასუხი კი ამაზე შემდეგი იყო - „ჭკვიანი კაცია მამათქვენი და დაუჯერეთ“ (ჩარკვიანი, 2016:570). საუბარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ტერორიზმს შეეხო, რომლებიც ქვეყნისთვის ჯერ კიდევ გამოწვევად რჩებოდა. ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) განაცხადა: „ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი ისაა, რომ საქართველომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და ამის შესახებ თქვენი მეზობლებისთვის არაერთხელ ღიად გვითქვამს. ტერორიზმს კი ერთად უნდა ვებრძოლოთ, რათა რუსეთს არ დავუტოვოთ წუხილისა და საქართველოს მიმართ პრეტენზიების გამოთქმის საბაზი“ (ჩარკვიანი, 2016:570). შეერთებული შტატებიდან ქართული დელეგაცია 6 ოქტომბერს დაბრუნდა. 7 ოქტომბერს მთელი მსოფლიოს მედიის ყურადღება ავღანეთისკენ იყო მიპყრობილი. სამყაროში კიდევ ერთხელ ომის დაწყების ჰორიზონტი მოჩანდა. მალე შეერთებული შტატები პირველ საჰაერო დარტყმას განახორციელებდა მათ წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტით, მსოფლიოს ზესახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, თუნდაც 1 დღით, დაუცველი გახადეს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მათთვის ასეთ უკიდურესად დამაბულ და მნიშვნელოვან საათებში, ედუარდ შევარდნაძეს დაურეკა და შემდეგი აუწყა: „პრეზიდენტმა ბუშმა დამავალა გადმოგცეთ, რომ ორიოდ საათში ჩვენ დავიწყებთ სამხედრო ოპერაციას ავღანეთში. დარტყმები განხორციელდება მხოლოდ ალ-ქაიდასა და სამხედრო ობიექტებზე“ (ჩარკვიანი, 2016:572).

შტატებში ვიზიტის დროს ედუარდ შევარდნაძემ ლექცია წაიკითხა ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ ფიცჯერალდ კენედის პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში, რომელიც საქართველოში ტელევიზიით პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. ლექცია 11 სექტემბრის ტერაქტს მიეძღვნა (ჩარკვიანი, 2016:567). ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოსა და შტატების პრეზიდენტები ერთმანეთში აქტიურ მიმოწერას აგრძელებდნენ. აქტუალური საკითხები კი რეგიონის უსაფრთხოებასა და რუსეთ-აშშ-საქართველოს ურთიერთობებს ეხებოდა. ედუარდ შევარდნაძე ამერიკა-რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობებს დიდი ინტერესით აკვირდებოდა (ჩარკვიანი, 2016:570). 2002 წლის 24 მაისს, მოსკოვში, აშშ-ისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა განაცხადეს, რომ „შეერთებული შტატები და რუსეთი ითანამშრომლობენ, რათა მოაგვარონ რეგიონული კონფლიქტები, მათ შორის, აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში“

(ჩარკვიანი, 2016:617). 2002 წელს ე. შევარდნაძე ჯორჯ ბუშს წერდა: „ჩვენი ხალხის სურვილია, რომ საქართველო ამერიკის და რუსეთის თანამშრომლობის (და არა დაპირისპირების) ასპარეზად იქცეს. განსაკუთრებით სასიხარულოა თქვენი და პუტინის მზადყოფნა, დაგვეხმაროთ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. არასდროს ვყოფილვარ ასე მყარად დარწმუნებული, რომ ეს მოხდება“ (ჩარკვიანი, 2016:618). ჯორჯ ბუშის პასუხმაც არ დააყოვნა: „ვფიქრობ, რუსეთი მზადაა ითამაშოს კონსტრუქციული როლი. მივესალმები სამმხრივი მექანიზმის იდეას“ (ჩარკვიანი, 2016:618). აშშ-ის პრეზიდენტის პოლიტიკური ნდობა ვლადიმერ პუტინისადმი მალე გაქარწყლდა, როდესაც სამმხრივი მექანიზმის იდეა არათუ წარუმატებლად, არამედ საერთოდ არ განხორციელდა. რატომღაც დასავლეთს დიდი ხანი დასჭირდა იმის გასააზრებლად, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მისი ტერიტორიული მთლიანობის საკითხში არა შუამავალი, არამედ, უბრალოდ, დაინტერესებული მხარე იყო და დღესაც არის, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხს საქართველოს საგარეო კურსის ვექტორის ცვლილებისთვის პოლიტიკურ სასწორზე სწორედ რომ სავაჭროდ იყენებდა. მიუხედავად ამისა, ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ადმინისტრაციის მმართველობის პირველ წლებში საქართველოს მიმართ ინტერესი აშკარაა და ალბათ, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომ არა საშინაო პოლიტიკაში, შესაძლოა ზემოხსენებული თანამშრომლობით უფრო მეტი სარგებელი გვენახა.

2002 წელს საქართველოს გავლენიანი ამერიკელი სენატორები ჯონ მაკკეინი და ფრედ ტომპსონი ეწვივნენ. მათი ინტერესის სფეროს რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი, ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ჩამოყვანის პროცესი და ერთობლივი სამხედრო წვრთნები წარმოადგენდა. აღნიშნული ვიზიტიც მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობებისადმი ინტერესი, როგორც აშშ-ს კონგრესში, ისე აღმასრულებელ შტოში საკმაოდ დიდი იყო.

3.3. ქართულ-ამერიკული ორმხრივი თანამშრომლობა 2000-2002 წლებში და პრადის სამიტი

1999 წელს აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2000 წელს ქვეყანაში 35.4 ათასი ტონა ხორბალი შემოვიდა. ამას დაემატა 32 ათასი ტონა ხორბალი შტატების მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი კრედიტის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების დასახმარებლად და განსახორციელებლად ოფიციალურმა ვაშინგტონმა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისათვის რამდენიმე პროექტი დააფინანსა. გარდა ამისა, აშშ-ის გრძელვადიანი კრედიტითა და ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ხორბლითა და საკვები პროდუქტებით ეფექტურად ხორციელდებოდა დევნილებისა და სოციალურად დაუცველი პირებისათვის გათვალისწინებული სასურსათო სახელმწიფო პროგრამები. ამერიკულმა ჰუმანიტარულმა დახმარებამ ხელი შეუწყო პურ-პროდუქტების ხარისხის ამაღლებას, კერძო სამეწარმეო სექტორისა და ფერმერებისთვის მომგებიანი პოლიტიკის გატარებას. 2000 წლისთვის შტატებთან მიღწეულ იქნა შეთანხმება დამატებით 15-20 მილიონი დოლარის ღირებულების გრძელვადიანი და შეღავათიანი სასაქონლო კრედიტის გამოყოფის თაობაზე (სსა, დოკ. 2095).

2000 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტით გათვალისწინებული საბაზისო დაპროექტება დასრულდა, რომლის ღირებულებამაც ჯამში 145 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. 2001 წელს აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პოზიცია სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო ენერგოპროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით კვლავ უცვლელი დარჩა. გარდა ამისა, ვაშინგტონი ცდილობდა რუსეთის ფედერაცია დაერწმუნებინა, რომ საექსპორტო მილსადენებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების სისტემის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად; რომ თანამედროვე სამყაროში სანავთობო მილსადენები მსოფლიო ბაზრებზე ეკონომიკური და ფინანსური განვითარების საწინდარი იყო და რუსეთის ინტერესებისთვის ზემოხსენებული ენერგოპროექტები არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა (სსა, დოკ. 2387).

2000 წლის 6 ივნისს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოს ელჩი შტატებში თედო ჯაფარიძე სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს დემოკრატიისა და

ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში ბენეტ ფრიმანს და პოლიტიკის დაგეგმარების სამსახურის წარმომადგენელს - რობერტ ჰერმანს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს აშშ-ის დახმარება საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის საკითხში. პარტნიორებმა ყურადღება გაამახვილეს თავისუფალი არჩევნების ჩატარების და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის რეკომენდაციებზე. შეხვედრის დროს ისაუბრეს საქართველოში რელიგიური უმცირესობების საკითხზეც. ქართულმა მხარემ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისა და საარჩევნო კანონის დახვეწის ვალდებულება აიღო (სსა, დოკ. 2387). აღსანიშნავია, რომ 2000 წელს რელიგიური უმცირესობების საკითხი საქართველოში ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოს პრეზიდენტის-ედუარდ შევარდნაძის და აშშ-ს სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტთან შეხვედრის დროს (შევარდნაძე, 2018:76).

2001 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ქართული ხელისუფლება საქართველოში მშვიდობის კორპუსის პროგრამის თაობაზე შეთანხმდნენ. თბილისი და ვაშინგტონი აღიარებდნენ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ორივე მხარისთვის სასარგებლო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას. მშვიდობის კორპუსი - ეს იყო შეერთებული შტატების სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფდა ტექნიკურ დახმარებას და ხელს უწყობდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და მეგობრობის განვითარებას შეერთებული შტატების შესაბამისი განათლების მქონე მოქალაქეების გაგზავნით დაინტერესებულ სახელმწიფოებში საცხოვრებლად და მოხალისეებად სამუშაოდ. ოფიციალურმა თბილისმა გამოთქვა სურვილი მშვიდობის კორპუსის მოხალისეების საქართველოში მოწვევით. მხარეები იმედოვნებდნენ, რომ აღნიშნული პროგრამა ორ ქვეყანას შორის არსებულ მრავალმხრივ ურთიერთობებს კიდევ უფრო მეტად გააღრმავებდა (სსა, დოკ. 2090).

2001 წლის 10 ოქტომბერს, ამერიკული მხარის მოთხოვნით, აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თედო ჯაფარიძე სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპულ და ევრაზიულ საქმეთა ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილეს - ლინ პასკოს შეხვდა. ლინ პასკოს განმარტებით, სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი დაინტერესებული იყო საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით, კერძოდ, საქმე ეხებოდა აფხაზეთში მოქმედი ჩეჩნური დაჯგუფებების გარშემო

არსებულ ვითარებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვერტმფრენის დაღუპვას. კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, ქართული მხარე მზად იყო აღნიშნულ საკითხზე დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინა ამერიკელებისთვის (სსა, დოკ. 2090).

როგორც ვხედავთ, წინა წლების მსგავსად, საქართველოს ხელისუფლებას მუდმივად უწევდა ანგარიშის ჩაბარება ამერიკელი პარტნიორებისთვის ქართული მხარის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ. მართალია, საერთაშორისო არენაზე კარგად ესმოდათ, რომ საქართველო შექმნილ ვითარებაში ყველაზე ნაკლებად იყო პოლიტიკურად „დამნაშავე“, მაგრამ ეს ყოველივე მაინც უარყოფითად აისახებოდა მის რეპუტაციასა და უსაფრთხო ქვეყნის იმიჯზე.

2000 წელს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 55-ე სესია გაიმართა. საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაიტთან ნიუ-იორკში შედგა. სწორედ ამ დროს წამოიჭრა რელიგიური უმცირესობების უფლებების საკითხი. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გახშირებული იყო ევანგელიკური ეკლესიისა და იეჰოვას მოწმეებზე ძალადობრივი თავდასხმები. ყველაზე სამწუხარო ფაქტი ის იყო, რომ ხშირად დარბევებში სამართალდამცავებიც მონაწილეობდნენ. პოლიტიკური მუქარები თუ საყვედურები შტატებიდან და ევროპიდან სულ უფრო ხშირად ისმოდა. რასაკვირველია, ეს ყოველივე ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად აისახებოდა და დიდ პოლიტიკურ საფრთხეებსაც ქმნიდა. ვფიქრობთ, რომ სამწუხაროდ, დასავლეთში ნელნელა ყალობდებოდა პოლიტიკური აზრი, რომ შევარდნაძის ხელისუფლება არსებული პოლიტიკურ სირთულეებს ვერ უმკლავდებოდა და ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებაც ფერხდებოდა. ჩვენი აზრით, სწორედ, რომ ამგვარმა ფაქტებმა განაპირობეს ის, რომ მომდევნო წლებში ედუარდ შევარდნაძისადმი ამერიკული მხარდაჭერა საგრძნობლად დაეცა და უფრო მეტიც, მის შეცვლაზე აქტიურად დაიწყეს პოლიტიკური მოქმედებები.

2000 წლის 5 მარტის წერილში აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი ედუარდ შევარდნაძეს ატყობინებდა, რომ შტატები გააგრძელებდა ენერგეტიკული დახმარების პროგრამას მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის და გრანტის სახით საქართველოს 35.000 ტონა ხორბალს გადასცემდა (ჩარკვიანი, 2016:494).

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის საკითხი რომ მნიშვნელოვანი იყო, ეს მრავალმხრივ დასტურდება. ქართულ დელეგაციას, სასურველი შედეგის მისაღწევად, შტატებში უმაღლეს დონეზე ჰქონდა კონსულტაციები. 2000 წლის 13 აპრილს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების თაობაზე აშშ-ის მხრიდან ამ საკითხში საგანგებო დავალებათა ელჩ ქრეიგ დანკერლს და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის დახმარების კოორდინატორ ბილ ტეილორს შეხვდა. ქართულმა მხარემ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ამერიკელ კოლეგებს რუსული შეიარაღების გატანა/განადგურების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის თაობაზე. ამერიკულმა მხარემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ რუსული სამხედრო ტექნიკის გაყვანა საქართველოდან დროულად უნდა მომხდარიყო და შტატების მიერ ამ მისიის შესრულებისთვის გამოყოფილი 10 მილიონი დოლარიც მიზნობრივად და ეფექტურად უნდა დახარჯულიყო (სსა, დოკ. 2092). აშშ დაინტერესებული იყო, რომ საქართველო-რუსეთის ფედერაციის მძიმე და რთულ მოლაპარაკებებში, ოფიციალურ თბილისს მაქსიმალური პოლიტიკური მოგება ენახა. საქართველომ, ისევე როგორც შტატებმა, კარგად იცოდა, რომ კრემლი ასე მარტივად არც ბაზებს გააუქმებდა და არც სამხედრო ტექნიკის დაუყოვნებლივ გაყვანას დაიწყებდა. აქედან გამომდინარე, ვაშინგტონი ცდილობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მაქსიმალურად ინფორმირებას რუსეთის ფედერაციის მხრიდან შესრულებული თუ შეუსრულებელი ვალდებულებების თაობაზე. რასაკვირველია, ამერიკელებმა იცოდნენ, რომ მოსკოვთან ურთიერთობისას თბილისი მარტო არ უნდა დარჩენილიყო. მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკური ზეწოლითა და ვალდებულებების შეხსენებით თუ მიაღწევდა საქართველო მოლაპარაკებებში წარმატებას.

2001 წლის მარტში საქართველოს აშშ-ის ფედერალური ბიუროს დირექტორი ლუის ფრი ესტუმრა. მისი ვიზიტის მიზეზი საქართველოში ანტიკორუფციული ღონისძიებების ამოქმედების გაჭიანურება იყო (ჩარკვიანი, 2016:552). ვფიქრობთ, 2000-2002 წლებში საქართველო-შტატების ერთობლივი საქმიანობა კორუფციის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი იყო, ვინაიდან ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობა თავს არიდებდა გადასახადების გადახდას და, სამწუხაროდ, კორუფციის დონეც

საკმაოდ მაღალი იყო. აქედან გამომდინარე, ხშირად ხელისუფლებას უკიდურესი ზომების მიღება უხდებოდა - კერძოდ, უცხოური დახმარებების, მათ შორის, ამერიკული გრანტების, გამოყენება ხელფასების დასარიგებლად.

2001 წლის 12 ივნისს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის „კანონიერების განმტკიცების სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმი“ დაიდო, რომლის ფარგლებში აშშ საქართველოს სხვადასხვა უწყებისა და იუსტიციის სამინისტროსთვის მნიშვნელოვან ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დახმარებას გამოყოფდა. მემორანდუმი სახელმწიფო დეპარტამენტსა და იუსტიციის სამინისტროს შორის სასამართლო გამოძიების პროცესში თანამშრომლობასაც ითვალისწინებდა (სსა, დოკ. 2095).

2001 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია აშშ-ში წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის წევრებს შეხვდა. ქართველმა დიპლომატებმა ამერიკელ კოლეგებს ინფორმაცია მიაწოდეს შემდეგ საკითხებზე: 1. კონფლიქტი აფხაზეთში; 2. ქართულ-ოსური კონფლიქტი; 3. საზღვრის მონიტორინგი; 4. რუსეთის სამხედროების ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე; 5. ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის საკითხები; 6. ორმხრივი თანამშრომლობა და დახმარება შეიარაღებული ძალების მშენებლობის საქმეში; 7. ექსპორტის კონტროლი. ყურადღება გამახვილდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში პროგრამა „კოოპერატივ პარტნერ 2001“-სა და მასში მონაწილე სამხედრო ჯგუფებზე. ქართული მხარე მოხარული იყო იმ ფაქტით, რომ 2002 წლისთვის კიდევ ერთი ვარჯიში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდებოდა. გარდა ამისა, ის იმედოვნებდა, რომ ვარშავის ინიციატივის ფარგლებში, შტატები ფინანსურ დახმარებას გაზრდიდა. ქართულ დელეგაციას არც აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები დავიწყებია, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების გამყარებას, კონცეპტუალური რეფორმების გატარებასა და დასავლეთის დახმარების მიზანმიმართულ გამოყენებას. ქართული მხარე აღნიშნავდა, რომ ეროვნული შეიარაღებული ძალების რეფორმირება კვლავ პრობლემურ საკითხად რჩებოდა, ამიტომაც უმჯობესი იყო თავდაცვითი სისტემების მოდერნიზაცია ამერიკასთან მჭიდრო კოორდინაციით. მან ხაზი გაუსვა 2001 წლის

ავგისტოსთვის 10 ვერტმფრენის ჩამოყვანის მნიშვნელობას. საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანის გაჭიანურებასაც და კრემლის მიერ ჯერ კიდევ შეუსრულებელ ვალდებულებებს. ქართულმა დელეგაციამ აღნიშნა, რომ შტატებს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა რუსულ მხარესთან კონსულტაციების სწრაფად დასრულებაში, საქართველოს ტერიტორიის უცხო ქვეყნის შეიარაღებისა და სამხედრო ბაზებისგან სამუდამოდ გათავისუფლებაში (სსა, დოკ. 2095).

2001 წლის 11 იანვარს აშშ-ში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები სახელმწიფო დეპარტამენტის სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორს - კლიფ ბონდს შეხვდნენ. საუბარი შეეხო რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს: კერძოდ, რუსული ბაზების გაყვანის საკითხის გაჭიანურებასა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოსთვის გაზის შეწყვეტას. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობათა მთავარი კოორდინატორის მოადგილის - დენიელ ფრიდის აზრით, რუსული მხარე საქართველოს ენერგოსექტორში პრობლემების შექმნით მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენას ცდილობდა. სახელმწიფო დეპარტამენტი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო ამერიკელებს ევროპელებიც დახმარებოდნენ, რათა კრემლის მხრიდან თბილისზე პოლიტიკური ზეწოლის პრევენცია მომხდარიყო. შტატები ევროპელ კოლეგებს სამ საკითხში სთხოვდა დახმარებას. ეს საკითხები იყო: 1. ევროგაერთიანებისა და მისი ცალკეული წევრი სახელმწიფოების სახელით ოფიციალური და კრიტიკული განცხადებების გაკეთება რუსეთის ფედერაციის მისამართით; 2. მოსკოვის დარწმუნება, რომ საქართველოსთვის რუსული გაზის შეწყვეტით ზიანი რუსეთის ფედერაციის სანდოობის ხარისხს მიადგებოდა; 3. საქართველოსთვის ენერგეტიკის სფეროში ევროპელთა მხრიდან დახმარების პროგრამების შემუშავება. გარდა ამისა, ამერიკულ მხარეს აინტერესებდა რუსულ კომპანია „იტერასთან“ ოფიციალური თბილისის მიერ დადებული კონტრაქტის დეტალები და ხელისუფლების ზოგადი სტრატეგია ენერგეტიკის სფეროში, ასევე - გაზიფიცირების ალტერნატიული გზების საკითხი. ვფიქრობთ, საინტერესოა რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით აშშ-ის თავდაცვის მდივან უილიამ კოენის

მიერ 2001 წლის 10 იანვარს დაფიქსირებული პოზიცია. ბ-ნმა კონემა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტზე საუბრისას განაცხადა: „მე შოშფოთებული ვარ, რომ ვ. პუტინს სურს კონტროლს დაუქვემდებაროს ისეთი ქვეყნები, როგორცაა მაგ., საქართველო. „ხელების გადაგრეხვის ტაქტიკის“ გამოყენებით, კერძოდ, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისთვის ნავთობის, გაზისა და ენერჯის მიწოდების მანიპულირებით, იგი ცდილობს ეს ქვეყნები უკან დააბრუნოს რუსეთის ორბიტაზე“ (სსა, დოკ. 2095).

ქართული მხარისთვის ქვეყნიდან რუსული ბაზების გაყვანის პროცესში შტატების დახმარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე ასეთი შესაძლებლობა მას არ ჰქონია. საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამერიკული დაფინანსების წყალობით, ბაზების დახურვის შემდეგ, თავიდან აიცილებდა ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს. გარდა ამისა, 2001 წელს თბილისი შეეცადა ვაშინგტონის პოლიტიკური ყურადღება კიდევ ერთხელ მიეპყრო შემდეგი საკითხებისთვის: 1. დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული დაბრუნების დაუყოვნებლივ დაწყება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ რეზოლუციებში აფხაზთა დესტრუქციული საქმიანობის დაფიქსირება; 2. დაბრუნებულთათვის სპეციალური სტატუსის მინიჭება; 3. გალის რაიონში გარდამავალი საერთაშორისო ადმინისტრაციის შექმნა; 4. მიტოვებულ მატერიალურ ფასეულობებზე დევნილთა უფლებების დადასტურება; 5. აფხაზეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის დამცავი ძალების შეყვანაზე დიალოგის დაწყება (სსა, დოკ. 2092).

2001 წლის სექტემბერში შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში ელიზაბეტ ჯონსი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს წერდა, რომ ის მოხარული იყო რამდენიმე დღეში თეთრ სახლში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ვიზიტის დროს ქართულ დელეგაციასთან მოსალოდნელი შეხვედრით. ამერიკელმა დიპლომატმა ხაზი გაუსვა საქართველოში კორუფციის არსებობას და გამოთქვა იმედი, რომ მის აღმოსაფხვრელად მთავრობა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამდა. მან, ასევე, აღნიშნა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობა (სსა, დოკ. 2092).

წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ ედუარდ შევარდნაძის რწმენით, თუ რუსეთის ფედერაცია და შტატები მსოფლიოს ახალი წესრიგის შესაქმნელად ერთად

იმოქმედებდნენ, ე.წ. „წითელი ხაზები“ უფრო და უფრო გაფერმკრთალდებოდა; გარდა ამისა, ვაშინგტონსა და კრემლს შორის ახალ პოლიტიკურ ურთიერთობებს, შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად მოსაგვარებლად ახალი გზები წარმოეჩინა. თუმცა წარსული, ისევე როგორც აწმყო, გვიჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაციას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის დაბრუნებაზე რეალურად არასდროს უფიქრია. შევარდნაძის იმედი, რომ კრემლი ამჯერად მაინც შეცვლიდა თავის პოლიტიკას მეზობელი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, არ გამართლდა. რაც შეეხება რუსული ტექნიკის გასაყვანად ამერიკელების მიერ გამოყოფილ დახმარებას, ბუნებრივია, ჩვენს პარტნიორებს რეალური შედეგი აინტერესებდათ, რადგანაც საქართველოში რუსული სამხედრო ძალების დასუსტება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ახალი პოლიტიკური პროცესების დასაწყისი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

2002 წლის 24 აპრილს აშშ-ის სენატში ამერიკელი დიპლომატები საქართველოში შექმნილ ვითარებას გამოეხმაურნენ, სადაც, მათი აზრით, უკვე წლები იყო, რაც რელიგიურ უმცირესობებსა და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. სენატორების თქმით, ეს წინააღმდეგობაში იყო ტოლერანტობასთან და ადამიანის უფლებების საყოველთაო დაცვასთან. გარდა ამისა, აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობა არ დგამდა ეფექტურ ნაბიჯებს რელიგიური უმცირესობების დასაცავად. მათ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მოუწოდეს ძალადობრივ ფაქტებზე მკაცრი რეაგირება მოეხდინა. ასევე მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული სისტემის პატივისცემისკენ (Congressional Records, 2002).

2002 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამიტს ქ. პრაღაში დაესწრო. პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მზად იყო ალიანსში გასაწევრიანებლად საჭირო ვალდებულებები შეესრულებინა.

საქართველოს ხელისუფლება, ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, აცნობიერებდა, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ მიმავალი გზა არ იქნებოდა ადვილი და ხანმოკლე. თუმცა პოლიტიკური გამოწვევების გადასალახავად

ის მზადყოფნას აცხადებდა: „ერთი ან ორი წელი საკმარისი არ იქნება იმისთვის, რომ ნატოს წევრი გახდე. ჩვენ გვესმის, რომ ამას დრო დასჭირდება“ (შევარდნაძე, 2002).

2002 წელს ოფიციალური თბილისისთვის ნათელი იყო, რომ დასავლურ პოლიტიკურ გუნდში ინტეგრაციისთვის აუცილებელი იქნებოდა რთული საკითხების გადაჭრა - პირველ რიგში, ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება, რაც რუსეთთან გეოგრაფიულად მეზობლობის გამო, არც ისე ადვილი მისაღწევი იყო და არის. პრალის სამიტის დასრულების შემდეგ საქართველოს ჯორჯ ბუშის (უმცროსის) ადმინისტრაციის მთავარი მრჩეველი სამხედრო საკითხებში რიჩარდ მაიერსი ესტუმრა, რომლის მიზანიც ამერიკული სამხედრო დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ქართველი ვერტმფრენების რამდენიმე ეკიპაჟისა და ქართველი სამხედროების მომზადება იყო (სსა, დოკ. 1109).

პრალის სამიტის შემდეგ ყველა რუსეთის ფედერაციის საპასუხო განცხადებას ელოდა, მაგრამ კრემლმა თავი შეიკავა. ნათელია, თუ რა პოზიცია ექნებოდა მოსკოვს კავკასიის რეგიონთან ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიახლოებაზე და ეს პოზიცია დღემდე არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-რუსეთის ფედერაციის ურთიერთობა 2002 წელს საკმაოდ დაძაბული იყო, ქართულმა ხელისუფლებამ მაინც გაბედა თავისი ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების საერთაშორისო არენაზე გაჟღერება. რასაკვირველია, შევარდნაძეს კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო დაუღალავი მუშაობა ალიანსის საერთაშორისო სტანდარტებთან დასაახლოებლად, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩაკეტილ პოლიტიკურ წრეს აუცილებლად ესაჭიროებოდა გარღვევა, თუნდაც შორს მიმავალი გეგმებით. ეს იყო პირველი და საკმაოდ თამამი პოლიტიკური ნაბიჯი იმის სადემონსტრაციოდ, რომ 1994 წლიდან საქართველოს მონაწილეობას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ, პოლიტიკურ თუ ჰუმანიტარულ მხარდაჭერას ფუჭად არ ჩაუვლია. მართალია, ქვეყანა საკმაოდ ბევრი საშინაო და საგარეო გამოწვევის წინაშე იდგა, მაგრამ მას ჰქონდა ამბიცია კრემლის „რბილი ძალის“ პოლიტიკის საპირისპიროდ, დასავლურ ორბიტაზე ორიენტირებული საგარეო კურსი ეწარმოებინა. ოფიციალური თბილისის მხრიდან ეს იყო მტკიცე გზავნილი, რომ მთელი რიგი სირთულეების მიუხედავად, მზად იყო

დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა და შეესრულებინა ის ვალდებულებები, რომლებიც საერთაშორისო არენაზე უკვე დიდი ხნის აღებული ჰქონდა.

ვფიქრობთ, წლების განმავლობაში კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმისა და ნარკობიზნესის განვითარებას უწყობდა ხელს; კონფლიქტები, რომლებიც ხშირად სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებებში გადაიზრდებოდა და კასპიის ზღვის რეგიონში არსებული დამაბულობა შტატებისთვის სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო ინვესტიციებისა და საერთაშორისო პროექტების განსახორციელებლად. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1990-იან წლებში აშშ-ის ხელისუფლებას ევრაზიული რეგიონის მიმართ სულაც არ ჰქონდა მტკიცე პოლიტიკური სტრატეგია და შეიძლება ითქვას, მხოლოდ სპონტანურ შედეგებზე იყო ორიენტირებული. თუმცა მომავალში ეს მიდგომა შეიცვალა და საქართველოსა და აზერბაიჯანს გაუჩნდათ იმის განცდა, რომ შესაძლო იყო ერთ დღეს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრები გამხდარიყვნენ. ვაშინგტონს, ასევე, დიდი ინტერესები ჰქონდა ცენტრალური აზიის მიმართ, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა პაკისტანსა და ავღანეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მიუხედავად ამისა, შტატებმა ამიერკავკასია-ცენტრალური აზიის მიმართ ეფექტური და არაწინააღმდეგობრივი გეგმა ვერ შეიმუშავა, რამაც თავის მხრივ, განსაკუთრებით კავკასიის რეგიონში რუსეთის ფედერაციის გავლენის შემცირებას ხელი ვერ შეუწყო.

3.4. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩების თვალთ დასახული საქართველო

საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების 25 წლის იუბილეზე ყოფილმა ამერიკელმა სრულუფლებიან და საგანგებო ელჩებმა ქართულ-ამერიკულ პოლიტიკურ ურთიერთობებზე ისაუბრეს და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ეს თანამშრომლობა საერთო ინტერესებსა და ღირებულებებზეა დამოკიდებული, რომელიც, პირველ რიგში, თავისუფლებისკენ უკიდევანო სწრაფვას გულისხმობს; რომ მათთვის საქართველოში გატარებული დიპლომატიური საქმიანობა სიამაყეს იწვევს.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ელჩის - კენტ ბრაუნის (1992-1995 წწ.) თქმით, ედუარდ შევარდნაძე დასავლეთში საკმაოდ გონიერ

და გამოცდილ პოლიტიკოსად ითვლებოდა. მას ჰქონდა კრიზისულ ვითარებაში სწორად მოქმედების უნარი და, რაც მთავარია, შტატებში ბევრი მეგობარი ჰყავდა. მაგალითად, ჯეიმს ბეიკერი, რობერტ შულცი, ჯორჯ ბუში (უფროსი) და ა.შ. კენტ ბრაუნის დიპლომატიური მისია საქართველოსთვის უმძიმეს დროს დაემთხვა. მან აღნიშნა, რომ შტატები პარტნიორ ქვეყანას ფინანსურად ძალიან ეხმარებოდა. შეიძლება ეს ყოველივე საკმარისი არ იყო, მაგრამ შედეგი მაინც დადგა. კენტ ბრაუნის ელჩად ყოფნის დროს, შეერთებულ შტატებში ჯორჯ ბუში (უფროსი) ბილ ქლინტონმა ჩაანაცვლა. მისი თქმით, ქლინტონის ადმინისტრაციამ საქართველოს როლი და მნიშვნელობა საკმაოდ მოკლე დროში გააცნობიერა (Brown, 2017). ბ-ნი ბრაუნი 1995 წელს უილიამ კორტნიმ შეცვალა. კორტნი ხაზს უსვამდა, რომ მისი მიზანი საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების პროცესის მხარდაჭერა იყო. დიპლომატის აზრით, ქვეყნისთვის აუცილებელია იყო ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარება (Courtney, 2017). 1998 წელს ახალი ელჩი კენტ იალოვიცი დაინიშნა. მისი შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა იმ დროისთვის რთულ მდგომარეობაში იყო და რეფორმების გატარება ნელი ტემპით მიმდინარეობდა. თუმცა, თანამშრომლობა საერთაშორისო ინსტიტუტებთან კვლავ ინტესიურად გრძელდებოდა. იალოვიცის განცხადებით, თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების გზით სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში ეხმარებოდა. ედუარდ შევარდნაძის ხელიუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, საქართველომ ევრო-ატლანტიკური სივრცის ნაწილად გახდომის სურვილი გამოთქვა, რასაც დასავლეთში მხარს აქტიურად უჭერდნენ. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც აშშ გვერდში ედგა საქართველოს, იყო ედუარდ შევარდნაძის ფაქტორი, რომელიც დიდი ნდობით სარგებლობდა გერმანიასა და შეერთებულ შტატებში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობა იყო (Yalowitz, 2017). როგორც შტატების ენერგეტიკის მინისტრმა სპენსერ აბრაჰამმა მოგვიანებით განაცხადა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი მსოფლიოს ენერგეტიკული კუთხით უფრო უსაფრთხოს გახდიდა, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანს სუვერენიტეტს განუმტკიცებდა (Abraham, 1999). იალოვიცის აზრით, შტატების მიზანი ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების დახმარება იყო,

რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ახალი რეალობის შექმნას ცდილობდნენ (Yalowitz, 2017). 2002 წელს საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური ურთიერთობების 10 წლის იუბილეზე საქართველოში დიპლომატიურ მისიას სათავეში რიჩარდ მაილსი ჩაუდგა. მისი ელჩად ყოფნის დროს დასავლეთიდან შევარდნაძის მმართველობისადმი კრიტიკამ იმატა და ვაშინგტონის დამოკიდებულებაც შევარდნაძის ხელისუფლებისადმი რადიკალურად შეიცვალა დაშვებული პოლიტიკური შეცდომების სიმრავლის გამო. რიჩარდ მაილსის მოსვლიდან წელიწად-ნახევარში ედუარდ შევარდნაძის მმართველობა დასრულდა და ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ გზით ნაციონალური მოძრაობა მოვიდა.

დასკვნა

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა ისტორიის 27-ე წელს ითვლის და შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობაა. ყოველწლიურად ორმხრივი პარტნიორობა და თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში უფრო და უფრო ვითარდება და ღრმავდება. სამხრეთ კავკასიაში საქართველო შეერთებული შტატების მთავარი, სტრატეგიულად ერთგული მოკავშირეა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან სულ რამდენიმე თვეში ოფიციალურმა ვაშინგტონმა თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან საქართველო იყო პირველი, რომელმაც ეს პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 4 თვეში, აშშ-სა და საქართველოს საერთო ღირებულებებზე დამყარებული პოლიტიკური ურთიერთობები უკვე ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, შტატები იყო და არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც საქართველოსთვის ყველაზე მძიმე პერიოდებში, ეკონომიკური კრიზისისა და სიდუხჭირის დროს, დახმარებას და სისტემურ გამოსავალს სთავაზობდა. ეს ყველაფერი კი 1992-1995 წლებში პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებითა და მისი წარმატებული განვითარებით მოხერხდა. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას ჯერ კიდევ მანამდე უჭერდა მხარს, სანამ ამას ედუარდ შევარდნაძე 2000 წელს, ოფიციალურად, პრადის სამიტის, დროს განაცხადებდა. ვფიქრობთ, ამ პოლიტიკურმა კავშირებმა განავითარეს თანამედროვე ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებულია.

დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდან შეერთებული შტატებისთვის საქართველო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანა რომ იყო სამხრეთ კავკასიაში, ეს დასტურდება საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად და არსებული კითხვების გასაქარწყლებლად აშშ-ის ნომერ პირველი დიპლომატის სტუმრობითა და 1992 წლის მაისში, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, გაკეთებული პოლიტიკური გზავნილებით.

